

რუსუდან თაბუკაშვილი

-

ტექსტის რეფერირება და ანოტირება

თბილისი

2004

ნაშრომი მომზადებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის გერმანული
და ფრანგული ენების კათედრაზე

ყველა უფლება დაცულია

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ე. კაციტაძე
რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ჩხეიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. რუსეიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: კ. ხარაზიშვილი
დიზაინი: ლ. ავაქიშვილი

ტირ.: 300

შინაარსი

წინათქმა	4
შესავალი	5
რეფერატისა და ანოტაციის რეტროსპექტია	9
სამეცნიერო კომუნიკაციის, საინფორმაციო მოღვაწეობისა და საინფორმაციო მომსახურების მოდელები	12
რეფერირება და რიტორიკა	17
კომპრესია საინფორმაციო მომსახურების სფეროში	23
განსხვავება მხატვრული ტექსტების მოკლე შინაარსის განსაზღვრასა და სამეცნიერო-პუბლიცისტური ტექსტების აზრობრივ კომპრესიას შორის	26
ტექსტის ლინგვისტიკა და რეფერირება	29
ანოტაციისა და რეფერატის ფუნქციები	33
რეფერატის დეფინიცია	36
ინფორმაციისა და რეფერატის ტიპები	39
ფაქტოგრაფიული ინფორმაცია	39
ინფორმაციული რეფერატი	39
კონცეპტუალური ინფორმაცია	41
ინდიკატური რეფერატი	41
მიმოხილვით-ანალიტიკური ინფორმაცია	43
მიმოხილვითი რეფერატი	43
სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტების ძირითადი ინფორმაციის განსაზღვრის ფორმალური და ანექტურ-ასპექტური მეთოდები კომპრესიის პროცესში	45
1. ფორმალური (აეტომატური) მეთოდი	46
1.1. სტატისტიკური მეთოდი	46
1.2. პოზიციური მეთოდი	47
1.3. ინდიკატორული მეთოდი	47
1.4. გრამატიკული (სინტაქსური) მეთოდი	48
1.5. მოსაზრებათა კომპლექსური მეთოდი	49
1.6. ფორმალური (აეტომატური) მეთოდის ნაკლი	49
2. ასპექტური მეთოდი	49
3. ანექტური მეთოდი	51
3.1. ასპექტური და ანექტური მეთოდების ნაკლი	54
სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტების ძირითადი ინფორმაციის განსაზღვრის ანალიზურ-სინთეზური მეთოდები კომპრესიის პროცესში	55
1. ტექსტის სინტაქსური სტრუქტურა	55
2. ტექსტის კომუნიკაციური სტრუქტურა	58
3. ტექსტის სემანტიკური სტრუქტურა	61
4. ტექსტის ინფორმაციული სტრუქტურა	65
რეფერატზე მუშაობის მეთოდიკა	69
ინდიკატურ რეფერატზე მუშაობის მეთოდიკა	76
ინფორმაციულ რეფერატზე მუშაობის მეთოდიკა	77
მიმოხილვით რეფერატზე მუშაობის მეთოდიკა	77
ანოტაციაზე მუშაობის მეთოდიკა	78
კოპეზიის საშუალებები რეფერატში	79
რეფერატის თარგმნის თავისებურებანი	83
ნიმუშები	86
სავარჯიშოები	102
სავარჯიშოებზე პასუხები	150
ლექსიკონი	156
ბოლოთქმა	159
გამოყენებული და მითითებული ლიტერატურა	160
ბიბლიოგრაფია	164

წინათქმა

მეცნიერების სწრაფმა განვითარებამ და მასთან დაკავშირებული ლიტერატურისა და ინფორმაციის უწყვეტმა ნაკადმა გამოიწვია დიდი ინტერესი ისეთი პროცესისადმი, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის მიღებასა, მის გადამუშავებასა და შეკვრასთან, რაც ინფორმაციული კომპრესიის სახელითაა ცნობილი. ინფორმაციის დანაკარგს შედეგად შეიძლება მოჰყვეს ის, რომ კვლევის ერთი და იგივე ობიექტი რამდენჯერმე შეიძლება გახდეს კვლევის საგანი სხვადასხვა სპეციალისტის მიერ. ამ მიზეზით აუცილებელია პირველად დოკუმენტთა, დედანთა, დამუშავება, მათი ინფორმაციული კომპრესირება. უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს დღესდღეობით ასევე უცხოენოვან პირველწყაროთა დამუშავებაც. ამიტომ უმაღლეს სასწავლებლებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის, რომ კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილის შემდგომი საქმიანობა სწორედ ამ ტიპის იქნება, რაც მომავალი სპეციალისტისაგან მოითხოვს განსაზღვრულ პროფესიო-ნალიზმს.

ინფორმაციის კომპრესიის, ამ მოვლენის სწავლებისა და მისი დაუფლების აუცილებლობაში დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესებთან დაკავშირებული მრავალი საკითხი განხილვას მოითხოვს. ის, რომ ეს საკითხები დროებით გადაუჭრელია, ორი მოვლენითაა განპირობებული: ერთი მხრივ, თვით კომპრესიის მოვლენის, და შესაბამისად კომპრესირების პროცესის, როგორც ინტელექტუალური შემოქმედებითი პროცესის სირთულით, და მეორე მხრივ, — მისი არასრული, არასწორი და არასისტემური კვლევით.


სახელმძღვანელო პირველი ქართულენოვანი ნაშრომია, რომელიც ეძღვნება ტექსტის კომპრესიის პრობლემებს. წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება — თეორიული ნაწილი მოიცავს რეფერირებისა და ანოტირების პროცესის განხილვასა და მეთოდებს, რაც ტექსტის ლინგვისტიკის შუქზე მიმდინარეობს, ხოლო მეორე, პრაქტიკული ნაწილი, შედგება სავარჯიშოებისაგან და ნიმუშებისაგან, რომელიც თვალსაჩინოს ხდის წიგნის პირველ ნაწილში განხილულ ყველა დებულებას. სახელმძღვანელო განკუთვნილია საერთოდ ფილოლოგიური პროფილის, პირველ რიგში კი გერმანული ენის სპეციალობის სტუდენტების, მაგისტრანტებისა და ასევე ტექსტის რეფერირებისა და ანოტირების პრობლემით დაინტერესებული ყველა პირთათვის.

რ. თაბუკაშვილი

შესავალი

სანამ ტექსტის რეფერირებისა და ანოტირების პროცესს, პირველადი ტექსტის დამუშავების მეთოდებს უშუალოდ განვიხილავთ, აუცილებლად მივიჩნევთ ღიდი ფორმატით, სრული სახით წარმოვადგინოთ ის „გარემო“, რომელშიც ჩვენს მიერ განიხილება რეფერირება და ანოტირება, როგორც პირველადი ტექსტის, ორიგინალის, მეორად დოკუმენტად გადაქმნის პროცესი. იმდენად, რამდენადაც ფაქტიურად არ არსებობს სრულყოფილი ნაშრომი ან სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავდა ყველა დეტალს, რომელსაც რეფერენტი ტექსტის დამუშავებისას აწყდება, რაც თავის თავად ხდის ამ პრობლემას აქტუალურს, ამიტომ ვცდილობთ ვიყოთ ლოგიკური ჩვენს მსჯელობაში და თავი არ ავარიდოთ იმ სიძნელეებს, რომლებსაც პრაქტიკულად ვხვდებით პირველადი დოკუმენტის მეორად დოკუმენტად გადაქმნის პროცესში – ანუ მათი რეფერირებისა და ანოტირების პროცესში. ის გარემო, რომელშიც ის ოპერაცია უნდა განხორციელდეს, წარმოადგენს სრულყოფილ სისტემას. როგორ აიგოს სისტემა და რას გულისხმობს ის? როგორც ვიცით, ენობრივი მოღვაწეობა მთლიან ენობრივი სივრცეა, რომელიც მოიცავს ცალკეულ სპეციფიკურ სფეროებს. ჩვენს კერძო შემთხვევაში განხილვის ობიექტად იქცა სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელიც მთლიანად ენობრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს. რადგან სამეცნიერო მოღვაწეობის სტრუქტურაში რამდენიმე კომპონენტი მოიაზრება, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით ცალკე სისტემად წარმოვადგინოთ ჩვენი კვლევის ფოკუსში არსებული ენის ერთ-ერთი სპეციფიკური სფერო – სამეცნიერო მოღვაწეობა, რომლის სისტემის ჩარჩოებში თავსდება რეფერირებისა და ანოტირების პროცესების კვლევა. სისტემა სტრუქტურულად მწყობრადაა აგებული და რამდენიმე შრისაგან შედგება. თითოეული შრე ემიჯნება ერთმანეთს და იკავებს სისტემის ჩარჩოებში თავის კუთვნილ ადგილს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი გულისხმობენ ერთმანეთს, გამოძინარეობენ ერთმანეთისაგან, ლოგიკური ძაფით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და სისტემის ერთი შრის, ერთი ელემენტის გამოტოვებაც კი გამოიწვევს სისტემის რღვევას და ასიმეტრიულს, ალოგიკურს გახდის მას.

ჩვენს მიერ სისტემის განხილვა მიმდინარეობს ზემოდან ქვემოთ, ზოგადიდან კონკრეტულისკენ. სქემატურად იგი ასე გამოიყურება:



სისტემის ზედა ზღვარია სამეცნიერო მოღვაწეობა. რომელიც ყველაზე ზოგადი და მოცულობითი ცნება ჩვენს მიერ წარმოდგენილ სქემაში, რადგან სამეცნიერო მოღვაწეობა შემოქმედებითი პროცესია, რომლის დროსაც მეცნიერი, მიაზაროვნე დამოუკიდებლად ქმნის სამეცნიერო ნაშრომს. პუბლიკაციას თუ დოკუმენტს. სამეცნიერო მოღვაწეობა კვლევითი მოღვაწეობის სფეროა. რომელიც გამიზნულია ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების შესახებ ახალი ცოდნის გამოსაძიებლად და თავის თავში მოიცავს ასეთი ცოდნის შექმნის ყველა პირობას და ბოძებს: მეცნიერებს, მათ ცოდნასა და უნარს, მათ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, ასევე სამეცნიერო ინფორმაციის სისტემას.

სისტემის მეორე შრე, რომელიც იერარქიულად სამეცნიერო მოღვაწეობის ქვედა საფეხურს წარმოადგენს, არის სამეცნიერო ინფორმაცია და იგი მიიღება შემეცნების პროცესში, ადეკვატურად ასახავს ობიექტური რეალობის კანონზომიერებებს და გამოიყენება სამეცნიერო და საზოგადოებრივ-ისტორიულ პრაქტიკაში. სამეცნიერო ინფორმაციას ადგენს მეცნიერი, ქმნის რა მისივე ცოდნის ბაზაზე სხვადასხვა სახის ნაშრომსა თუ პუბლიკაციას.

სამეცნიერო ინფორმაცია საფუძველს უქმნის სამეცნიერო კომუნიკაციას, რომელიც შეადგენს სისტემის მესამე შრეს. სამეცნიერო ინფორმაცია და სამეცნიერო კომუნიკაცია ორი ურთიერთმასაზრდობელი და ურთიერთგანპირობებული კომპონენტია, რადგან თუ არ არსებობს ინფორმაცია, შესაბამისად არც კომუნიკაცია იარსებებს, რადგან სწორედ ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე ხორციელდება კომუნიკაცია, ჩვენს კერძო შემთხვევაში სამეცნიერო კომუნიკაცია, რომელშიც მონაწილეობენ მეცნიერები ან ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები.

სამეცნიერო კომუნიკაციის წიაღში იღებს სათავეს და ყალიბდება საინფორმაციო მოღვაწეობაც, რომელიც ბუნებრივად და ლოგიკურად გამოიყოფა მეცნიერების განვითარების გარკვეულ ეტაპზე და რომელიც ჩვენს მიერ შედგენილი სისტემის ობლიგატორულ წევრად ითვლება და მის მეოთხე შრეს წარმოადგენს. საინფორმაციო მოღვაწეობა მოიცავს ერთი მხრივ. — ინფორმაციის, ცნობების, გარკვეული მონაცემებისა თუ ცოდნის გადაცემას როგორც ტექნიკური არხებით (პრესა, ტელევიზია, კომპიუტერი, მართვის სისტემები და პროცესები), ასევე მეორე მხრივ, იგი გულისხმობს ინფორმაციის გადაცემის, მისი გადამუშავებისა და შენახვის პროცესებს. ცხადია, ორივე მომენტი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ეს არის ინფორმაციის სისტემის ორგანიზაცია.

სისტემის მეხუთე შრეა — საინფორმაციო მომსახურება, რომელიც იერარქიულად საინფორმაციო მოღვაწეობის მომდევნო ქვედა საფეხურია და მისგან გამომდინარეობს. საინფორმაციო მომსახურების, როგორც შედარებით ახალი დარგის შექმნა გამოიწვია სამეცნიერო მოღვაწეობის საზოგადოებრივ, სამეცნიერო-ტექნიკურსა და საგანუთო-პუბლიცისტურ დარგებში არსებული ლიტერატურის, პუბლიკაციების, მონოგრაფიებისა და დაკუმენტაციის მნიშვნელოვანმა ზრდამ. საინფორმაციო მომსახურება სამეცნიერო-პრაქტიკული დისციპლინაა, რომელიც იკვლევს ინფორმაციის მოპოვების, შეგროვების, გადამუშავების, გავრცელების, გამოყენების, შენახვისა და მიწოდების პრობლემებს. მისი მიზანია საინფორმაციო ორგანოებისა და სამსახურების მიერ სპეციალისტების უზრუნველყოფა საჭირო სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციით. საინფორმაციო მომსახურება სხვადასხვა გზით ხორციელდება, ესენია: საინფორმაციო გამოცემები (რეფერატული ჟურნალები, საცნობარო ბიულეტენები და ა. შ.), ლიტერატურის სიები, რეფერატები და ანოტაციები. სამეცნიერო შრომების თარგმნა, მიმოხილვითი საშუალების ჩატარება-მომზადება და ა.შ. საინფორმაციო მომსახურება ითვალისწინებს აგრეთვე ადრესატებისთვის ლიტერატურის — სამეცნიერო

შრომების დედნებისა და მათი მეორადი დოკუმენტების მიწოდებას. საინფორმაციო მომსახურება მოქმედებს საინფორმაციო ორგანოებთან ურთიერთშეთანხმებით და იყენებს ტექნიკურ საშუალებებს ინფორმაციის შენახვის, მისი ძებნის, აღნუსხვისა და გადაცემის სისტემათა შემუშავების მიზნით. საინფორმაციო ორგანო შეიძლება იყოს როგორც დაწესებულება (ინსტიტუტი, ცენტრი), ისე რომელიმე უწყება, ფირმა, განყოფილება, სამეცნიერო ინფორმაციის ბიურო და ა. შ. საინფორმაციო მომსახურების ოპერაციებს ასრულებს საინფორმაციო დარგის მუშაკთა პროფესიონალური ჯგუფი – ინფორმატორები, ბიბლიოთეკარები, რეფერენტები, საგამომცემლო მუშაკები და სხვანი. ყველა ეს ოპერაცია უნდა გაიმძღვნოს საჩუქრად მოღვაწეობისაგან, რომელიც უშუალოდ შეეხება ან სპეციალისტთა მიერ ხორციელდება, რადგან კვალიფიციური საინფორმაციო მომსახურება ინფორმაციის დარგის სპეციალისტთა ამოცანაა.

საინფორმაციო მომსახურება, იმის მიხედვით, თუ რა მოთხოვნებს აკმაყოფილებს იგი, იყოფა ოთხ სახეობად:

1. ბიბლიოგრაფიული ანუ დოკუმენტოგრაფიული მომსახურება – სპეციალისტებს ეძლევათ მონაცემები პირველადი დოკუმენტის სახეობის, მისი ავტორისა და დოკუმენტის ადგილსამყოფელის შესახებ.
2. ფაქტოგრაფიული მომსახურება – სპეციალისტებს უშუალოდ ეძლევათ ფაქტები და კონკრეტულები პირველადი დოკუმენტის გვერდის ავლით.
3. კონცეპტუალური მომსახურება – სპეციალისტებს ეძლევათ ინფორმაცია მოკლე და ინტერპრეტირებული ფორმით.

4. მიმოხილვით-ანალიტიკური (შეფასებითი) მომსახურება – სპეციალისტებს ეძლევათ ინფორმაცია მოკლე და ინტერპრეტირებული ფორმით, რასაც თან ახლავს ინტერპრეტატორის შეფასება, მისი კომენტარი.

ამრიგად, საინფორმაციო მომსახურება – ესაა დოკუმენტალური, ფაქტოგრაფიული, კონცეპტუალური* და მიმოხილვით-ანალიტიკური (შეფასებითი) მომსახურების მეთოდების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ინფორმაციული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, უფრო ზუსტად, საინფორმაციო მომსახურება მიზნად ისახავს სხვადასხვა პროფესიული მოთხოვნების ინფორმაციულ დაკმაყოფილებას, რათა სპეციალისტს გაუადვილდეს უმოკლეს ვადაში მისთვის სასურველი ინფორმაციისა თუ ლიტერატურის მოძიება. თუ გაეითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად სამი მილიონი სტატია იბეჭდება, რაც დაახლოებით 60 მილიონ გვერდს შეადგენს, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემა, რომელიც მიმოხილვას ინფორმაციულ წყაროებსა და ბიბლიოგრაფიას, ახდენს დოკუმენტის ინდექსირებას საინფორმაციო-საძებნი ენის საშუალებით, რაც გამოიყენება ამა თუ იმ ტექსტის ადვილად მოსაძებნად, ეზმარება ინფორმაციით დაინტერესებულ მკითხველს მიიღოს გადაწყვეტილება მიმართოს თუ არა მან ამა თუ იმ სამეცნიერო ნაშრომს, ორიგინალს.

საინფორმაციო-საძებნი ენა წარმოადგენს ნიშანთა სისტემას ტექსტების (დოკუმენტების) ძირითადი შინაარსის გადმოსაცემად. ყოველი საინფორმაციო-საძებნი ენა შედგება ანბანისაგან (ელემენტარულ სიმბოლოთა ნუსხა), ტერმინთა შედგენისა და ინტერპრეტაციის წესებისაგან. ტერმინთა შედგენის წესებით განისაზღვრება ელემენტარულ სიმბოლოთა რა კომბინაციებია დასაშვები სიტყვებისა და გამონათქვამის შედგენისას, ხოლო ინტერპრეტაციის წესები – როგორ უნდა გავიგოთ ეს სიტყვები და გამონათქვამები.

საინფორმაციო მოღვაწეობისა და საინფორმაციო მომსახურების სფეროები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ერომანეთისაგან. ამაში დაგეგმვარება ცნების „კოდნა“ განმარტება. კოდნა,

ერთი მხრივ – ეს არის სინამდვილის ჭეშმარიტი, ადეკვატური ასახვა, რომელიც შემოწმებულია საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკით და ლოგიკურადაა დადასტურებული. ცოდნა ადამიანის ცნობიერებაში არსებობს წარმოდგენების, ცნებებისა და თეორიების სახით.

ამგვარ ცოდნას სისტემური, ანუ ზოგადი, ენციკლოპედიური ცოდნა ეწოდება. იგი მეცნიერული მეთოდებით მიიღება და ობიექტურ შემოწმებადობასა და ლოგიკურ მტკიცებას ექვემდებარება. სისტემური ცოდნა აფიქსირებს ობიექტურა, სამყაროს საგანთა და მოვლენათა შორის მუდმივ, მყარსა და აუცილებელ კავშირებს. სისტემური ცოდნის მატება სამეცნიერო მოღვაწეობის საბოლოო მიზანია.

მეორე მხრივ, არსებობს სიტუაციური ცოდნა – ეს არის მეცნიერთა ან საქმიანობის მთელი შემოთავაზებული წინადადებები, რომლებიც ასახავენ არა მუდმივ, მყარსა და აუცილებელ კავშირებს, არამედ დროებით, განსაზღვრულ სიტუაციასთან მიმართებაში არსებულ კავშირებსა და დამოკიდებულებებს. მეცნიერთა მიერ მოწოდებული ამ ტიპის წინადადებები არ არის მეცნიერების, როგორც სისტემის ელემენტები, არამედ ისინი წარმოადგენენ იმ „კარემოს“, რომელშიც ზღვება სისტემური ცოდნის განვითარება და მისი ფორმირება. ამ ტიპის ცოდნას სიტუაციური ეწოდება იმიტომ, რომ აქ სდება იმ ფაქტთა და კონცეფციათა აღწერა და შეფასება, რომლებიც კონკრეტული სიტუაციის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. სიტუაციურ ცოდნას მიაკუთვნებენ აგრეთვე ამა თუ იმ სამეცნიერო კვლევითი ობიექტის მდგომარეობის, ტენდენციებისა და განვითარების პერსპექტივების აღწერას.

სისტემური ცოდნა – მეცნიერთა და საქმიანობის „პერეოგატივია“. სიტუაციური ცოდნა კი – კონკეტუალური მომსახურების სფეროს კუთვნილება.

საინფორმაციო მომსახურების ანალიზურ-სინთეზური გადამუშავების მიზანია შეადგინოს მეორადი დოკუმენტი ისე, რომ მან ეკონომიური, მომჭირნე ფორმით გადმოსცეს პირველადი დოკუმენტის ძირითადი შინაარსი და ამავე დროს არ დაარღვიოს და მაქსიმალურად შეინარჩუნოს მისი ინფორმაციულობა, ანუ ანალიზურ-სინთეზური გადამუშავების შედეგად კომპაქტურად უნდა იქნეს წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტი.

საზოგადოებრივი, სამეცნიერო-ტექნიკური და საგაზთო-პუბლიცისტური ჟანრის ლიტერატურის ანალიზურ-სინთეზურმა გადამუშავებამ უნდა უზრუნველყოს საქმიანობის სათვის, ამ დარგში მომუშავე მეცნიერთათვის, მკვლევართათვის, დაინტერესებულ პირთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება, რაც წინაპირობაა სამეცნიერო კომუნიკაციისა.

ზოგადად საინფორმაციო მოღვაწეობის, და კერძოდ კი მისი დარგის – საინფორმაციო მომსახურების შედეგად პირველადი დოკუმენტი, როგორც სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის რეზულტატი, დაფიქსირებული მატერიალური ობიექტი, გარდაიქმნება მეორად დოკუმენტად, რომელიც წარმოადგენს პირველადი დოკუმენტის, ორიგინალის, ანალიზურ-სინთეზური და ლოგიკური დამუშავების საბოლოო შედეგს. ასეთი დოკუმენტებია: საცნობარო ლიტერატურა, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა და აღწერა, ბიბლიოგრაფიული საძიებლები, კატალოგები, ექსპრეს-ინფორმაციის მასალები, რეფერატი და ანოტაცია.

როგორც ეხებათ, რეფერატი და ანოტაცია – სისტემის ქვედა ზედარის მეხუთე და მეექვსე შრის ეს ორი ელემენტი ეკუთვნის მთლიანად სისტემას და შესაბამისად, სრულყოფილს ქმნის მას. რეფერატი და ანოტაცია – მთელი ამ პროცედურის საბოლოო ლოგიკური მიზანი და შედეგია. სისტემა არ იქნებოდა დასრულებული მათ გარეშე, ყველა შრე გულისხმობს ერთმანეთს. ისინი განაპირობებენ ერთმანეთს და ამავედროულად დამოუკიდებელ პოზიციას იკავებენ სისტემის ჩარჩოებში.

რეფერატივისა და ანოტაციის რეიტრანსკრეცია

ზოგადი ბიბლიოგრაფიული თეორიის ჩამოყალიბებამდე და შემდგომში სამეცნიერო-საინფორმაციო მომსახურების წარმოშობამდე პრაქტიკულად ზშირად გამოიყენებოდა ორი ტერმინი – რეფერატი და ანოტაცია – როგორც ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორი სხვადასხვა მიმართულება, რომელთა ძირითად მიზანს შეადგენდა წიგნთა მხოლოდ აღწერა, აღწერა.

ადრეული ქრისტიანული ხანიდან მოყოლებული ძველი ქართული წერილობითი ძეგლები შეიცავს საინტერესო ბიბლიოგრაფიულ მასალას. ლიტერატურული ძეგლების გარდა ბიბლიოგრაფიული სიები გვხვდება სხვადასხვა ანდერძსა და პირად საქმიან ქაღალდებში. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში გავრცელდა ე. წ. „მზითვის წიგნები“, რომლებშიც გვხვდება წიგნების ნუსხებიც (განსაკუთრებით საგულისხმოა ანუკა ბატონიშვილის, ელისაბედ ბატონიშვილის, ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენეს და სხვათა „მზითვის წიგნები“). აღსანიშნავია, რომ ამ ნუსხებში წიგნები ჩამოთვლილია თემატურად: „სასულიერონი“, „საერონი“ და სხვ.

მე-18 საუკუნეში, წიგნის ბეჭდვის გავრცელებისთანავე, მთავრდება ხელნაწერი ბიბლიოგრაფიის ხანა და იწყება ბეჭდური ბიბლიოგრაფიის ეპოქა. ამ პერიოდის დასაწყისში ბიბლიოგრაფიული ცნობები უფრო კრიტიკულ-მიმოხილვითია, ვიდრე აღწერითი (ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“, რომლის მე-7 თავში მოხსენიებულია 70 მწერალი და მოცემულია მათი ნაწარმოებების მიმოხილვა). 1798 წელს ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრანც ალტერმა გამოსცა წიგნი „ქართული ლიტერატურის შესახებ“, რასაც დაურთო ვენის სახელმწიფო და ვატიკანის ბიბლიოთეკებში არსებული ქართული ხელნაწერებისა და ძველი ნაბეჭდი წიგნების სია. 1837 წელს მარი ბროსემ პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა“, რომელსაც დაურთო ქართული ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების ნუსხა. 1810 წელს დავით რექტორს საკმაოდ ვრცელი კატალოგი შეუდგენია, რომელიც 1894 წელს გამოაქვეყნა ა. ცაგარელმა წიგნში „ცნობები ქართული მწერლობის ძეგლების შესახებ“ (რუსულ ენაზე). 30-იანი წლების დასაწყისში ს. დოდაშვილმა „ტიფლისის უწყებანის“ ერთ-ერთ ნომერში გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი „ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა“, მან კატალოგიც შეადგინა, რომელშიც 600-მდე წიგნი ყოფილა აღწერილი.

წიგნის მალაზიება და ვაგომცემლობებმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს საქართველოში ბიბლიოგრაფიული მემკვიდრეობის შექმნაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კატალოგი „გ. ჩარკვიანისა და ამხანაგობის ქართული წიგნის მალაზიისა“ (1881). ამ კატალოგს რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობაც ჰქონდა. ამასთან იგი პირველი ნაბეჭდი ბიბლიოგრაფიული ნუსხაა, რომელიც მასობრივი მკითხველისთვის იყო გამიზნული. 1887 წელს ნ. მთავრელაშვილმა გამოაქვეყნა „კატალოგი წიგნსაცავისა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“. მეცნიერული ბიბლიოგრაფიის საფუძველზე აგებული ამავე საცავის მეორე კატალოგი, რომელიც 1905-1911 წლებში გამოცა. ამ დროისათვის საზოგადოებამ თავი მოუყარა ქართული ნაბეჭდი წიგნებისა და ხელნაწერთა უდიდეს ნაწილს. ამდენად, ამ კატალოგს, ერთგვარად, ქართული წიგნის რეპუტაციის პრეტენზიაც უქონდა. საყურადღებოა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ

სტუდენტთა მიერ შედგენილი „ქართული ბიბლიოგრაფია“. ესაა ქართულ პერიოდულ გამოცემებში (1852-1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მასშტაბური – ქართული პერიოდიკის სრული ანალიტიკური აღწერის პირველი სერიოზული ცდა.

საქართველოში პირველი პერიოდული საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული ქართული ჟურნალი „წიგნის მეგობარი“ გამოვიდა თბილისში 1925 წელს. 1939 წლიდან გამოდის „ჟურნალის სტატიების მატიანე“ - სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ყოველთვიური ორგანო, რომელმაც აღნუსხულა საქართველოში ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე გამოცემული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურული და სამეცნიერო ჟურნალების ყველა სტატია. 1940-1948 წლებში გამოიცა „ბიბლიოგრაფიის მოამბე“ - პირველი სპეციალური ბიბლიოგრაფიული ჟურნალი ქართულ ენაზე.

რუსეთში ბიბლიოგრაფია მე-11 ს-ში ჩაისახა. მომდევნო პერიოდის წიგნების სიები ძირითადად გვხვდება საეკლესიო დოკუმენტებში. დროთა განმავლობაში საზოგადოების განვითარებასთან ერთად მრავალი მწერალი, მეცნიერი თუ საზოგადო მოღვაწე საჭიროდ მიიჩნევა და ბიბლიოგრაფიული მუშაობის წიაღში ახალი სპეციალური მიმართულებების დანერგვის აუცილებლობას შეცნობისა და ლიტერატურის დარგში სხვადასხვა მიღწევათა შეკრების, გადამუშავებისა და წარდგენის მიზნით. ისინი საკუთარი ინტუიციიდან გამომდინარე ადგენენ თეორიულად ბევრ საინტერესო პროექტს, რომელთა განხორციელებაც იმ პერიოდში მაშინდელი პირობების გამო ვერ ხერხდებოდა. ამ მდგომარეობას ეხმიანება ფ. დოსტოვესკი რომანში „ევმაქია“, სადაც მწერალმა აღწერა ე. წ. „ფაქტების წიგნი“. იგი წერდა: „რუსეთში იბეჭდება უამრავი ცენტრალური თუ პროვინციული ჟურნალ-გაზეთი, რომლებიც ყოველდღიურად გვამცნობენ რუსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ. წლები გადის, გაზეთები თარობზე ინახება ... მოგვიანებით ბევრია მსურველი გადახედოს გამოსულ ინფორმაციას, მაგრამ რა საშინელი შრომაა, ჟურნალ-გაზეთების ამ ზღვაში მოძებნო შენთვის სასურველი ფურცელი, როცა არც კი იცი, რომელ დღეს, რომელ ადგილას და ხანდახან რომელ წელს მოხდა ესა თუ ის მოვლენა და თუკი ყველა იმ ფაქტს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მოხდა, აკვირმავთ და ჩვენივე შემუშავებული გეგმისა და შინაარსის მიხედვით ერთ წიგნად გამოვცემთ, სათაურის, მითითებების, თვეებისა და რიცხვების მიხედვით, მაშინ ამგვარი წიგნი შეგვიქმნიდა წარმოდგენას რუსეთში ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებზე.“

ბიბლიოგრაფიული მუშაობის ამგვარ წიაღში აღმოცენდა სამეცნიერო კომუნიკაციის თანამედროვე ეტაპის ყველაზე რაციონალური და ხელმისაწვდომი მომსახურების სფერო – სამეცნიერო-საინფორმაციო მომსახურება, რომელშიც ცენტრალური ადგილი უჭირავს და მთელი რიგი უპირატესობით სარგებლობს რეფერატი, რომელიც შეიცავს ცნობებს სამაშულო და საზღვარგარეთული მეცნიერების უახლესი მიღწევების შესახებ და მკითხველს წარმოდგენას უჭმნის მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარების ტენდენციებზე. რეფერატის მიზანია აცნობოს სპეციალისტებს სხვადასხვა დარგებში მიღწეული წარმატებები, ეხმარება მეცნიერს კვლევის მიმართულების განსაზღვრასა და კვლევის მეთოდების შერჩევაში.

პირველადი დოკუმენტის რეფერატი, ანოტაცია და ბიბლიოგრაფიული ცნობები ქვეყნდება პერიოდულ გამოცემაში – რეფერატულ ჟურნალში – რომელიც მეცნიერების ცალკეული დარგების მიხედვით გამოდის და ამავე დროს, სამეცნიერო ინფორმაციის წყარო და სამეცნიერო კომუნიკაციის საშუალებაა. იგი აქვეყნებს სამეცნიერო შრომების რეფერატებსა და ბიბლიოგრაფიულ აღწერილობებს საცნობარო-სამიგებო აპარატთან ერთად. რეფერატულ ჟურნალებს ორი ფუნქცია აქვს: დროულად და კომპაქტურად მიაწოდოს მკითხველს ცნო-

ბები გამოკვეთილი ლიტერატურის შესახებ და გაუადვილოს მას შესაბამისი დარგების მიხედვით დოკუმენტაციის მოძიება. მათი მეშვეობით შესაძლებელია მიმდინარე და რეტროსპექტული ძიება მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ყველა დარგში. რეფერატული ჟურნალი ხელს უწყობს მეცნიერთა ერთიანობას. სამეცნიერო-ტექნიკური ტექნოლოგიის მოწესრიგებას და ეხმარება მეცნიერს გადალახოს საინფორმაციო ბარიერი.

რეფერატულ ჟურნალებს წარმოშობის საინტერესო ისტორია აქვთ: მე-17 საუკუნის ეროპასა და მე-18 საუკუნის რუსეთში პირველად გამოჩნდა სამეცნიერო ჟურნალები, რომლებსაც მეორადი, ანუ რეფერატულ-ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გაერცელების წყაროდ იყენებენ. საინფორმაციო მომსახურების გაშლასთან ერთად თანდათანობით ჩამოყალიბდა მეორადი დოკუმენტაციის ახალი სახეობები, უპირველეს ყოვლისა – რეფერატი და ანოტაცია. რეფერატი დასაბამს იღებს მე-17 საუკუნიდან, კერძოდ, 1665 წელს გამოვიდა ჟურნალის „Journal des Savants“ პირველი ნომერი. მისი დამაარსებელი, დენი სალო წერდა, რომ ჟურნალის ამოცანაა მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს ინფორმაცია ფიზიკისა და მათემატიკის დარგში ახალი წიგნების, ცდებისა და გამოგონებების შესახებ“. რუსეთში რეფერირების ცენტრად იქცა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია. პირველი რუსული რეფერატული ჟურნალი „Краткое описание комментариев Академии Наук“ გამოიცა 1728 წელს.

რეფერატული ჟურნალი წარმოიშვა პუბლიკაციათა მზარდი ტალღის დასარეგულირებლად. ცხადია, პირველ ეტაპზე ამგვარ ჟურნალს უფრო მეტად ანოტაციური ხასიათი ჰქონდა და ორიენტირებული იყო იმაზე, რომ მკითხველისთვის გაეიოლებინა დოკუმენტალური ნაკადიდან მათთვის საინტერესო წიგნის შერჩევა. მოგვიანებით ჟურნალმა რეფერატული ხასიათი მიიღო და ხელი შეუწყო მკითხველს მიეღო ზუსტი და კომპაქტური ინფორმაცია მისთვის საჭირო „წიგნიდან“. ე. ი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შევიძლია ვიგულისხმობთ, რომ მე-17-18 საუკუნეებში პრაქტიკულად უკვე ზორციელდებოდა და ინერგებოდა ნაშრომის შინაარსისადმი ორგვარი მიდგომა: დოკუმენტალური – ანოტაციის სახით და ფაქტოგრაფიული, ანუ ინფორმაციული – რეფერატის სახით. ამის შემდეგ რეფერატი და ანოტაცია სამეცნიერო კომუნიკაციის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობათა ზრდასთან ერთად იზრდება რეფერატული ჟურნალის გამოცემათა რაოდენობა, ფართოვდება თემატიკა, იხვეწება რეფერირების მეთოდოლოგია. 1984 წელს მსოფლიოში გამოდიოდა 1,5 ათასი რეფერატული ჟურნალი მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგსა თუ ქვედარგში ცალკეულ პრობლემებზე.

სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგი – სამეცნიერო შრომა თუ სტატია იბეჭდება სამეცნიერო ჟურნალში, რომელიც პერიოდულად გამოიცემა. სამეცნიერო ჟურნალს ენათესავება სამეცნიერო ბიულეტენები, ესპარეს-ინფორმაციის ბროშურები, სამეცნიერო სტატიებისა და მოხსენებების სხვადასხვა ტიპის კრებულები. ეს ე. წ. პირველადი სამეცნიერო ჟურნალებია, რომლებშიც შრომები ქვეყნდება ორიგინალის სახით. ამგვარი ჟურნალები პირველწყაროთა, ორიგინალთა ჟურნალებია, ზოლო მასალები მათ შესახებ ქვეყნდება მეორად სამეცნიერო ჟურნალებში, ანუ რეფერატულ ჟურნალებში. ამავე ჟურნალებში ქვეყნდება სამეცნიერო ინფორმაციული და ბიბლიოგრაფიული ხასიათის მასალები. ასეთებია: რეფერატული ჟურნალების მაჩვენებლები, სასიგნალო ინფორმაცია, ბიბლიოგრაფიული ჟურნალები. რეფერატული ჟურნალების მეშვეობით შესაძლებელია სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ყველა დარგში მიმდინარე და რეტროსპექტული ძიება. ამ ტიპის ჟურნალთა საშუალებით აღიკვეთება საინფორმაციო ბარიერი.

სამეცნიერო კომუნიკაციის, საინფორმაციო მოღვაწეობისა და საინფორმაციო მომსახურების მოდელები

კომუნიკაცია განისაზღვრება როგორც ენობრივი ურთიერთობა, ადამიანის მიერ ადამიანისათვის ინფორმაციის გადაცემა. იგი ხორციელდება ყოველგვარი საქმიანობის პროცესში მეტყველების ან სხვა აქტების მეშვეობით, რომლებიც ნიშნებს იყენებენ. ნებისმიერი სახის – ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაცია იყოფა სამ ნაწილად: ინფორმაციის გაგზავნა (კოდირება), ინფორმაციის გადაცემა საკომუნიკაციო არხის საშუალებით და ინფორმაციის მიღება (დეკოდირება). შესაბამისად, კომუნიკაციის აქტში მონაწილეობს სამი კომპონენტი: 1. ინფორმაციის გამგზავნი (კომუნიკატორი, მოლაპარაკე, დამწერი, ინფორმაციის გატარება-გადაცემის პროცესი, არამედ თვით მასალაც, რომელსაც გადააქვს ინფორმაცია და 3. ინფორმაციის მიმღები (კომუნიკანტი, მსმენელი, მკითხველი, ადრესატი). ორივე სახის კომუნიკაცია – ზეპირი თუ წერილობითი – ხორციელდება კომუნიკაციურ მოდელში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე და მისი ანალოგიით ვეცდებით ავაგოთ სამეცნიერო კომუნიკაციის, საინფორმაციო მოღვაწეობისა და საინფორმაციო მომსახურების მოდელები, რადგან ჩვენს მიერ შემოთავაზებული სისტემის ეს სამი შრე უშუალოდ უკავშირდება რეფერატსა და ანოტაციას.

სამეცნიერო კომუნიკაციის, საინფორმაციო მოღვაწეობისა და საინფორმაციო მომსახურების მოდელების დასადგენად საბაზისოდ ვიღებთ გლობალურ სამკომპონენტო მოდელს: ადრესანტი – არხი – ადრესატი.

სამეცნიერო კომუნიკაციის მოდელი შეიძლება ორ ვარიანტად წარმოვადგინოთ, რადგან სამეცნიერო კომუნიკაციის განხორციელება ორი სახითაა შესაძლებელი – წერილობითი ან ზეპირი ფორმით.

1. სამეცნიერო კომუნიკაცია = ადრესანტი — სამეცნიერო ნაშრომი — ადრესატი

<i>(მეცნიერი, ავტორი)</i>	<i>(სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგი – წერილობით დაფიქსირებული, მატერია- ლი ზეპული დოკუმენტი, ტექსტი)</i>	<i>(მეცნიერი, ასპირანტი, დაინტერესე- ბული პირი)</i>
-------------------------------	--	---

2. სამეცნიერო კომუნიკაცია = ადრესანტი — მეცნიერული დისკურსი — ადრესატი

<i>(მეცნიერი, ავტორი)</i>	<i>(დისკურსი, მსჯელობა, კამ- თი, სამეცნიერო მოღვაწე- ობის შედეგი – ზეპირი არამატერიალი ზეპული ტექსტი)</i>	<i>(მეცნიერი, ასპირანტი, დაინტერესე- ბული პირი)</i>
-------------------------------	---	---

სამეცნიერო კომუნიკაციის მოდელის ორ ვარიანტად წარმოდგენის საფუძველს იძლევა ტექსტისა და დისკურსის* გამიჯვნა ერთმანეთისგან, რაც წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციების ზოგადად და ჩვენს კერძო შემთხვევაში – წერილობითი და ზეპირი სამეცნიერო კომუნიკაციების დამოუკიდებელ არსებობას განაპირობებს, ამრიგად, ერთმანეთისაგან ვმიჯნავთ სამეცნიერო კომუნიკაციას, რომლის მოდელის

საკომუნიკაციო არხი წერილობით დაფიქსირებული მატერიალური სახის დოკუმენტი, სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგი — სამეცნიერო ნაშრომი, და სამეცნიერო კომუნიკაციას, რომლის მოდელის საკომუნიკაციო არხი ზეპირი, არამატერიალიზებული ტექსტი, დისკურსია, რომელიც ცოცხალი, ზეპირი მეტყველებისას ხორციელდება დისკუსიის, მსჯელობის, კამათის თუ სხვათა სახით.

საინფორმაციო მოღვაწეობა ასევე სამკომპონენტოანი მოდელის ფონზე ხორციელდება, თუმცადა აქ უფრო აბსტრაქტულ ცნებებთან გვაქვს საქმე და მას ზოგადმეცნიერული, ფსიქოლოგიურ-ლოგიკური ელფერი დაჰკრავს. მისი ინტერპრეტაცია უშუალოდ ტექსტის ინტერპრეტაციას, მის ლოგიკურ-სინთეზურ ანალიზს და აღქმულ-გაანალიზებული ტექსტის გადაცემის მეთოდებს გულისხმობს.

საინფორმაციო მოღვაწეობა = ტექსტი — 1 გააზრება — მიწოდება
(მეცნიერის, ავტორის მიერ დაფიქსირებული მატერიალიზებული ობიექტი) *(ინტერპრეტაცია)* *(დამუშავებული ობიექტის გადაცემის ფორმები)*
 2. გადამუშავება/ანალიზი *(ლოგიკურ-ფსიქოლოგიური პროცესი)*

სამეცნიერო კომუნიკაციის მსგავსად საინფორმაციო მოღვაწეობის ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელი ასევე ორი ფორმით შეიძლება განხორციელდეს — ზეპირი და წერილობითი, მოდელის პირველი კომპონენტი — ტექსტი — აქ ადრესანტის ფუნქციას ასრულებს, რადგან საინფორმაციო მოღვაწეობისას, როცა ინტერპრეტატორი მუშაობს ტექსტზე, წინა პლანზე წამოიწევს თვითონ შედეგი, ანუ წერილობითი დაფიქსირებული ტექსტი, რადგან ტექსტია სწორედ ის ობიექტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას, ხოლო მისი ავტორი დროებით გადაიწვეს უკანა პლანზე.

საინფორმაციო მოღვაწეობის მოდელის საკომუნიკაციო არხი ორი პუნქტისაგან შედგება. პირველია ტექსტის გააზრება, მისი გაგება, თუ უფრო ზუსტად ვიტყვი, მისი სწორად გაგება, ისე, როგორც დაისახა და ჩაიფიქრა მეცნიერმა/ავტორმა — მისი ინტენციის* განსაზღვრა დამოკიდებულია ინტერპრეტატორის კომპეტენციაზე. ინტერპრეტატორმა შეიძლება ტექსტი გაიაზროს და გაიგოს ის ავტორის მიერ დასახული მიზნის შესატყვისად, ანუ ინტენცია და ინტერპრეტაცია* სრულ შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან ან პირიქით — არ მოხდეს ინტენციისა და ინტერპრეტაციის თანხედრა.

ამავე მოდელის საკომუნიკაციო არხის მეორე პუნქტი წარმოადგენს ლოგიკურ-კონცეპტუალური აზროვნების პროცედურას, გააზრებული ტექსტის გადამუშავებას, მის ანალიზს*. ტექსტის ანალიზი გულისხმობს მის აზრობრივ დაშლას შემადგენელ ნაწილებად, ტექსტის სტრუქტურაში წედომას, მისი ცალკეული ნაწილების თავისებურებათა დადგენას, მათი ურთიერთდამოკიდებულების სასიათს, მთელის კავშირს შემადგენელ ნაწილებთან. ანალიზი წარმოადგენს მოსაშაღებელ საფეხურს იმისათვის, რომ მივაგნოთ ტექსტის არსს, ერთეულიდან გადავიდეთ ზოგადზე, წარმოადგენიდან — ცნებაზე. ანალიზი დაკავშირებულია სინთეზთან*. ანალიზს შემეცნება კონკრეტულიდან მიჰყავს აბსტრაქტულისაკენ, ხოლო სინთეზის დროს შემეცნება აბსტრაქტულიდან კვლავ უბრუნდება კონკრეტულს, მაგრამ ამჯერად როგორც მეცნიერულად დიფერენცირებულს* და არაქაოსურს.

მოდელის შესაბამე კომპონენტი – მიწოდება (იგულისხმება გააზრებულ-გაანალიზებული ტექსტი) და მისი ფორმები გულისხმობს ამავე მასალის გადაცემის ზეპირსა თუ წერილობით საშუალებებს, რა სახით უნდა მიეწოდოს ადრესატს ტექსტი – სრული თუ შემოკლებული, შეკვეცილი ფორმით, ფაქტოგრაფიული თუ კონცეპტუალური სახით – ამ კითხვებზე პასუხს მოიხზოვს ეს კომპონენტი.

საინფორმაციო მოღვაწეობას ზეპირი ფორმით განხორციელებისას მისი მოდელის ორი კომპონენტი შეიძლება იყოს არამატერიალიზებული. საილუსტრაციოდ მოგვაქვს ბანალური მაგალითი ყოველდღიური სასწავლო პროცესიდან: აუდიტორიაში ლექტორმა უნდა ახსნას ახალი მასალა (ტექსტი, რომელიც მან ამოიკითხა სახელმძღვანელოდან – მატერიალიზებული ობიექტია), ლექტორი ჯერ თავად გაიზრებს ტექსტს, დაამუშავებს, გაანალიზებს მას (ლოგიკურ-შემეცნებითი პროცედურა – არამატერიალიზებული ობიექტია) და შემდეგ გადასცემს მასალას მსმენელებს, აუხსნის მათ მასალას ზეპირი ფორმით (დისკურსი, ზეპირი ტექსტი, არამატერიალიზებული).

საინფორმაციო მოღვაწეობის წერილობითი ფორმით განხორციელებისას მისი სამივე კომპონენტი მატერიალიზებულია. ტექსტი – გასაანალიზებული ობიექტი – მატერიალიზებულია. ფიქსირებულია: გააზრება / გადაამუშავება / ანალიზი შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ფორმითაც ტექსტში აღნიშვნების, ტექსტის ცალკეული ნაწილების მარკირების საშუალებით, ხშირად ტექსტის მნიშვნელოვან კომპონენტებს ხაზი გაესმის, შესაძლებელია ტექსტის დაკონსპექტებაც, მისი გეგმის შედგენა და ა. შ. ყველა ეს პროცედურა მატერიალიზებულია. მიწოდების ფორმა – ტექსტი მიეწოდება დანტერესებულ პირს ისევე წერილობითი ფორმით.

საინფორმაციო მოღვაწეობა = ტექსტი – 1. გააზრება – 3. მიწოდება

<p>(მატერიალიზებული, დაფიქსირებული ობიექტი)</p>	<p>(კითხვის პროცესში ჩანიშნების გაკეთება) 2. გადაამუშავება / ანალიზი (ტექსტის გეგმის შედგენა, თემატურად ტექსტის ნაწილთა დალაგება / გადანაწილება და ა. შ.)</p>	<p>(ისევე წერილობით დაფიქსირებული, მატერიალიზებული ობიექტის ფორმით).</p>
---	---	--

აბსტრაქტულ ცნებებზე ორიენტირებული საინფორმაციო მოღვაწეობა წარმოადგენს საინფორმაციო მოშახურების მოსამზადებელ საფეხურს, რომელიც ასევე სამკომპონენტინი მოდელის სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ. მისი კომპონენტები ასეთ შემთხვევაში

არა აბსტრაქტული და ლოგიკური ცნებები, არამედ კონკრეტული შემადგენლებია. საინფორმაციო მომსახურების მოდელი ორ ვარიანტად შეგვიძლია წარმოვადგინოთ – ზეპირი-და წერილობითი სახით.

$$1. \text{ საინფორმაციო მომსახურება} = \text{კვაზიადრესანტი} - \text{რეფერატი} - \text{ადრესატი}$$

(რეფერენტი)

	-ანოტაცია	(მეცნიერი,
	(საინფორმაციო მომსახურების შედეგი – ფიქსირებული ტექსტი)	ასპირანტი, დაინტერესებული პირი)

საინფორმაციო მომსახურების შემთხვევაში ადრესანტის პოზიცია დაიკავა კვაზიადრესანტმა, რადგან ის არ არის სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, არამედ ის არის შუამავალი, ის აღამიანი, რომელიც გადასცემს ინფორმაციას ადრესატს. თუკი კვაზიადრესანტი არ ფლობს საინფორმაციო მოლგაწობის სამივე კომპონენტებსა თვის აუცილებელ ნიშან-თვისებებს, მაშინ ის ვერ მიახერხებს საინფორმაციო მომსახურებისადმი წაყენებული მოთხოვნების განხორციელებას. რაც შეეხება საინფორმაციო მომსახურების საკომუნიკაციო არხს, აქ იგი, ისევე, როგორც სამეცნიერო კომუნიკაციის შემთხვევაში, წარმოადგენს მასალას, რომელსაც გადააქვს ინფორმაცია და რომლის საშუალებითაც ზდება ინფორმაციის მიწოდება ადრესატისათვის. მოდელის მესამე კომპონენტი ადრესატი მეცნიერი, ასპირანტი ან დაინტერესებული პირია, რომლის ინტერესების დაკმაყოფილებაც წარმოადგენს მთლიანად საინფორმაციო მომსახურების მიზანს – მას სამეცნიერო ნაშრომი მიეწოდება კვაზიადრესანტის, რეფერენტის მიერ წერილობითი ფორმით დამუშავებული რეფერატის ან ანოტაციის სახით.

იგივე მოდელის მეორე ვარიანტი, ანუ ზეპირი ფორმა ამგვარად ხორციელდება:

$$2. \text{ საინფორმაციო მომსახურება} = \text{კვაზიადრესანტი} - \text{რეფერატი} - \text{ადრესატი}$$

(რეფერენტი)

	-მოხსენება	(მეცნიერი,
	(საინფორმაციო მომსახურების შედეგი – დისკურსი, ზეპირი სახით წარმოდგენილი ტექსტი)	ასპირანტი, დაინტერესებული პირი).

საინფორმაციო მომსახურების მოდელის ორი განსხვავებული საკომუნიკაციო არხი – ზეპირი თუ წერილობითი გვაძლევს განსხვავებას რეფერატ-მოხსენებასა და საკუთრივ რეფერატს შორის. რეფერატი-მოხსენება – ესაა ზეპირი სახით გადმოცემული, ცოცხალი დისკუსიისა და კამათის შემთხვევაში დიქტიკური ველის* ჩარჩოებში წარმოშობილი და ტექსტად ჩამოყალიბებული ზეპირი მეტყველება (აქ შეიძლება გავიხსენოთ ოპონირების პროცესიც დისერტაციების დაცვისას, როცა დისერტანტი და ოპონენტი* დისკუსიას მართავენ, შეიძლება დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებიც ჩაებან კამათში და ა. შ.).

საკუთრივ რეჟერატის შეიხვეყნაში სამკომპონენტინი სამეცნიერო მომსახურების საკომპონენტო არხი წერილობით დაფიქსირებული. მატერიალიზებული ტექსტია. დოკუმენტია. რომელიც კვაზიადრესანტის რეჟერენტის მიერა გამოქვეყნებული სამეცნიერო ტიპის კრებულსა თუ ჟურნალში.

ამგვარად. ამ მოდელში საკომპონენტო არხის ორგანიზაციის საფუძველზე მოვახდინეთ რეჟერატის ორი ტიპის – ზეპირი და წერილობითი რეჟერატების დიქტოგრაფია*, რომელთაგან პირველს ჩვენ რეჟერატი-მოხსენება ეწოდებოდა, ხოლო მეორეს – საკუთრივ რეჟერატი. ეს დიქტოგრაფია მიზნად ისახავს იმას, რომ არ მოხდეს აღრევა მოხსენების ტიპის რეჟერატსა და სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობის შედეგს – საკუთრივ რეჟერატს შორის. ამ მომენტის კვლევის ფოკუსში მოქცევას აუცილებლად იმითომ მივიჩნევთ, რომ დღემდე ორანოვანადა განხილული და არ არსებობს აღიარებული დეფინიცია* იმისა, თუ რა არის რეჟერატი, რადგან ის ხშირად ასოცირდება ძირითადად აუდიტორიის წინაშე განსახილველი საგნის გამოტანასთან. ეს განსხვავებები ამჟამად ხდება საინფორმაციო მომსახურების მოდელის ფონზე.

აქვე გვინდა ერთი მომენტიც გაითვალისწინოთ. ვთვლით, რომ ამ მომენტის ყურადღების მიღმა დატოვება გამოიწვევს კიდევ ერთ უზუსტობას, ამითომ განემარტავთ: რეჟერატ-მოხსენების შედეგისას კვაზიადრესანტი/რეჟერენტი ეყრდნობა წერილობით მასალას, რომელიც მან შემდგომში უნდა გააანალიზოს. ის ტექსტიც, რომელიც რეჟერენტმა-მოხსენებელმა აუდიტორიის წინაშე ზეპირი სახით უნდა წარმოადგინოს, ეფუძნება ისევ და ისევ წერილობით ტექსტს, რომელშიც მოიაზრება როგორც მასალა, რომელიც რეჟერენტმა უნდა დაამუშაოს, ასევე მოხსენება, რომელიც მან თავდაპირველად წერილობითი სახით შეადგინა, ხოლო შემდეგ გამოიტანა იგი ზეპირი სახით. ამდენად, რეჟერატ-მოხსენების საფუძველთა საფუძველიც ისევე წერილობითი ტექსტია.

საინფორმაციო მომსახურების ადრესატები არიან:

1. ინდივიდუალური ადრესატები, რომელთა წრე საკმაოდ დიდია. რეჟერატს ერთნაირი წარმატებით კითხულობს როგორც მეცნიერი, ასევე ასპირანტი, სტუდენტი ანდა ნებისმიერი დარგის სპეციალისტი. სპეციალისტების ერთი ჯგუფი დაინტერესებულია რომელიმე ვიწრო სპეციალობასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურით. მათთვის განსაზღვრული რეჟერატი ორიენტირებულია მეცნიერების კონკრეტული დარგის სპეციალისტზე, ანუ ვიწრო პროფესიის სპეციალისტზე. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რომელიმე ერთ პრობლემას, მაგ. ტექნოლოგიას, მეთოდს, ნივთიერებას. ცხადია, ასეთი რეჟერატი ვერ დააკმაყოფილებს იმ კატეგორიის მკითხველს, რომელსაც განსხვავებული და მრავალმხრივი პროფესიული ინტერესები აქვს. ამ ტიპის რეჟერატს „სპეციალიზებული“ რეჟერატი ეწოდება.

სპეციალისტების მეორე ჯგუფი დაინტერესებულია არა რომელიმე კონკრეტული მეცნიერების დარგით, არამედ სხვადასხვა მეცნიერების მომიჯნავე საკითხებით. ამდენად, რეჟერატმა უნდა დააკმაყოფილოს სხვადასხვა კატეგორიის ფართო პროფილის ადრესატთა ინტერესებიც. შესაძლებელია ამგვარი მკითხველები ცალკეული დარგის სპეციალისტები იყვნენ და მეცნიერების სხვადასხვა სფეროებს ეკუთვნოდნენ. თუკი რეჟერატი მონაცემებით უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი რეჟერატი უნივერსალურია. ამ ტიპის რეჟერატს „ზოგადს“ უწოდებენ. აქედან გამომდინარე, რეჟერატს ორი ადრესატი ჰყავს: ადრესატი, რომელშიც რეჟერატი ორიგინალის წაკითხვის ინტერესს აღიქმებს და ადრესატი, რომლისთვისაც რეჟერატი ზოგადად ორიგინალის ფუნქციას ასრულებს.

2. საინფორმაციო ორგანოები, ანუ კოლექტიური ადრესატები. მაგ.: დარგობრივი საინფორმაციო ცენტრები, სხვადასხვა კატეგორიის ბიბლიოთეკები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საინფორმაციო განყოფილებები. ამ ტიპის ადრესატები თვითონ არ არიან დაინტერესებულნი ინფორმაციით. ისინი იყენებენ რეფერატს საცნობარო-ინფორმაციული კარტოტეკების, კატალოგების, რეფერატული დოსიეს შესადგენად, ინფორმაციისა და დოკუმენტების მოსაძებნად, რაც შესაბამისი დარგების, უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების ამოცანებითაა განპირობებული.

რეჟერირება და რიტორიკა

საინფორმაციო მომსახურების მიზნებმა, სამეცნიერო ინფორმაციის ფუნქციებმა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზურ-სინთეზურმა გადამუშავებამ, მეორადი დოკუმენტის შექმნის აუცილებლობამ და ზოგადად ამ პრობლემების კვლევამ მიგვიყვანა ისეთ მეცნიერულ დარგამდე, როგორცაა რიტორიკა. სწორედ რიტორიკაში უნდა ვეძებოთ რეფერირების, როგორც მეორადი დოკუმენტის, ფესვები, რადგან ვთვლით, რომ ისევე როგორც ბევრი სხვა დისციპლინა, რეფერირებაც სწორედ რიტორიკიდან ამოიზარდა. რატომ უუკავშირებთ რეფერირებას რიტორიკის ცნებას და რატომ ვეძებთ რიტორიკის წიაღში რეფერირების ჩანასახს? ჩვენს მიერ ზემოთ უკვე გამოიხსენიებული იყო ერთმანეთისაგან საინფორმაციო მომსახურების სფეროში ორი სახის რეფერატი – ზეპირი და წერილობითი. სწორედ ეს დიქტომია, ზეპირი რეფერატი – წერილობითი რეფერატი, უდევს საფუძვლად იმას, რომ ჩვენ ზეპირი სახის რეფერატს, რომელსაც რეფერატი-მოხსენება ვუწოდეთ, რიტორიკის სფეროს ობიექტად მივიჩნევთ, ვთვლით რა, რომ რეფერატი-მოხსენებისა და მისი ავტორის, ორატორ-რეფერენტის მიზანია მჭევრმეტყველებით, ენაშუობით, მასალის საფუძვლიანი ცოდნითა და გადმოცემის დიდი ნიჭით მიაღწიოს თავის მიზანს – მოახდინოს გავლენა მსმენელზე, ადრესატზე.

რიტორიკა (გერმ. rhetorike techne: Redekunst) ორატორული ხელოვნებაა, მოძღვრებაა მჭევრმეტყველების, საორატორო ხელოვნების წესებისა და კანონების შესახებ, რომლის პირველი სახელმძღვანელო, რასაც ჩვენამდე არ მოუღწევია, დაწერილი უნდა იყოს ძველი წელთაღრიცხვით V საუკუნეში. მის ავტორებად სირაკუსელი ბერძნები, კორაქსი, ტერია ითვლებიან.

რიტორიკა მეცნიერების უძველესი დარგი და განათლების სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი წარმოიშვა V საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე, ხოლო სისტემად ჩამოყალიბდა საბერძნეთში III-II საუკუნეებში და რომში I საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე. რიტორიკა შედიოდა იმ საგნების რიცხვში, რომელთა სწავლება დაკანონებული იყო უმაღლესი განათლების სისტემაში. ეს საგნებია: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა. მოგვიანებით რიტორიკა გამოეყო სხვა სასწავლო საგნებს და დამოუკიდებელ საგნად ჩამოყალიბდა.

რიტორიკა ზოგადად შეიძლება განისაზღვროს როგორც მოძღვრება სიტყვიერი გამოხატვის შესახებ, როგორც მეტყველების ხელოვნების (Redekunst) თეორია და ტექნიკა, ან მჭევრმეტყველური (Beredsamkeit) შესავალი, რომლის სტრატეგიულ მიმართულებათა მიზანია უზრუნველყოს ადრესანტის (მოსაუბრის, დამწერის) გავლენა ადრესატზე (მსმენელზე, მკითხველზე). რიტორიკაში განასხვავებენ მჭევრმეტყველების სამ სახეს: სამართ-

ლებრივს, მრჩველურსა და სახეიშო შეკრებებისათვის გამიზნულს. რიტორიკის ძირითადი მიზანი ანტიკურ ხანაში სწორედ ამ სახეობაში მოსწავლეოა დოსტატება იყო. შუა საუკუნეებში კი მან მოაცვა ქადავებებისა და წერილების სვეროც.

კლასიკურ რიტორიკაში გამოიყო რამდენიმე საფეხური, რომელთა გავლაც აუცილებელი იყო მეტყველების ხელელების დასაუფლებლად. ეს საფეხურები აისახებოდა ხუთ ოპერაციაში. პირველი (inventio – Auffindung des Stoffes) გულისხმობს თემის მოაზრებას, მეორე (dispositio – Anordnung des Stoffes) – თემატური მასალის დაყოფა-დალაგებას, მესამე (elocutio – stilistische Gestaltung) – თემატური მასალისთვის სათანადო ენობრივი საშუალებების მისადაგებას, მეოთხე (memoratio – Einprägen der Rede) – მნეოტექნიკური ხერხებით მასალის დამახსოვრებას. მნეოტექნიკა იმ ხერხების ერთობლიობაა, რომლის მიზანია ადვილად დამახსოვროს ორატორმა ფაქტები და მათი თანმიმდევრობა. მეხუთე (pronuntiatio – gepflegte Aussprache) – სანიმუშო ფონეტიკურ წარმოთქმას, მეექვსე (actio – wirkungsbedachte Vortragsweise) – სიტყვის წარმოთქმას შთამბეჭდავად. ზოგჯერ მეხუთე ოპერაცია ცალკე არ გამოიყოფოდა და მეექვსესთან იყო გაერთიანებული.

მიგაჩინია, რომ ექვსივე საფეხური პირდაპირ, უშუალო კავშირშია რეფერატ-მოსხენების შედგენასთან და მის აუდიტორიის წინაშე გამოტანასთან.

რეფერატი-მოსხენება ანუ ზეპირი სახის რეფერატი ეფუძნება სხვადასხვა წყაროების კრიტიკულ მიმოხილვას და იგი სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. რეფერატ-მოსხენებაზე მუშაობით სპეციალისტი ირევეა შემოქმედებით აზროვნებას და ამავე დროს იგი ერკვევა რომელიმე კონკრეტულ საკითხში. რეფერენტის მიზანია სპეციალურ ლიტერატურაზე მუშაობა, კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით ლიტერატურის მოძიება და მისი დამუშავება საფუძელიანად.

რეფერატ-მოსხენებაზე მუშაობისას რეფერენტის ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე პუნქტზე:

კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის სწორი წაკითხვა და გავება. სარეფერატოდ შერჩეულ თემაზე შეიძლება მოძიებულ იქნეს უამრავი ლიტერატურა, რომლის უკლებლო წაკითხვაც, ცხადია, რთულია. უმჯობესია შემდეგი ტაქტიკის გამოყენება: 1. მოცემულ თემასთან დაკავშირებული რაიმე მონოგრაფიის ან ფუნდამენტური ნაშრომის შესწავლა, ზოგადი თემატიკიდან კონკრეტულის მოაზრება. ლიტერატურის დამუშავებისას რეფერენტი შეიძლება დაკმაყოფილდეს დასკვნებით. რეზიუმეით, სქემებით, გრაფიკული გამოსახულებებით. დიდი მოცულობის ნაშრომში უპირანია ცალკეული აბზაცებისა და პარაგრაფების გადაკითხვა მისი შინაარსის უფრო დაწვრილებით შესწავლის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღებით რეფერენტმა უნდა წაკითხოს და დაამუშაოს ის ნაშრომი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს რეფერატ-მოსხენებას. 2. თავმოყრილ მასალაში ძირითადი დებულებების დასტვნა და მათი გააზრება, რასაც შემდგომში მოსდევს ე. წ. კონსპექტის შედგენა, რაც რეფერატ-მოსხენების მონახაზად გამოადგება რეფერენტს. 3. მოძიებული მასალის დალაგება, რასაც მოჰყვება გეგმა, რომელიც შემდეგი ნაწილებისაგან უნდა შედგებოდეს: 1) შესავალი – სადაც საუბარი იქნება სარეფერატოდ შერჩეული საკითხის ადვილ-ზე თანამედროვე მეცნიერებაში და მის თეორიულ-პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, საკითხის კვლევის აქტუალობაზე. 2) თხრობა (ძირითადი ტექსტი), სადაც უნდა აისახოს საქმის ვითარება, უნდა მოხდეს დამუშავებული მასალის არსის გადმოცემა, მათზე კრიტიკული შენიშვნები და ავტორისეული არგუმენტირება. 3) დასკვნა, სადაც რეფერენტი ჩამოაყალიბებს კვლევის შედეგებს, რა რეზულტატი მიიღო მან კონკრეტული საკითხის დამუშავების შემდეგ.

რეფერატი-მოხსენება ჩაითვლება სრულყოფილად იმ შემთხვევაში, თუ რეფერენტი არ იზღუდება წაკითხულის შინაარსის უბრალო გადმოცემით, არამედ შეაქვს თავის ნაშრომში შემოქმედებითი ელემენტები. შემოქმედებითი უნარის გამოქვეყნების მიზნით რეფერატი-მოხსენების ავტორმა უნდა შეარჩიოს საინტერესო, აქტუალური თემა. ამ ტიპის რეფერატი-შედეგებისას ჩანს ავტორის ერუდიცია, წერის კულტურა, მისი შემოქმედებითობა.

ყველა ეს ეტაპი ფაქტიურად უფუძნება წერილობით ფიქსირებულ ტექსტს და მის დამუშავებას, ეს პროცესიც თავისთავად ასევე წერილობითი ფორმით მიმდინარეობს. კონსპექტი, გეგმა, შესავალი, ძირითადი ნაწილი (ტექსტი), არგუმენტაცია და დასკვნითი ნაწილი წერილობით შესრულებული ტექსტია. ამდენად, წარმოსატყველი სიტყვა, რომელიც რეფერენტმა საზოგადოების წინაშე უნდა წარმოადგინოს, არის წინასწარ შედგენილი ტექსტი, რომელსაც ეყრდნობა რეფერენტი. გარდა ამისა, ზეპირად წარმოთქმული სიტყვის (ანუ ტექსტის) მომზადება შეუძლებელია წერილობით დაფიქსირებულ ტექსტის, ანუ მასალის წინასწარ შესწავლისა და შემდგომში მისი ტექსტის სახით გაფორმების გარეშე. აბიტომ მიგვაჩნია, რომ რეფერატი-მოხსენება, დამუშავებული და წარმოთქმული რეფერენტორატორის მიერ შეადგენს რიტორიკის ობიექტს და გულისხმობს არა მარტო შთამბეჭდავად სიტყვის წარმოთქმას, მჭევრმეტყველებას, არამედ აგრეთვე შთამბეჭდავად „მჭევრად“ წერასაც. ამდენად, რეფერატი-მოხსენების, როგორც რეფერირების პროცესის კერძო შემთხვევის კავშირი რიტორიკასთან აშკარაა.

რეფერენტი რეფერატი-მოხსენებაზე მუშაობისას ეჩვევა წინთან დამოუკიდებელ მუშაობას, ეჩვევა დამოუკიდებლად სხვადასხვა საკითხებში გარკვევას. მას უვითარდება ლოგიკური აზროვნება და აზრის თანამიმდევრული გადმოცემის უნარი.

ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ის ცოდნა, რომელიც რეფერენტმა მიიღო საკითხის დამოუკიდებლად შესწავლის პროცესში, უფრო ღრმაა და უფრო ხანგრძლივად რჩება მეხსიერებაში.

ცნება „შეკვეცა“ და მისი პარიადიმიზმი

ინფორმაციის შეკვეცა დოკუმენტური ინფორმაციის ლოგიკური, ანალიზურ-სინთეზური გადამუშავების ოპერაციათა ერთობლიობაა, რომლის მიზანია პირველადი დოკუმენტის მასალაზე მეორადი დოკუმენტის შედგენა. ეს იმას ნიშნავს, რომ დედნის ტექსტის შინაარსი უნდა გამოიზატოს ენობრივად უფრო ეკონომიური ფორმით, პირველწყაროს ინფორმაციულობის შენარჩუნებითა და მისი ზომის, მასშტაბის შემცირებით.

ცნება „მეორადი დოკუმენტი“ მოიცავს, როგორც უკვე განვიხილეთ, ოთხი ტიპის ინფორმაციას: დოკუმენტორაფიულს, ფაქტორაფიულს, კონცეპტუალურსა და მიმოხილვით-შეფასებითს, რომლებიც საინფორმაციო მომსახურების სფეროს მიეკუთვნებიან. შესაბამისად, მეორადი დოკუმენტების რიცხვს მიეკუთვნება ყველა იმ ტიპის ტექსტი, ყველა დოკუმენტი, რომელიც საინფორმაციო მომსახურების სფეროში იქმნება და რომელსაც ადგენს საინფორმაციო მომსახურების დარგის სპეციალისტი ან თვითონ ავტორი (დისერტაციის ავტორეფერატს ანდა სტატიის რეზიუმეს ადგენს თავად ავტორი, თუმცაღა ამ ტიპის ტექსტებიც მიეკუთვნება მეორადი დოკუმენტის სახეობას, რადგან მისი შედგენა

ინფორმაციის კვების ხარჯზე ხდება). ამდენად, ყველა ის დოკუმენტი, რაც იქმნება ზოგადად საინფორმაციო მოღვაწეობისა და კერძოდ კი, საინფორმაციო მომსახურების სფეროში, ეკუთვნის შეორად დოკუმენტს.

ტერმინი „შეკვეცა“ ფართოდ გამოიყენება მეცნიერებისა და პუბლიკაციის დარგებში. ზოგადად ის აღნიშნავს ტექსტში განსაზღვრული ობიექტებისა თუ სიდიდეების შემცირებას, მათ გამოტოვებას, ვარკვეული სახის მასალის გამოყოფას და მათ ინტერპრეტაციას. თუმცაღა ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს ისეთი ტიპის ტექსტები, რომლებიც ან საერთოდ არ ეკვემდებარებიან კვეცის პროცედურას, ან უკვე პირველად დოკუმენტში შეკვეცილი ფორმით არიან წარმოდგენილნი. ასეთებია: კანონები, თეორემები, პოსტულატები*, რომლებიც თავის თავში უკვე მოიცავენ არსებითს, აუცილებელს, ძირითადს. ისინი უკვე არიან კვეცის შედეგად მიღებული ტექსტები (ფორმულა ტექსტია, ის გვაძლევს ინფორმაციას რაღაცის შესახებ). მაგრამ ამ ტიპის დოკუმენტაციისათვის დამახასიათებელია მქორე მოვლენა – ინფორმაციის გაშლა, რაც გულისხმობს მაგ.: ამა თუ იმ თეორემის (რომელიც დოკუმენტურად შეკვეცილი ფორმით, მეტაენობრივ* ნიშანთა სისტემითაა გამოხატული) დამტკიცებას, დებულების განმარტებას, დასკვნის არგუმენტირებას, შედეგების ვერიფიკაციის* დასაბუთებას და ა. შ. ყოველივე ეს წარმოებს ტექსტის სახით.

ინფორმაციის შეკვეცა და გაშლა, ისევე როგორც ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია* და დედუქცია* – ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, ტერმინი „შეკვეცა“ გულისხმობს „შინაარსობრივად დატვირთულ“ ცოდნის მიღების ოპერაციას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ შეკვეცა არა მარტო მოცულობის შემცირებაა, არამედ ეს არის არაარსებითის ჩამოშორება და ყველაფერი იმის დატოვება, რაც პოტენციურად მოვეცემს იმის საშუალებას, რომ განხორციელდეს ტექსტის გაშლა. ამდენად, ეს ორი ცნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მყოფობა შეუძლებელია. ინფორმაციის „გაშლა“ ფაქტიურად ტექსტის ფიზიკური მოცულობის გაზრდაა, რაც ხდება ტექსტში აუცილებელი დამატებების, დაზუსტებების, განმარტებებისა და კომენტარების შეტანის ხარჯზე. ეს კი თავისთავად განაპირობებს ტექსტის უკეთესად აღქმასა და გაგებას.

ჯ. ციპაფი მიიჩნევს, რომ ინფორმაციის შეკვეცა ეფუძნება ენობრივი საშუალებების ეკონომიის პრინციპს. ენას აქვს საოცარი თვისება – იგი ეკვემდებარება ერთ მარტივ პრინციპს – „принцип наименьшего усилия“. აქედან გამომდინარეობს ენობრივი შტამპებისაკენ, აბრევიატურებისაკენ*, მეტაფორულობისაკენ, ელიპსურობისაკენ* და ლექსიკური შეკვეცის სხვა სახეობებისაკენ სწრაფვის ტენდენცია. ენობრივი საშუალებების ეკონომიის პრინციპს ეკუთვნის აგრეთვე შინაარსის გადატანა სხვა ენობრივ სისტემებშიც (ფორმულების, სქემების, გრაფიკული გამოსახულებებისა და სხვა სიმბოლოების გამოყენება).¹

საინფორმაციო მოღვაწეობის სფეროში კაცობრიობა შეკვეცის პრობლემას წააწყდა მისივე ცივილიზაციის ყველაზე ადრეულ ეტაპზე, როდესაც ადამიანი პირველად ჩაფიქრდა იმაზე, თუ როგორ გამოხატოს თავისი აზრი უფრო მოკლედ და მკაფიოდ, რომ „სიტყვები იყოს ცოტა, ხოლო აზრი – ტევადი.“ როცა ჯერ კიდევ მე-3 საუკუნეში ჩვ. წ. აღ.-მდე გამოჩნდა ძველ ელადამში პირველი რიტორიკული სკოლები, მათი ამოცანა იყო დაეუფლებინათ მოსწავლეები მჭვერმეტყველებასა და ინფორმაციის შეკვეცის ხელოვნებაში. ანტიკური რიტორიკის ერთ-ერთი უმსხვილესი თეორეტიკოსი მ. ციცერონი წერდა: „Какой способ речи может быть лучше, чем ... говорить ясно, красиво, всегда в согласии и соответствии с предметом обсуждения.“²

დღეს ჩვენ მ. ციკერონის ამ ფრაზას დაემატებოდა: შეკვეცა ყოველთვის უნდა ხდებოდეს ოპტიმალურ დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ რაციონალური კომუნიკაცია განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკვეცა ხდება განსაზღვრულ ოპტიმალურ დონეზე. ამ დონის ქვემოთ კომუნიკაცია ვახდება ადრესატისათვის გაუგებარი, ხოლო ამ დონის ზემოთ, ანუ ტექსტის გაშლისას, ინფორმაცია ადრესატისათვის იქნება მოსაწყენი, ტრეიალური*, ამას კი შედეგად ის მოჰყვება, რომ კომუნიკაციისა და შეტყობინების აღქმის ხარისხი იკლებს. აქედან გამომდინარეობს, რომ ინფორმაციის შეკვეცისას ისე უნდა ვილაპარაკოთ, რომ მასში ყოველთვის იგულისხმებოდეს ამავედროულად გაშლაც. განვსაზღვრავთ რა ტექსტის შეკვეცის დონეს, ჩვენ ამავედროულად ვადგენთ მისი გაშლის ზომებსაც.

საინფორმაციო მომსახურების სფეროში შეკვეცის მოვლენა დაკავშირებულია პირველი წერილობითი ძეგლების ორგანიზებული საცაყების (ბიბლიოთეკებისა და არქივების) გამოჩენასთან. მოძებნილ იქნა უფრო მეტად ადეკვატური ფორმები, რომელთა დახმარებითაც ხდებოდა ფონდების შედგენილობისა და მასში დაცულ ინფორმაციის წყაროთა შინაარსის ასახვა „საძიებო აპარატში“. ორიათასწლიანი ისტორიის მიუხედავად, როგორც მასიური, ასევე ცალკეული დოკუმენტის შინაარსის შეკვეცილი ფორმით გადმოცემა ახლაც პრობლემატურია და სულ უფრო მეტად იწვევს განსაკუთრებულ ინტერესსა და მნიშვნელობას, რადგან დღესდღეობით იგი სამეცნიერო ინფორმაციის დარგში ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იქცა.

სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში ინფორმაციის შეკვეცის აღსანიშნავად გამოიყენება არა მხოლოდ ტერმინი „შეკვეცა“, არამედ ტერმინებიც: „შეკუმშვა“, „კომპრესია“, „კუმულაცია“, „შემჭიდროება“, „შემკვრივება“, „მინიმალიზაცია“, „გამარტივება“ და სხვ. ამასთან ცნებაში „შეკვეცა“ და მის სინონიმურ ვარიანტებში ხშირად სხვა შინაარსიცაა ჩადებული, რაც მნიშვნელოვან სიძნელეებს ქმნის მასალის აღქმისა და მისი ინტერპრეტაციისას, ეს კი თავისთავად ართულებს ინფორმაციის შეკვეცის არტუ ისედაც მარტივ პრობლემას.

ამასთან საჭირო ხდება ტერმინთა ჩამოთვლა და მათი განმარტება. ცალკეულ ტერმინთა განმარტებებს წინ უძღვის ენათმეცნიერულ ტერმინთა ლექსიკონში მოცემული დეფინიციები.

1. Kompression – Zusammendrückung, Verdichtung [←lat. compressio „das Zusammendrücken“].

ავტორთა ერთი ჯგუფი ტერმინებს „შეკვეცა“, „შემჭიდროება“, „კომპრესია“ ერთ სინონიმურ რიგში განიხილავს, ესმით რა მასში სამეცნიერო დარგში ისეთი ცოდნის შექმნა (ზოგადი ცნებები, ჰიპოთეზები, თეორიები, ახსნა-განმარტება), რომლებსაც დიდი ინფორმაციული ტევადობა აქვთ... ინფორმაციის შეკუმშვისა და შემჭიდროების პრობლემა აქტუალურია თანამედროვე მეცნიერებაში. სამეცნიერო კონცეფციების განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ ინფორმაციის შემჭიდროება სამეცნიერო ცოდნის განვითარების ტემპების პირდაპირპროპორციულია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო ინფორმაციისათვის დამახასიათებელია არა მარტო მისი რაოდენობის ინტენსიური გაზრდის ტენდენცია, არამედ ასევე ამ რაოდენობის ასევე სწრაფი შეფარდებითი შემცირება, რომელიც ინფორმაციული მოცულობის გაზრდის ხარჯზე მიმდინარეობს. ინფორმაციის შემჭიდროება და შეკვეცა არ არის მექანიკური პროცედურა, არამედ ეს არის ინფორმაციული შეტყობინების გარდასახვის შემოქმედებითი პროცესი, სპეციალისტის მიერ ინფორმაციის კონსტრუირების* შემოქმედებითი პროცესი. რომელსაც აქვს პრინციპული სიახლე...¹

ხშირად ლიტერატურაში კვლევით ტერმინს „ინფორმაციის კომპრესია“, რომელიც იხმარება ტერმინის „შეკვეცვა“ სინონიმად. მას ზოგიერთი ავტორი „შეკვეცის“ კერძო შემოხვევად წარმოგიდგენს.⁴ ინფორმაციის კომპრესიაში იგულისხმება ინფორმაციის ისეთი შეკუმშვა, რომლის დროსაც შენარჩუნებულ იქნება მხოლოდ ის, რაც აუცილებელია კომუნიკაციის მოცემული ეტაპისათვის.

კომპრესია – ეს არის ენაში ზოგადად სიჭარბის თავიდან აცილების ტენდენცია, ტექსტის შეკვეცის ტენდენცია ინფორმაციულობის დანაკარგის გარეშე, რაც ძირითადად სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი.

2. Kumulation – Anhäufung; das Verstärken der Wirkung von Medikamenten durch fortgesetzte Gaben und entsprechende Anreicherung im Körper [<lat. cumulatio „Vermehrung, Zuwachs, zu cumulus „Haufen“].

ინფორმაციის კუმულაციის ცნება ავტორთა ერთ ჯგუფთან განიხილება როგორც ინფორმაციის მოცულობის შემცირების თვისება მისი უფრო მოკლე, განზოგადებული სახით გადმოცემის გზით. ავტორები თვლიან, რომ დროთა განმავლობაში ყოველივე მეორეხარისხოვანი, კერძო ინფორმაცია განითვისება, ხოლო მთავარი, ძირითადი იღებს გამოხატულების მოკლე და მარტივ ფორმას.⁵

ლიტერატურაში ტერმინს „კუმულაცია“ საკმაოდ ხშირად ეხედებით. მას „შეკვეცის“, „შემჭიდროვების“ მნიშვნელობით იყენებენ და ითვლება, რომ იგი კომპრესიისა და მისი სემანტიკის* მქონე სიტყვათა სინონიმია, მაგრამ როგორც მისი განმარტებიდან ჩანს, იგი დეფინირდება როგორც მასალის თავმოყრა, შეგროვება, მრავალი ცალკეული ნაწილის ერთში გაერთიანება (zusammenstoppeln). ვფიქრობთ, რომ ეს ტერმინი არ გულისხმობს შეკვეცის, შემჭიდროვების პროცესს, რომელიც შემოქმედებით საქმიანობად მიგაჩნია, არამედ იგი წარმოადგენს მშრალი, მარტივი, ე. წ. „სელექციური“ ტიპის საქმიანობას, რაც სხვადასხვა ავტორთა ნაშრომების განხილვის საფუძველზე ხდება, რისი შედეგიც შეჯამებული ტექსტია.

3. Kompilation – Sammlung, Zusammentragung, aus anderen Büchern zusammengetragenes od. zusammengestoppeltes Werk [<lat. compilatio – „Plünderung“].

კომპილაცია ისეთი ახალი ნაშრომის შედგენის მეთოდია, რომელშიც პასიურადაა ჩაბმული სპეციალისტი, რადგან მას საქმე აქვს სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებიდან მასალის შეგროვებასთან და მის დაჯგუფებასთან და არა ნაშრომის (ცალკეული ნაშრომის! – ხაზი ჩვენია) სინთეზურ-ანალიზურ და ლოგიკურ-ლინგვისტურ დამუშავებასთან. სიტყვა-სიტყვით კომპილაცია „გაქურდვას“, „გამარცხას“ ნიშნავს, შესაბამისად იგი უგულებელყოფს შემოქმედებითობას, რომელიც სპეციალისტთა მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს ხელეწიფება.

შემდგომში შეკვეცის აღსანიშნად და, შესაბამისად, საბუთო ტერმინად გამოვიყენებთ ტერმინს „კომპრესია“, რადგან იგი უფრო მოცულობით ტერმინად მივიჩნით, რომელშიც როგორც შემჭიდროვების, ასევე დაწინების, დაწურვის სემებიკ* იგულისხმება. გარდა ამისა, იგი მოიცავს ტექსტის ანალიზურ-სინთეზური და ლოგიკურ-ლინგვისტური დამუშავების ეტაპებსაც და მთლიანობაში წარმოადგენს არა მექანიკურ, როგორებიცაა კომპილაცია და კუმულაცია, არამედ შემოქმედებით პროცესს.

ინფორმაციული კომპრესია – ეს არის შექვევა საინფორმაციო კომუნიკაციის პროცესში, რომელიც დაიკვანება კომუნიკაციის პროცესის ჩასატარებლად საჭირო ენობრივ ერთეულთა აუცილებელ და მინიმალურ რაოდენობაზე რაიმე ობიექტის თუ ხლომილების აღწერისას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კომუნიკაციის ოპტიმალურობა. ანუ ინფორმაციის გადაცემა ადრესატისათვის მისი სიჭარბის გარეშე, ამავე დროს ამ პროცესს თან უნდა ახლდეს ინფორმაციის ფიზიკური მოცულობის შემცირება. კომპრესიისას ინფორმაცია არა მარტო მცირდება მოცულობაში, არამედ ხდება მისი დაწნევა, თანაც ისე, რომ გეჭონდეს საშუალება მოკახერხოთ მისი ხელახალი გაშლა საბაზისო წინადადებების საფუძველზე.

კომპრესია საინფორმაციო მომსახურების სფეროში

საინფორმაციო მომსახურების სფეროში კომპრესია წარმოებს პირველად ლოკუპენტზე დაყრდნობით. კომპრესიის მიზანია ახალი ტექსტის რეპრეზენტაცია. საინფორმაციო მომსახურების სფეროში ლიტერატურის დამუშავებისათვის აუცილებელი პირობაა მასალის აზრობრივი დაჯგუფება. ნებისმიერ ტექსტში გამოიყოფა მაქსიმალურად ინფორმაციული ფრაგმენტები, რომლებიც ქმნიან ინფორმაციის მოკლე ვარიანტის საფუძველს, ბაზისს და რომელზედაც ხდება ახალი, მეორადი ტექსტის დაშენება. ამ აზრობრივ ფრაგმენტებზე დაყრდნობით შედგენილი ტექსტი წარმოადგენს ტექსტის (ინფორმაციის) აზრობრივი კომპრესიის შედეგს.⁷ კომპრესია და გაშლა, ეს ორი მოვლენა საინფორმაციო მომსახურების სფეროში, გულისხმობს პირველწყაროს ანალიზურ-სინთეზურსა და ლოგიკურ-ლინგვისტურ დამუშავებას მეორადი ლოკუმენტის შექმნის მიზნით. ამასთან კომპრესიისას საინფორმაციო მომსახურების სფეროს სპეციალისტის მიზანია პირველადი ლოკუმენტის ფიზიკური მოცულობის შემცირება მისი არამნიშვნელოვანი ინფორმაციის დანაკარგის ზარჯზე, ხოლო გაშლისას – ტექსტის ფიზიკური მოცულობის გაზრდა მისი ინფორმაციულობის გაშლით. საინფორმაციო მომსახურების სფეროში კომპრესიის შედეგად წარმოიქმნება დამოუკიდებელი მეორადი ლოკუმენტები: ბიბლიოგრაფიული აღწერა, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, რეფერატი, რეფერატული მიმოხილვა, ანოტაცია, რომელთა ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციულ ნაკადში ინფორმაციის ადრესატთა ორიენტირება, ხოლო მათ ამოცანას წარმოადგენს პირველადი ლოკუმენტების ფაქტოგრაფიული თუ კონცეპტოგრაფიული შინაარსის მაქსიმალურად ზუსტი ასახვა.

საინფორმაციო მომსახურების სფეროში კომპრესიის მოვლენას ექვემდებარებიან სამეცნიერო ტექსტები და პუბლიცისტური ჟანრის ტექსტები. სამეცნიერო ტექსტებში გამოიყოფა ჰუმანიტარული, საზოგადოებრივი და ტექნიკური სპეციალობის ტექსტები, რომლებიც დატვირთულია აბსტრაქტული ცნებებით, სიდიდებით, სამეცნიერო ტერმინებით. ამ ტიპის ტექსტებისათვის ტიპურია ობიექტის თუ ხლომილების აღწერის არგუმენტირებული ფორმა, პიპოთეზათა* კრიტიკა, ტექნიკური დანადაგარებისა თუ ხელსაწყოების დეტალური აღწერა, ცნებათა განმარტება, სხვადასხვა ავტორთა თვალსაზრისების ჩამოთვლა და მათი შეფასება, სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენება. სამეცნიერო ტექსტში ჭარბობს ლოგიკურ-ინტელექტუალური ინფორმაცია, რომელიც ახდენს რეალური სამყაროს ობიექტისა თუ ხლომილების აღწერას ლოკუმენტალურად. ფაქტოგრაფიულად. მშრალად. ამ ტიპის ტექს-

ტები იძლევა ინფორმაციას ფაქტების შესახებ. რაც ძირითადად წარმოადგენს კვლევ ტექსტის შინაარსს.

რაც შეეხება პუბლიცისტიკას, ეს შემოქმედებითი საქმიანობაა, რომელიც განიხილავს საზოგადოების მიმდინარე ცხოვრების აქტუალურ საკითხებსა და მოვლენებს, შეიცავს დიდძალ ფაქტობრივ მასალასა და შეფასებებს ავტორის სოციალური პოზიციის შესაბამისად. პუბლიცისტიკა საზოგადოებრივი მოღვაწეობის სპეციფიკური სფეროა და მიზნად ისახავს თანამედროვე ისტორიის ასახვას ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობით. პუბლიცისტიკის შემოქმედებითი საქმიანობის სპეციფიკა, რაც განასხვავებს მას სამეცნიერო ან მხატვრული შემოქმედებისაგან, არის ის, რომ პუბლიცისტური ჟანრის ნაშრომში ასახული ფაქტების სიახლე ემსახურება საზოგადოების პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლებას. პუბლიცისტიკა მასშტაბურად იყენებს ცხოვრებისეულ მასალას და ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ფაქტების ასახვით ავითარებს გარკვეულ იდეასაც, ახდენს ზეგავლენას აუდიტორიაზე და მოქმედებს დროის უფრო ფართო ჩარჩოებში, ვიდრე ჟურნალისტიკა. პუბლიცისტიკა არ არის დიფერენცირებული, იგი ზოგადია და ფართო დიაპაზონი აქვს, რაც მისი თემატიკის მრავალფეროვნებას განაპირობებს. არსებობს პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალურ-ეთიკური, ფილოსოფიური პუბლიცისტიკა. პუბლიცისტიკის ფორმებია: ინფორმაციულ-მოვლენური, პოზიტიურ-ანალიტიკური, კრიტიკულ-ანალიტიკური, სატირული, პოლემიკური, დისკუსიური და სხვ. ჩამოყალიბდა აგრეთვე საგაზეთო-საჟურნალო პუბლიცისტიკის ჟანრები – ინტერვიუ, კორესპონდენცია, რეკენზია, სტატია, მიმოხილვა, წერილი, ნარკვევი, პამფლეტი*, ფელეტონი* და სხვ.

საინფორმაციო მომსახურების სფეროში ინფორმაციის შეკვება ხდება ოთხი ძირითადი მიმართულებით. ესენია: ბიბლიოგრაფიულ-დოკუმენტოგრაფიული, ფაქტოგრაფიული, კონცეპტოგრაფიული და მიმოხილვით-შეფასებითი. შესაბამისად, სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში განასხვავებენ ინფორმაციის ოთხ ძირითად ტიპს, რომელთაგან პირველი პირველწყაროს ბიბლიოგრაფიული მონაცემებია, ხოლო ყველა დანარჩენი სემანტიკური თვალსაზრისით განიხილება. განვიხილოთ თითოეული მათგან ცალ-ცალკე:

1. ბიბლიოგრაფიული, ანუ დოკუმენტალური ინფორმაცია – ესაა მონაცემები მეცნიერისა ან ჟურნალისტის მიერ შედგენილი პირველადი დოკუმენტის შესახებ, სადაც არის ინფორმაცია ორიგინალის სათაურის, მისი ადგილსამყოფელის, ავტორის, გამოცემის თარიღისა და ასევე პუბლიკაციის გვერდების რაოდენობის შესახებ.

2. ფაქტოგრაფიული ინფორმაცია – ესაა პირველწყაროში მოცემული ინფორმაცია ფაქტების, მოვლენების, პროცესების და ხდომილებების შესახებ, რომელსაც ორიგინალიდან შეარჩევს, ამოკრეფს საინფორმაციო მომსახურების დარგის სპეციალისტი და რომელსაც იგი ადრესატს მიაწოდებს ლინგვისტური დამუშავების გზით. ამ პროცედურის შედეგად ედებულობთ მეორად დოკუმენტს.

3. კონცეპტუალური ინფორმაცია – ესაა მსჯელობა და მოსაზრებები პირველწყაროში მოცემული ინფორმაციის ფაქტის, მოვლენის, პროცესისა თუ ხდომილების შესახებ. ესაა ანალიტიკური ინფორმაცია ჩატარებულ კვლევაზე და მის ლოგიკურ შედეგებზე. კონცეპტუალური ინფორმაციის ლოგიკურ-ლინგვისტური და ანალიზურ-სინთეზური გადაამუშავების შედეგად საინფორმაციო მომსახურების დარგის სპეციალისტი შეადგენს კომპარსირებულ ტექსტს – მეორად დოკუმენტს.

4. მიმოხილვით-ანალიტიკური (შეფასებითი) ინფორმაცია – ამ ტიპის ინფორმაციას პუბლიცისტური ჟანრის ტექსტების დამუშავების შედეგად ვიღებთ. ესაა ინფორმაცია-შენაჯერი, რომელიც ეხება საზოგადოების პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს. სპეციალისტი მიმოხილავს და აანალიზებს მკვეთრად კომპრესირებული სახით რამდენიმე პუბლიკაციას, რომლებსაც საერთო თემა აქვთ, და იძლევა საკუთარ დამოკიდებულებას მოცემული ინფორმაციისადმი. ამ ტიპის ტექსტიც მეორად დოკუმენტს მიეკუთვნება.

ფაქტოგრაფიული ინფორმაცია, რომელიც გვხვდება ჰუმანიტარული და ტექნიკური დარგის მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტებისა და მათი გადამუშავების შედეგად მიღებულ მეორად დოკუმენტში – არსებითად რეფერატში – რომელიც ფაქტოგრაფიული ინფორმაციის სემანტიკიდან გამომდინარე ინფორმაციულ რეფერატად შეიძლება ჩათვალოს, გვაწვდის ინფორმაციას ისე, როგორც ეს უშუალოდაა მოცემული პირველწყაროში. იგი აღწერს ფაქტებს პირდაპირ, შშრალად, ყოველგვარი ინდივიდუალური ინტერპრეტაციის გარეშე, ფაქტიურად იგი პასიურად მონაწილეობს მეორადი დოკუმენტის შექმნაში. აქ ინტერპრეტაციის მიზანია მაქსიმალურად ზუსტად და მოკლედ ასახოს პირველწყაროს ფაქტოგრაფიული შინაარსი. ეს პროცედურა ეფუძნება ორიგინალიდან რელევანტური* ფაქტებისა და კონცეფციების* ამოკრებას.

კონცეპტუალური ინფორმაცია მიიღება სამეცნიერო ტექსტის ლოგიკურ-აზრობრივი, სინთეზურ-ანალიზური და ლინგვისტური გადამუშავების შედეგად. ამ პროცესში აქტიურია ინტერპრეტატორი, რომელიც გადაამუშავებს ინფორმაციას და საკუთარი ფორმულირებით მიაწოდებს ადრესატს დედნის შინაარსს, იგი ზოგადად ახდენს დედნის არსის ფორმულირებას და მკითხველამდე მიაქვს ე. წ. „სიტუაციური ინფორმაცია“. ამ ტიპის ინფორმაცია ინდიკატური რეფერატით გამოიკვება.

მიმოხილვით-ანალიტიკური (შეფასებითი) ინფორმაცია მიიღება პუბლიცისტური ჟანრის ლიტერატურის გადამუშავების შედეგად. ამ პროცესში, ისევე, როგორც ინფორმაციის კონცეპტუალური დამუშავებისას, ინტერპრეტატორი შემოქმედებითი კუთხით უდგება მეორადი დოკუმენტის შედგენას, მიმოხილავს მას მისივე არსიდან გამომდინარე და შეაქვს მასში აუცილებელი დეტალები, განმარტებები, კომენტარები, რომლებსაც იგი საეაღდებულოდ მიიჩნევს და რომელიც უზრუნველყოფს დედნის გაგებასა და აღქმას. ამ ტიპის მეორად დოკუმენტთა რიცხვს მიეკუთვნება მიმოხილვით რეფერატთან ერთად რეცენზირებული, ანალიტიკური მიმოხილვები, საინფორმაციო კოლაჟები*. საინფორმაციო მოსახზურების დარგში კოლაჟი წარმოადგენს სხვადასხვა, ჭრელი, განსხვავებული ინფორმაციის ნაკრებს, რომლის რეპრეზენტაციაშიც ინტერპრეტატორი აქტიურადაა ჩაბმული და შემოქმედებითი ხედვით, საკუთარი შეფასებითი კრიტერიუმებით ადგენს ინფორმაციის „თაიგულს“.

მთელი სიცხადით არ იქნება წარმოდგენილი ჩვენს მიერ ინფორმაციისა და მეორადი დოკუმენტების ტიპები, თუ არ განვიხილავთ დიქტომიას: „ინფორმაცია – მეტაინფორმაცია.“ ტერმინი „მეტაინფორმაცია“ წარმოადგენს „ინფორმაციას ინფორმაციაზე“. მეტაინფორმაცია ეს არის მოკულობით უმცირესი, ერთი წინადადებისაგან შემდგარი ინფორმაცია, რომელშიც არის ცნობები სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ტექსტის თემასა და სტრუქტურაზე, ყოველივე იმაზე, რაც უზრუნველყოფს დედანთან ხელმისაწვდომობას. მეტაინფორმაცია დოკუმენტზე – ეს არის საძიებო ინდექსები, სარჩევი, საძიებო აპარატი. მეტაინფორმაციული დოკუმენტების რიგს მივაკუთვნებთ აგრეთვე ანოტაციასაც, რადგან ის არის მიზერული ინფორმაცია ინფორმაციაზე.

დიქტომია ინფორმაცია-მეტაინფორმაცია საინფორმაციო მომსახურების სფეროში პირველად შემოიტანა ი. ა. შერვიდურმა. იგი ინფორმაციას უწოდებს ტექსტის იმ ელემენტებს, რომლებშიც აისახება ტექსტის ძირითადი შინაარსი და ამ შინაარსთან დაკავშირებული ორიგინალური თვალსაზრისები, ხოლო მეტაინფორმაცია ეს არის ცნობები მოცემულ ტექსტზე. ნებისმაერი ტიპის მეორად ტექსტში მისი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით უნდა იყოს ინფორმაციისა და მეტაინფორმაციის ელემენტების ოპტიმალური შეხამება. მეტაინფორმაცია საინფორმაციო მომსახურების სფეროს პრეროგატივა* და მისი ამოცანაა ინფორმაციის კოდირება*, შენახვა და გავრცელება.⁷

დ. ი. ბრუმენაუ ინფორმაცია – მეტაინფორმაციის დიქტომიაზე დაყრდნობით გამოყოფს ინფორმაციის შეკვეცისადმი ორგვარ მიდგომას – მეტაინფორმაციულსა და ინფორმაციულს. მეტაინფორმაციული კვეცა გულისხმობს იმ ტიპის მეორადი დოკუმენტების შექმნას, რომელთა მიზანია მიზერული დოზით გახსნან თემა და მოახდინონ მისი კოდირება. ამ ვაგუფს მიეკუთვნება ე. წ. ბიბლიოგრაფიული დოკუმენტაცია. (ანოტაცია, ბიბლიოგრაფიული აღწერა, წინასიტყვაობა, შესავალი, სასწავლო კურსების პროგრამები, გამოცემლობის საცნობარო აპარატები და სხვ.) ყველა ამ დოკუმენტში არის „ინფორმაცია ინფორმაციაზე“.⁸

ინფორმაციული შეკვეცისას უნდა შედგეს ისეთი დოკუმენტი, რომლის მიზანია შექმნას ინფორმაციის უშუალო წყარო განსაზღვრული ტიპის ადრესატისათვის. ვუწოდოთ ამ რიგის ინფორმაციას ფაქტოგრაფიულ-კონცეპტუალური. მას მიეკუთვნება მეორადი დოკუმენტები კვეცის სხვადასხვა ხარისხით – რეფერატები, ანოტაციები, ექსპრესინფორმაცია, რეფერატული მიმოხილვები და სხვ.

ბანსხვაშემა მხატვრული ტექსტების მოკლე შინაარსის ბანსაზღვრებასა და სამეცნიერო-პუბლიცისტური ტიპსტების აზრობრივ კომპარეზიას შორის

არსებული პრინციპული განსხვავება მხატვრული ტექსტების მოკლე შინაარსის განსაზღვრებასა და სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ტექსტების აზრობრივ კომპარეზიას შორის მოითხოვს დაზუსტებას, რათა თავიდან ავიცილოთ ცნებათა და ტერმინთა აღრევა და თითოეულ ტერმინს მიუწინოთ ოპერირების საკუთარი სფერო. აუცილებელია წარმოვანინოთ დიქტომია: მხატვრული ტექსტის შინაარსი და სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტების შინაარსი; მხატვრული ტექსტის შინაარსის განსაზღვრა, მისი მოკლედ გადმოცემა და სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტების შინაარსის მოკლედ გადმოცემა, ანუ კომპარეზია.

ტექსტთა ტიპები და მათი კლასიფიკაცია არ შეადგენს ჩვენი კვლევის მიზანს, თუმცაღა გვერდს ვერ ავუვლით ამ პრობლემას და მოკლედ შევხებით მას, რადგან ჩვენს მიერ განსახილველი მხატვრული და სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ტექსტები სხვადასხვა ტიპის ტექსტებს მიეკუთვნება. მათ განსხვავებული სტრუქტურული და სემანტიკური აგებულება, სხვადასხვა ინტენცია და ინფორმაციული დატვირთვა აქვთ.

ი. გლინიტი ტექსტთა კლასიფიკაციას საუბუქლედ უდებს ავტორის ინტენციას და ცალკე ვაგუფდ გამოყოფს პუბლიცისტური ჟანრის ტექსტებს, რომლებიც საზოგადოებრივ მოვლედ

ნებს ასახავენ. ავტორი ასეთი მოვლენის აღწერისას პასუხისმგებელია იმაზე, თუ რამდენად სარწმუნოა სტატისის შინაარსი. იგი გვამცნობს ისეთი ფაქტების, ხდომილებების შესახებ, რომლებსაც ნამდვილად ჰქონდათ ადგილი და მკითხველს აწვდის ფაქტოგრაფიულ ინფორმაციას, რომელსაც ავტორი თავის მხრივ აძლევს შეფასებას. ამ ტიპის ტექსტებს პ. გლინცი მიაკუთვნებს პუბლიცისტურ ლიტერატურას, შეტყობინებებს, მონოგრაფიებს⁹.

ავტორის ინტენციის გათვალისწინებით ქ. გიფუკე-პუბრიგი ცალკე ვჯვუფად გამოყოფს სამეცნიერო ტექსტს, ფილოსოფიურ ტექსტს, შეტყობინებას¹⁰. სამეცნიერო ტექსტის ავტორის ინტენციაა მიაწოდოს დაინტერესებულ პირთა წრეს კონკრეტულ სამეცნიერო დარგში ინფორმაცია მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებისა თუ აღმოჩენების შესახებ, რაც მკითხველს შეუვსებს და გაუმდიდრებს ცოდნას და დაეხმარება მას შემდგომ კვლევაში.

ჩეხი ლინგვისტი კ. გლაუზენბლაზი¹¹ ტექსტთა ტიპების კლასიფიკაციას საფუძვლად უდებს ტექსტის სტრუქტურას – მარტივია თუ რთული ტექსტის სტრუქტურა და ამის მიხედვით განასხვავებს:

1. ერთგვაროვანი რთული სტრუქტურის მქონე მხატვრულ ტექსტებს. მხატვრულ ტექსტში შეიძლება იყოს რამდენიმე თემა, ქვეთემა და ორმაგი აზრი. სტრიქონებს შორის მკითხველმა შეიძლება ამოიკითხოს ქვეტექსტები.

მხატვრულ (პოეტურ) ტექსტებში ინდივიდუალური საწყისი მძლავრობს, თვითგამოხატვის ფორმები თავისუფალია, რაც ინტერპრეტაციების სიმრავლეს წარმოშობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გაეება შეიძლება იყოს მიახლოებითი და არა აბსოლუტური.¹²

2. რთული სტრუქტურა აქვთ აგრეთვე პუბლიცისტურ საგანთო ტექსტებს, რომლებიც მკითხველმა შეიძლება ორნაირად წაიკითხოს – ან სრულად, თავიდან ბოლომდე, ან სწრაფად და გაკვირით – მხოლოდ სათაურები, ქვესათაურები, აბზაცები, რომლებიც მუქი შრიფტითაა დაბეჭდილი. პუბლიცისტური ტექსტი (კომპლარულ-სამეცნიერო, საყოფაცხოვრებო, რელიგიური, ისტორიული და მრავალი სხვა) ექვემდებარება კომპრესიას, რომლის შედეგადაც მივიღებთ მოკლე ინფორმაციას.

3. რთული სტრუქტურა აქვს აგრეთვე ზოგადად სამეცნიერო ტექსტს. სამეცნიერო ტექსტები ტიპიური ტექსტებია და მათ კომპოზიციური სიმწკობრე აქვთ. მათი მონოთემატურობა ხელს უწყობს ტექსტში თემის თანმიმდევრულ განვითარებას და ლოგიკური მიმართულებების მკაფიოდ გამოხატვას. ნებისმიერი დარგის სამეცნიერო ტექსტი დაახლოებით ერთ სტანდარტზეა აგებული. იგი შედგება სათაურის, პირველი მიკროტექსტის (საკითხის დასმა, შესავალი), ძირითადი მიკროტექსტის (თემის გაშლა, დასაბუთება) და ბოლო მიკროტექსტისაგან (დასკვნა). ხშირად სამეცნიერო ტექსტს ახლავს კიდევ ანოტაცია სათაურის შემდეგ ან სტატისის ბოლოს (ჩვეულებრივ უცხო ენაზე, ეს მიკროტექსტი ფაკულტატურია). ტექნიკური დარგის სამეცნიერო ტექსტი ხშირ შემთხვევაში „ძირითადი ტექსტისა“ და „დამხმარე ტექსტისაგან“ შედგება. კ. გლაუზენბლაზი ძირითად ტექსტს უწოდებს თავად სამეცნიერო-ტექნიკური დარგის სტატისას, პუბლიკაციას, ხოლო დამხმარე ტექსტად იგი მიიჩნევს შენიშვნებს ან განმარტებებს, რომლებიც მოსდევს ძირითად ტექსტს. მკითხველის ინტენციის თანახმად ამ ტიპის ტექსტს შეიძლება წაკითხულ იქნეს ან მთლიანად, შენიშვნებისა და განმარტებების, ანუ დამხმარე ტექსტის თანხლებით, ან მხოლოდ ძირითადი ტექსტი. ვთვლით, რომ ესეც ის შემთხვევაა, რომელიც ექვემდებარება კომპრესიას და რომლის შედეგადაც მივიღებთ მოკლე ტექსტს.

მიგვიჩინა, რომ ძირითადი მახასიათებელი, რომელიც მხატვრულ ტექსტს გასასხაკეებს სხვა ტიპის ტექსტისაგან, არის ის, რომ მხატვრულ ტექსტში არის არა მხოლოდ სემანტიკური, არამედ აგრეთვე მხატვრული და ესთეტიკური ინფორმაცია. ეს ორი უკანასკნელი რეალიზდება მხოლოდ კონკრეტული მხატვრული ტექსტის ჩარჩოებში. მხატვრული და ესთეტიკური ინფორმაციის მატარებელი მხატვრულ ტექსტში შეიძლება იყოს მისი ნებისმიერი ელემენტი.

მხატვრული ტექსტის შინაარსის განსაზღვრა და მისი მოკლედ გადმოცემა ტექსტის შინაარსის დადგენის ზოგად სახეობად მიგვიჩინა, რადგან აღნიშნული ტექსტის შინაარსის გადმოცემის პროცესში არ ხდება რაიმე კონკრეტული მოთხოვნების წყენება და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვა. შინაარსის გადმოცემა აქ მკითხველის მიერ თავისუფლად, ძალდაუტანებლად, ჩარჩოებისა და შეზღუდვების გარეშე მიმდინარეობს (თუმცაღა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მხატვრული ტექსტის რომელიმე კონკრეტული ეპიზოდისა თუ პერსონაჟის აღწერას ან რომელიმე თავის შინაარსის გადმოცემას მოითხოვენ. ამ შემთხვევაში მოხრობელი ტექსტის შინაარსის დეტალების დამახსოვრების საფუძველზე გადმოსცემს მის მოკლედ შინაარსს, რასაც იგი ახერხებს ემოციური, სუბიექტური ფაქტორების ხარჯზე და ნაკლებად ვერძნობა განსაზღვრულ ამოსავალ პუნქტებს და წინასწარ შემუშავებულ გეგმას). მხატვრული ტექსტის შინაარსის განსაზღვრისას ხშირია ცდომილებები, რადგან შინაარსის შეკვეცა შეიძლება მოხდეს იმ ეპიზოდების ხარჯზე, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს მოხრობელს ჰგონია თავისი კომპეტენციიდან* გამომდინარე. ამდენად, შეიძლება დაიკარგოს ძირითადი ინფორმაცია და გადმოიცეს დამატებითი ინფორმაცია, რადგან მათი დადგენა სუბიექტური პოზიციიდან გამომდინარე ხდება. სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები სრულიად განსხვავებული სახით გამოყოფენ მხატვრული ტექსტიდან მის აზრობრივ და ესთეტიკურ ინფორმაციას, მის შინაარსს. მხატვრული ტექსტის შინაარსის აღქმა, მისი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მკითხველის ეროვნობაზე, მის გემოვნებასა და ინტენციასზე.

სამეცნიერო და პუბლიცისტურ ტექსტებთან დაკავშირებით ვიყენებთ ტერმინს აზრობრივი კომპრესია და არა შინაარსის განსაზღვრა, რადგან აზრობრივი კომპრესია ინფორმაციის დაშვებასთანაა დაკავშირებული და ამ ეანრის ტექსტების შინაარსის განსაზღვრის ერთადერთი პირობაა: ამ ტიპის ტექსტთა სახეობებს – სამეცნიერო ტექსტებსა და პუბლიკაციებს ხშირად ახლავს რეზიუმე ან კონცეფციები, რაც მათ – კომპრესირებულ ტექსტად ითვლება. ამდენად კონკრეტულ მეცნიერებასთან ან პუბლიცისტურ სტატუსთან დაკავშირებული აზრობრივი კომპრესიის შედეგს რეფერატს ან ანოტაციას უწოდებენ და არა მის მოკლედ შინაარსს.

აზრობრივი კომპრესიის შედეგი – რეფერატი და ანოტაცია, მეორადი დოკუმენტის კონკრეტული სახეობებია – რომელთა შედგენისას რეფერენტი ვერძნობა მკაცრად განსაზღვრულ მოთხოვნებს, რაც გამოიხატება სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ტექსტის შინაარსის მოკლედ და მკაფიოდ გადმოცემაში ისე, რომ მაქსიმალურად იყოს შენარჩუნებული ტექსტის ძირითადი ინფორმაცია. ე. ი. ფორმა – შეკვეცილი, შინაარსი – ტევადი. ამას კი თავად საინფორმაციო მომსახურების სფეროში წარმოდგენილი ტექსტის ტიპი განაპირობებს, რადგან სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტებიც ფაქტობრივად სახისაა. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლინგვისტები გამოყოფენ „მეცნიერების ენას“, რომელიც მათ კრებით სახელად მიანიათ, რადგან იგი სხვადასხვა სფეროს გულისხმობს. „მეცნიერების ენას“ ახასიათებს ლაკონურობა, აზრის თანმიმდევრული განვითარება, პიპოთე-

ზების სიმრავლე, ვარაუდების დასაბუთების ცდა და ჩატარებული მეცნიერული კვლევის საფუძველზე დასკვნების გაკეთება. სამეცნიერო ტიპის ტექსტებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე გადმოცემის ობიექტურობა. კომპრესია – ტექსტის აზრობრივ-სინთეზური გადამუშავების რთული შემოქმედებითი პროცესია, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა სახის მოსამზადებელი სამუშაოები. ამასთან მას ფიქსირებული წერლობითი ფორმა და საკუთარი ენობრივი სტრუქტურა აქვს.

განსხვავება, ერთი მხრივ, მხატვრული ტექსტის მოკლე შინაარსის განსაზღვრასა და მის გადმოცემას და მეორე მხრივ, სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ტექსტების აზრობრივ კომპრესიას შორის, რომელსაც აირობითად შეიძლება „კომპრესირებული შინაარსიც“ კი ვუწოდოთ, საკმაოდ თვალშისაცემი და აშკარაა. შინაარსობრივი კომპრესია მხატვრული ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემისას და იგივე პროცედურა სამეცნიერო და პუბლიცისტურ ტექსტთან დაკავშირებით – სხვადასხვა მოვლენება შესაბამისი ინტენციით, საშუალებებითა და პირობებით. მხატვრულ ტექსტში შინაარსობრივი კომპრესიის რეზულტატია – მოკლე შინაარსი (ზოგადი სახეობა), სამეცნიერო და პუბლიცისტურ ტექსტებში – რეფერატი და ანოტაცია (კონკრეტული სახეობა).

ტიმესტის ლინგვისტიკა და რემეზირება

ნებისმიერი ინფორმაცია მოცემულია ტექსტში და იგი ტექსტის საშუალებით მიდის მკითხველამდე. ტექსტი მრავალმხრივი მოვლენაა და მას სხვადასხვა კუთხით შეისწავლიან. ერთი მხრივ, იგი სტილისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის შესწავლის ობიექტია, მეორე მხრივ, მას იკვლევენ ლინგვისტები, ფსიქოლოგები, ფსიქოლინგვისტები, სპეციალისტები, რომლებიც ინფორმაციის სფეროში მუშაობენ და ა. შ.

გასული საუკუნის 50-იან წლებამდე ტრადიციული გაგებით გრამატიკის უმაღლეს ერთეულად ითვლებოდა წინადადება. საუკუნეების მანძილზე მიღებული იყო, რომ გრამატიკა შეისწავლის წინადადებასა და წინადადების ნაწილებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს იყო ცალკეული წინადადება. წინადადებაზე ერთი საფეხურით მაღალი დონის ერთეული – ტექსტი – არა გრამატიკის, არამედ სტილისტიკის განხილვის საგანი იყო.

1949 წ. გამოიცა კარლ ბოოსტის ცნობილი სტატია „Satzverflechtung“, რომელშიც ავტორმა მოგვცა პირველი ინფორმაცია წინადადებაზე უფრო დიდი ერთეულის შესახებ და რომელსაც იგი „წინადადებათა წრეს“ უწოდებდა. მანვე მიუთითა წინადადებათა დაკავშირების მთავარ საშუალებებზე, რომელთაგან გამოყოფილია ლექსიკური გაშვორება, არტიკლისა და ნაცვალსახელის გამოყენება, ზმნა-შემასმენელთა ურთიერთშეთანხმება დრო-კილოთა მიხედვით, წყვილადი კავშირები, ჩამოთვლა, კითხვითი სიტყვები.¹³

ძირითად დებულებებად, რომლებმაც ხელი შეუწვეეს ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც დამოუკიდებელი ენათმეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბებას, მიიჩნევენ:

1. მეტყველების ძირითად ერთეულს, რომელიც გამოხატავს დასრულებულ აზრს, წარმოადგენს არა წინადადება, არამედ ტექსტი. ცალკეული წინადადება არის ტექსტის კერძო შემთხვევა. ტექსტი უმაღლესი დონის სინტაქსური ერთეულია.

2. კონკრეტულ სამეტყველო ტექსტებს საფუძვლად უდევთ ტექსტების აგების ზოგადი პრინციპები, რომლებიც განეკუთვნებიან არა მეტყველების სფეროს, არამედ ენის სისტემას

ანდა ენობრივ კომპეტენციას. ამდენად, ტექსტი უნდა გავიგოთ არა მარტო როგორც მეტყველების ერთეული, არამედ როგორც ენის ერთეულიც.

3. ენის სხვა ერთეულთა მსგავსად ტექსტი არის ენის ნიშანთა სისტემის ნაწილი.

4. ტექსტის, როგორც განსაკუთრებული დონის ენობრივი და სამეტყველო ერთეულის შესწავლა მოითხოვს განსაკუთრებული ენათმეცნიერული დისციპლინის – ტექსტის ლინგვისტიკის შექმნას.¹⁴

70-იანი წლებიდან ლინგვისტიკაში დასაბამი მიეცა ახალ ტენდენციას, რომელიც უმაღლესი დონის ერთეულად ტექსტს წარმოგიდგენდა – გადაიღვა ერთი ნაბიჯი წინ: წინადადების გრამატიკიდან (Satzgrammatik) ტექსტის გრამატიკამდე (Textgrammatik). წინადადებისა და ტექსტის გრამატიკა განხილვის სხვადასხვა ობიექტების გამო ოპოზიციურ ტერმინებად იქცნენ: ერთი წინადადებას იკვლევს, ხოლო მეორე – ტექსტს.

დღესდღეობით ტექსტის უამრავი დუფინიცია არსებობს – დუფინიცია იმდენია, რამდენიც მათი ავტორი. საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე განმარტება იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს ავტორთა მიდგომები ამ ცნებისადმი.

1. ტექსტი არის რამდენიმე წინადადების თანმიმდევრობა, რომელიც აგებულია ენის კანონების თანახმად.¹⁵

2. ტექსტი სემანტიკური ერთეულია, რომელიც სტრუქტურული (სინტაქსური) საშუალებებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ტექსტი გამოხატავს ხდომილებას ანდა მოვლენას და ამავე დროს მიუთითებს რეალურ პირსა, ადგილსა და დროსზე.¹⁶

3. ტექსტი წარმოადგენს ენობრივი გამოხატულების გააზრებულ (ზეპირი და წერილობითი სახის) ფორმას, რომლის მიზანიცაა კომუნიკაცია.¹⁷

4. ტექსტი წარმოადგენს ისეთ სიტყვიერ ქმნილებას, როგორცაა მოთხრობა, რომანი, საგაზეთო თუ საჟურნალო სტატია, მეცნიერული მონოგრაფია, სხვადასხვა სახის დოკუმენტი.¹⁸

5. ტექსტია ყველაფერი – ერთი მონემიდან* მრავალსაათიან საუბრამდე და მრავალტომიან თხზულებათა კრებულამდე.¹⁹

6. ტექსტი – ეს არის ლექსი, მოთხრობა, ანექლოტი, დრამა, რომანი, თავი, აბზაცი, პარაგრაფი.²⁰

7. ტექსტია მილოცვა, დაპირება, განცხადება, შენიშვნა, ამინდის პროგნოზი, ანგარიში.²¹

8. ტექსტი ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადებაა.²²

9. ტექსტი ნიშანთა ლინგვალური თანმიმდევრობაა, რომელსაც აქვს აზრი. იმისათვის, რომ წინადადებათა ასეთ თანმიმდევრობას ჰქონდეს აზრი, იგი უნდა შეიცავდეს ლოგიკურ მსჯელობას. ბუნებრივ ენაში ლინგვალური თანმიმდევრობის ელემენტებად გვხვდებიან ნიშნები-სიტყვები და მყარი სიტყვათშეთანხმებანი, ნიშანი-წინადადებები, ნიშანი-რთული სინტაქსური მთელი. ნიშანში იგულისხმება მატერიალური (გრძნობითი ორგანოებით აღქმადი) ობიექტი, რომელიც პირობითად წარმოადგენს რაღაც საგანს, მოვლენას, საგანთა შორის ურთიერთობას, მოვლენათა შორის ან საგნის თვისებათა შორის დამოკიდებულებას. მისი ამოცანაა აღნიშნოს გარე სამყაროს რომელიმე ობიექტი და მისცეს მას ნიშნური სიციცხლე (ენობრივი ნიშანი). ელემენტარულ ნიშნად ითვლება ენის ერთეული, რომელსაც აქვს მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, ანბანის ცალკეული ასოები არ არის ელემენტარული ნიშნები. ელემენტარული ნიშანი უპირველეს ყოვლისა არის სიტყვა და მყარი სიტყვათშეთანხმება. ნიშნები, რომლებიც თავის მხრივ ელემენტარული ნიშნებისაგან შედგება, ქმნიან ტექსტს.²³

ნიშნით აღინიშნება დენოტატი*. ნიშანი გამოხატავს კონცეპტს*. ერთსა და იმავე დენოტატს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე აღსანიშნი, სიტყვა, სახელი – რაც ნიშანთა სინონიმობას ქმნის, ხოლო მეორე მხრივ, ერთი და იგივე ნიშანი, სიტყვა, სახელი შეიძლება აღნიშნავდეს რამდენიმე დენოტატს, რაც ნიშანთა ომონიმობას ქმნის. ყოველ ამ შემთხვევაში მას ექნება თავისი მნიშვნელობა, თავისი კონცეპტი.

თითოეულ ნიშანს აქვს თავისი მნიშვნელობა, რაც წარმოადგენს კიდევ ამ საგნის შინაარსს. ეს კონკრეტული შინაარსი მიმპერებულა ამ კონკრეტულ ნიშანზე. ნიშნის (სიტყვის) მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, თუ როგორ გამოიყენება ეს მნიშვნელობა რომელიმე ენობრივ სისტემაში. განსაზღვრულ ენობრივ სისტემაში ნიშანს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა. ნიშანი (სიტყვა) კონკრეტულ მნიშვნელობას იძენს ტექსტში, გამონათქვამში, წინადადებაში, განსაზღვრულ სამეტყველო სიტუაციაში. მაგ.: სიტყვას „თვალი“ ენის სისტემაში აქვს რამდენიმე მნიშვნელობა, რაც განისაზღვრება რეალური დენოტატების რაოდენობის მიხედვით. როგორც კი იგი ენის სისტემიდან გადავა ტექსტში, ეს ნიშანი (სიტყვა) მიიღებს კონკრეტულ მნიშვნელობას, რომელიც განისაზღვრება მოცემული სამეტყველო აქტით.

სიტყვებს „მნიშვნელობა“ და „აზრი“ სხვადასხვა განმარტება აქვთ: პირველი დაკავშირებულია ენის სისტემასთან, მეორე – ნიშნის გამოყენებასთან ტექსტში. მაგ.: das nette Mädchen - ამ სიტყვათშეთანხმებას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ არა აქვს აზრი, ხოლო წინადადებას „Das Mädchen ist nett“ აქვს აზრი.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული წინადადებების აზრი არ წარმოადგენს იმ ნიშანთა (სიტყვათა) მნიშვნელობების უბრალო ერთობლიობას, რომელთაგანაც ეს წინადადება შედგება; ანუ ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობების ერთობლიობა არ უდრის წინადადების აზრს.

ადრესანტი ლექსიკური კონსტრუქციების დახმარებით გამოხატავს თავის სათქმელს, თავისი სათქმელის აზრს, მაგრამ ეს გამონათქვამი თავისთავად კომუნიკაციის პროცესის ნაწილია და ამდენად, კომუნიკაციის პროცესში იგი არ არის ერთმნიშვნელოვანი. იმისათვის, რომ წინადადების აზრი იყოს კონკრეტული, ცალსახა, ადრესანტი ჩართავს მას კონტექსტში – გაშლის, აზუსტებს გამონათქვამის აზრს, რასაც ის სხვა გამონათქვამების დახმარებით ახერხებს. ამდენად, აქაც იდენტური სურათი გვაქვს: ცალკეულ წინადადებათა აზრის ჯგამი არ უდრის მთლიანად ტექსტის აზრს. კონტექსტიდან ამოგლეჯილ წინადადებას ექნება სხვა აზრი.

რა კავშირშია ყოველივე ზემოთქმული ჩვენი კვლევის ობიექტთან, საბეჭდო თუ პუბლიცისტური ტექსტების კომპრენსიასთან და ამის შედეგად მიღებულ მეორად ლოკუმენტებთან – რეფერატსა და ანოტაციასთან?

კომპრენსიის შედეგად მიღებული მეორადი ლოკუმენტი წერილობითი ტექსტია, რომელიც ანალოზური-სინთეზური და ლოგიკური-ლინგვისტური პროცედურათა ერთობლიობის შედეგია და მას, ისევე, როგორც პირველწყაროს, უნდა გააჩნდეს ტექსტისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. მეორადი ლოკუმენტები, ჩვენს კერძო შემთხვევაში – რეფერატი და ანოტაცია, – არ შეიძლება შედგებოდეს ერთმანეთთან აზრობრივად დაუკავშირებელი წინადადებებისაგან. ასეთი წინადადებები არ ქმნიან ტექსტს. თუ ზოგადად დაუშვებთ ასეთ წინადადებათა არსებობას, მაშინ ეს იქნება წინადადებათა უაზრო ლინეალობა და მას არ ექნება როგორც პირველწყაროსთვის, ასევე მეორადი ლოკუმენტისათვის აუცილებელი ნიშნები – თემატურობა და ბმულობა. გარდა ამისა, პირველწყაროდან ცალკეული ფრაზების ექსტრაპირებისას* უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ტექსტის აზრი არ

უნდა დაირღვეს მისგან წინადადებათა ფორმალური ამოკრეფით, შესაბამისად არ უნდა დაირღვეს კონტექსტი, რაც წინადადებათა აზრობრივ ლინეალობას ეფუძნება. თუ დავეუშვათ ისეთ პრეცედენტს, როცა სპეციალისტი ფორმალური ნიშნების საფუძველზე ამა თუ იმ ხერხით ახდენს ფრაზების ექსტრაპოლაციას, მაშინ შედეგად შეიძლება მივიღოთ მეორადი დოკუმენტი, რომელიც აზრობრივად მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება პირველწყაროსაგან.

რეფერატთან კავშირში აუცილებლად მივიჩნევთ განვიხილოთ ტერმინები „ცოდნა“, „ინფორმაცია“ და „ინფორმაციულობა“ და მიუთითოთ მათ დამოკიდებულებაზე ნიშანთან.

ცოდნის დაფიქსირება წარმოებს ნიშნების დახმარებით. ინფორმაციის გადაცემა ხდება ასევე ნიშნების საშუალებით. აქედან გამომდინარე, ნიშანს აქვს ორმაგი ფუნქცია – სტატისტიკური (ცოდნის დაფიქსირებისას) და დინამიკური (ინფორმაციის გადაცემისას). ნიშნის სტატისტიკური ფუნქცია ორი კუთხით ზორციელდება: გამოხატულებისა და შინაარსის კუთხით. დინამიკური ფუნქციისას ნიშანი იძენს კიდევ ერთ ნიუანსს: მისი საშუალებით ხდება ადრესატის მიერ ნიშნის ინტერპრეტაცია. ნიშანი სტატიკაში – ესაა ტექსტი, რომელშიც დაფიქსირებულია გარკვეული ცოდნა; ნიშანი დინამიკაში – ესაა შეტყობინება, რომელსაც აქვს რაღაც გარკვეული ინფორმაცია (დინამიკაში იგულისხმება კომუნიკაციისა და მისი აღქმის პროცესები).

ცოდნა ადამიანთა საზოგადოებრივი მატერიალური და სოციალური მოღვაწეობის პროდუქტია, სუბიექტის მიერ ობიექტური სამყაროს საგანთა და მოვლენათა ურთიერთკავშირის გააზრება და ამ კავშირის გამოხატვა ნიშნებით.

ინფორმაცია პოლისემიურია* და წარმოადგენს გარკვეული ცნობების, მონაცემების ერთობლიობას. ინფორმაცია სოციალურადაა ფენოცენია, მისი გადაცემა ხდება ადამიანთა ურთიერთობის პროცესში; ინფორმაცია, ეს არის ცნობა, შეტყობინება (ამ სიტყვის ფართო გაგებით), რომელიც ნიშნებით ზორციელდება და რომლის მიზანია ზეგავლენა მოახდინოს ინდივიდის ცოდნაზე, მის კომპეტენციაზე, ცვლილებები შეიტანოს ინდივიდის კომპეტენციაში.

ინფორმაციულობა ერთი დენოტატის მქონე ორი ან მეტი ტექსტის სხვადასხვაგვარობის ხარისხია. სხვადასხვა შეტყობინებას აქვს სხვადასხვა ინფორმაციულობა ერთმანეთთან მიმართებაში. ინფორმაციულობა არ არის ინფორმაციის თვისება, იგი ტექსტის თვისებაა. ტექსტის ინფორმაციულობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, თუ მას შეუპირისპირებთ სხვა ტექსტს, ოღონდ ეს უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ორივე ტექსტს საერთო დენოტატი აქვს. რეფერენტის მიერ მეორად დოკუმენტში უნდა მოხდეს პირველადი დოკუმენტის ინფორმაციულობის შენარჩუნება. რეფერენტი, რომელიც ახდენს პირველწყაროს რეფერირებას, ხელმძღვანელობს არა მარტო დოკუმენტის სიახლით, მისი შინაარსით, არამედ ტექსტის ინფორმაციულობით. მას შეუძლია პირველწყაროდან შეარჩიოს ინფორმაციის გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ამ დროს იგი ყოველთვის იხელმძღვანელებს ინფორმაციულობის პრინციპით, ანუ რა დოზით შეინარჩუნებს იგი პირველწყაროს ინფორმაციულობას მეორად დოკუმენტში. ინფორმაციულობის თვალსაზრისით რეფერატი ჩაითვლება სრულყოფილად, თუ ის სრულად შეიცავს იმ აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც სჭირდება ადრესატს და თუ ეს ინფორმაცია დაკმაყოფილებს მის მოთხოვნებს ისე, რომ იგი აღარ ჩათვლის საჭიროდ მიმართოს პირველწყაროს. გაეცნობა რა რეფერატს, ადრესატი მიიღებს გადაწყვეტილებას, წაიკითხოს თუ არა ორიგინალი. თუ რეფერატი მაღალი ინფორმაციულობით გამოირჩევა, მაშინ სპეციალისტი შეიძლება დაკმაყოფილდეს კიდევ რეფერატით, რადგან იგი ორიგინალის სუროგატადაც ითვლება.

ინფორმაციის კომპრესიის პრობლემას განვიხილავთ ანოტირებისა და რეფერირების შუქზე, რადგან ვფიქრობთ, რომ ისინი ინფორმაციის კომპრესიის პროცესში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ.

ანოტირებისა და რეფერირების პრობლემა, ერთი შეხედვით თითქოსდა მარტივი რამ, ადრეული ხანიდან დგას კაცობრიობის წინაშე და იგი სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს როგორც ბიბლიოგრაფიის მკვლევარებს, ასევე ინფორმაციის სფეროში დასაქმებულ სპეციალისტებს შორის. ამ პრობლემისადმი ასეთი ინტერესი განპირობებულია იმით, რომ არაა განსაზღვრული ანოტაციისა და რეფერატის როლი და ფუნქცია საინფორმაციო მომსახურების სისტემაში, ასევე არაა მკვეთრი ზღვარი გაელეზული ანოტაციისა და რეფერირების ფუნქციებს შორის. განსაკუთრებულ ინტერესს დღესდღეობით იწვევს სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატურის ანოტირებისა და რეფერირების პრობლემა.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ანოტირებისა და რეფერირების ფუნქციები უნდა ვეძებთ ბიბლიოგრაფიულსა და სამეცნიერო პუბლიცისტიკის დარგში. ვერ კვლევ გასული საუკუნის 20-იან წლებამდე დოკუმენტთა ანალიზი ხდებოდა ემპირიული* ხერხებით, რომლებიც თანდათანობით გროვდებოდა ბიბლიოგრაფიული მუშაობის მეთოდიკაში და რომელსაც, რასაკვირველია, ჰქონდა გამოყენებითი ფუნქცია. გამოყენებითი ანოტირებისა და რეფერირების ძირითადი ამოცანა იყო პირველწყაროს შინაარსის გამოხატვის სრულყოფილების ხარისხის დადგენა. სწორედ ამ კუთხით იყო მიმართული სპეციალისტთა ყურადღება, რომლებიც ძირითადად დანიტერესებულნი იყვნენ რეფერატისა და ანოტაციის შინაარსით და არ განიხილავდნენ მათ ფუნქციებს.

ანოტირებამ და რეფერირებამ ახალი თვისებრიობა შეიძინა ინფორმაციის წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად. აქ წინა პლანზე გადაინაცვლა ისეთმა საკითხებმა, როგორცაა ანოტირებისა და რეფერირების ავტომატიზაცია, მეორადი დოკუმენტების სახეობები და მათი ფუნქციები. ამ საკითხების შესწავლა გადის ბიბლიოგრაფიისა და წიგნთმცოდნეობის ჩარჩოებს გარეთ. ანოტირებასა და რეფერირებასე ალაპარაკდნენ ფილოსოფოსები, ლინგვისტები, კიბერნეტიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგის სპეციალისტები. დისკუსიის საკითხებად იქცა შემდეგი თემები: ანოტაციისა და რეფერატის ფუნქციონალური დანიშნულება და პირველწყაროს შინაარსის გაშლის მეთოდები კომპრესიის პროცესში. ამ ეტაპზე ჩვენს მიზანს არ შეადგენს მეორადი დოკუმენტების ფუნქციონალური დანიშნულების პრობლემასთან დაკავშირებული ლიტერატურის კვლევა, მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ავტორის თვალსაზრისს რეფერატისა და ანოტაციის ფუნქციების შესახებ.

ფ. იაშენსკაია²⁴ და ა. ი. პოდზემსკი²⁵ 30-იან წლებში ფიქრობდნენ, რომ რეფერატმა მკითხველს უნდა შეუცვალოს პირველწყარო ისე, რომ მისთვის აღარ გახდეს საჭირო მიმართოს პირველწყაროს. ა. ი. პოდზემსკი ასევე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რეფერატი არაბიბლიოგრაფიული მასალაა და ეჭვქვეშ აყენებდა ზოგადად დამოუკიდებელი ჟურნალების არსებობის მიზნებს. კ. რ. სიმონის²⁶ აზრით, რეფერატმა მკვლევარს უნდა გაუმდიდროს ცოდნა ახალი ფაქტებით, რეფერატი ვერ შეუცვლის მკითხველს პირველწყაროს, რეფერატი მეცნიერი იმსჯელებს იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა უშუალოდ მიმართოს პირველწყაროს. მკითხველი რეფერატის საშუალებით ზოგავს დროს.

ანოტირების თეორია და მეთოდიკა შეუმავდა გასული საუკუნის 20-იან წლებში. ი. პ. ყუკის, მ. ე. მინენის, ი. ე. კიპერმანის, ა. მ. ფომინის ნაშრომებში ამ პერიოდში დაეღო

საუკუნეელა „ანოტაციას“ პრობლემის გასხილევას. 40-იან და 50-იან წლებში იკვლევდნენ ანოტირებას მჭიდროდ. ცნებას „ანოტაცია“ ხშირად ძალიან ფართოდ განმარტავენ. მაგ.: ე. ი. შაშურიანი ვაკძლევს შემდეგ დეფინიციას: „ანოტაცია – ეს არის მოკლე ცნობები, რომლებიც იბეჭდებიან ნაბეჭდი შრომების შინაარსობრივ დახასიათებას, გვატყობინებენ მათ დანიშნულებასა და ღირებულებას.“²⁷

პოლემიკა, რომელიც დროულად წარმოიშობოდა რეფერირებასა და ანოტირებასთან დაკავშირებით, ეუბნებოდა იმას, რომ პირველწყაროში გამოყოფდნენ საკუთრივ ინფორმაციას, რომელსაც რეფერატში გადმოიცემა და მეტაინფორმაციას, რომელიც ანოტაციაში გადმოიცემა. თავდაპირველად, როგორც ცნობილია, კომპარისიის წარმოშობას ბიძგი მისცა იმან, რომ ინფორმაციული მომსახურების სფეროში არსებობდა მოთხოვნილება, მოეწესრიგებინათ, დაეარსებინათ წერილობით ნაშრომთა მსხვილი კრებულები და მოკლედ გადმოეცათ მათი შინაარსი. მეორად ღოკუმენტთა პირველი სახეობები იყო ბიბლიოგრაფიული აღწერა და ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ინდექსები.

მოგვიანებით საჭირო გახდა საინფორმაციო მომსახურების სფეროში დამატებების შეტანა – დამატა ფაქტოგრაფიულ-კონცეპტუალური მომსახურებაც, მომდევნო ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს კიდევ ერთი მომენტიც – მიმოხილვით-შეფასებითი მომსახურებაც.

მე-17 საუკუნის შუა ხანებში ევროპაში და მე-18 საუკუნის რუსეთში გამოჩნდა სამეცნიერო ჟურნალები, რომლებიც თავდაპირველად იყო არა მხოლოდ პირველადი, არამედ მეორადი ინფორმაციის გავრცელების საშუალება. საინფორმაციო მომსახურების ახალი სახეობების აღმოცენებასთან ერთად ჩამოყალიბდა მეორად ღოკუმენტთა ტიპები – ანოტაცია და რეფერატი, რომლებსაც სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულება ჰქონდა. ეს ხაზი გაატარა დენი სალომ, რომელმაც პირველი სამეცნიერო ჟურნალი „Journal des Savants“ დააფუძნა და რომლის პირველ ნომერში წერდა, რომ ჟურნალის ამოცანად თვლიდა ფიზიკისა და მათემატიკის დარგში ახალი წიგნებისა და ახალი ცდების შესახებ შეტყობინების გავრცელებას. თუმცადა აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურისა და სამეცნიერო თემებზე მეორადი ღოკუმენტები უფრო ადრეც გამოიციემოდა. ასეთი იყო თეოფრასტ რენოლოს (1586–1653) რეფერატები თავისსავე გამოცემაში „Gazette“.

რიგი შეტყობინებები ანოტაციური (ანუ მეტაინფორმაციული) ხასიათისა იყო და მიზნად ისახავდა მკითხველისთვის გაეიოლებინა ლიტერატურის ნაკადიდან იმ წიგნის ამორჩევა, რომელიც მისი ინტერესის სფეროში იყო. მეორე ტიპი შეტყობინებისა რეფერატული ხასიათის იყო (ფაქტოგრაფიული, ინფორმაციული) და მიზნად ისახავდა მკითხველისათვის გაეიოლებინა უშუალოდ „წიგნიდან“ ინფორმაციის მოპოვება. შეიძლება ითქვას, რომ უკვე მე-17, მე-18 საუკუნეებში გამოიკვეთა გამოქვეყნებული ნაშრომის შინაარსისადმი ორგანიზირებული მიდგომა – ბიბლიოგრაფიული და ფაქტოგრაფიული, ასევე შეფასებითიც, რამდენადაც გამოქვეყნებულ „ანოტაციებს“ და „რეფერატებს“ თან ახლდა რეკომენდაციები, შენიშვნები.

ამდენად, დამოუკიდებელი მეორადი ღოკუმენტების არსებობის მოთხოვნილება პრინციპში იყო, მაგრამ მისი ასპექტების დიფერენციაცია – ბიბლიოგრაფიული, ფაქტოგრაფიული, შეფასებითი და კონცეპტუალური (რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ), არ იყო სრულყოფილი. ყოველდღიურად უფრო და უფრო იხვეწება მეორად ღოკუმენტთა სახეობები და მათი ასპექტები ივსება სხვადასხვა ელემენტებით.

რეფერატსა და ანოტაციას აქვთ შემდეგი ფუნქციები:

1. სპეციალისტს სჭირდება თემატური ან სისტემატური ხასიათის ინფორმაცია. ასეთი ინფორმაცია აქვს მხოლოდ პირველწყაროს. იმისათვის, რომ მან შეარჩიოს ლიტერატურის

ნაკადიდან მისთვის სასურველი პირველადი დოკუმენტი, იგი უნდა ფლობდეს მეორად დოკუმენტთან მუშაობის ტექნიკას, რაც მას ორიენტაციას გაუწევს დოკუმენტალური ნაკადის თემატიკაში, ანუ მასში უნდა იყოს ჩაქონებული ყველა იმ თემისა, რომლებიც მოცემულია დოკუმენტში.

2. სპეციალისტის ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს ტექსტის განსაზღვრული ფრაგმენტით, რომელსაც კონტექსტს გარეთ აქვს დამოუკიდებელი ინფორმაციული მნიშვნელობა. ამის შედეგად სპეციალისტი აღარ მიმართავს პირველწყაროს მთელ ტექსტს.

3. სპეციალისტის ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს ტექსტით, რომელშიც გამოტოვებულია და განზოგადებულია პირველწყაროს არაარსებითი ჩონაკეუბები.

4. სპეციალისტის ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს ტექსტით, რომელშიც არის პირველწყაროს ინტერპრეტირებული ელემენტები.

პირველი ფუნქციის შესრულება ეკისრება ისეთ მეორად დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ თემათა თანმიმდევრულ ჩამონათვალს. ამ დოკუმენტში მოწესრიგებულად უნდა იყოს ჩამოთვლილი პირველწყაროში არსებული ყველა სუბიექტი. ამ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ანოტაცია - „წმინდა“ ინფორმაციის მქონე დოკუმენტი.

მეორე, მესამე და მეოთხე ფუნქციებს ასრულებენ მეორადი დოკუმენტები, რომლებიც ისეთი თემა-რემის მოწესრიგებულ ჩამონათვალს გეთავაზობენ, რაც აუცილებელია ამ პუნქტებში ჩამოთვლილი სიტუაციების დასაკმაყოფილებლად. ეს არის სუბიექტურ-პრედიკატული კონსტრუქციების მოწესრიგებული ჩამონათვალი. ასეთი დოკუმენტი შეიძლება მთლიანად ემთხვეოდეს პირველწყაროს (მეორე პუნქტი), ან შედგებოდეს ერთი წინადადებისაგან (მესამე პუნქტი), ან იყოს მთლიანად კომპრესირებული (მეოთხე პუნქტი). ეს მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს რეფერატმა. პირველი ტიპის მეორადი დოკუმენტი, ანუ ანოტაცია – მეტაინფორმაცია, ყველა დანარჩენი კი – ინფორმაცია.

პირველწყაროდან ინფორმაციის ან მეტაინფორმაციის გამოტანა დამოკიდებულია ადრესანტზე, რომელიც ერთი და იმავე დოკუმენტიდან ამოკრფის განსხვავებული რაოდენობის ინფორმაციას ან მეტაინფორმაციას. ერთი მკითხველისათვის დისერტაციის ავტორფერატი შეიძლება იყოს ინფორმაცია, ხოლო მეორე მკითხველისათვის – მეტაინფორმაცია. ხშირად ისეც ხდება, რომ სტრუქტურული ნიშნების მიხედვით თითქოსდა საქმე გვაქვს რეფერატთან, მაშინ, როცა ფაქტიურად ეს მეორადი დოკუმენტი ანოტაციაა. ამდენად, საზღვარი ინფორმაციასა და მეტაინფორმაციას შორის არაა მკვეთრი, ის მოძრავი და მერყეობა.

ანოტაცია და რეფერატი მეორადი დოკუმენტებია და მათ განსხვავებული ფუნქციები აქვთ: ანოტაციის მიზანია ინფორმაციის ორიენტაცია დოკუმენტალურ ნაკადში (ასრულებს სასიგნალო ფუნქციას), რეფერატის მიზანია ადრესატის ორიენტაცია ინფორმაციის ნაკადში (შეზღვევითი ფუნქცია).

ამ ძირითად ფუნქციებთან ერთად ანოტაციასა და რეფერატს აქვთ კიდევ დამატებითი ფუნქციები. ო. პ. კორმუნსკი გამოყოფს:

1) საძიებო ფუნქციას – ადრესატმა ზოგადად იცის პირველწყაროს არსებობის შესახებ, იცის ორიგინალის სათაური, ავტორის გვარი, დოკუმენტის სახეობა, ანუ მისთვის ცნობილია პირველწყაროს დოკუმენტოგრაფიული ნიშნები, მაგრამ მას არა აქვს ცნობები მისი ადგილმდებარეობის შესახებ. საძიებო ფუნქციის საშუალებით ხდება ორიგინალის ადგილისა და შინაარსის მოძიება გარეგანი, დოკუმენტოგრაფიული მონაცემების საშუალებით. ამ ფუნქციით ვადაგნით, სად შეიძლება უფრო ეფექტურად და სწრაფად მოვიპოვოთ პირველადი დოკუმენტი.

2) კომუნიკაციურ ფუნქციას – ადრესატს მიეწოდოს ცნობები უცნობი დოკუმენტის არსებობა, ძირითადი შინაარსის შესახებ, როგორც მას აინტერესებს. აქ დოკუმენტოგრაფიული ნიშნები დამხმარე ფუნქციას ასრულებენ.

3) შეფასებით ფუნქციას – მისი მიზანია მოცემული დოკუმენტის რეკომენდაცია ამა თუ იმ მკითხველისათვის. რეკომენდაცია ეყრდნობა თვით დოკუმენტის დახასიათებას, კარგია თუ არა იგი.²⁸

4) სუბსტიტუციურ ფუნქციას – რეფერატი არა მარტო იძლევა ინფორმაციას ამა თუ იმ პუბლიკაციის არსებობის შესახებ, არამედ გარკვეულწილად იგი უცვლის მკითხველს ორიგინალს. ე. ი. რეფერატს აქვს სუბსტიტუციური ფუნქციაც.

ო. პ. კორმუნოვისაგან განსხვავებით ი. კობლიცს²⁹ რეფერატის ფუნქციები ორ პუნქტამდე დაჰყავს და გამოყოფს მის მხოლოდ სამიზნო და შეფასებით ფუნქციებს და არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ რეფერატის კომუნიკაციური ფუნქციის იგნორირების შემთხვევაში წაიშლება განსხვავება რეფერატსა და ანოტაციას შორის, მათი დანიშნულება და ფუნქციები დაემთხვევა ერთმანეთს, რაც თავის მხრივ, გაართულებს მათ შორის განსხვავების დადგენას.

რეფერატის დეფინიციი

რეფერატის განმარტებისას ცდილობენ გაითვალისწინონ მისი ყველა ნიშან-თვისება, მისი დანიშნულება, მიზანი და ფუნქცია. იმის მიხედვით, თუ რომელ ასპექტს გამოეყოფთ, რომელ საკითხს მივანიჭებთ უპირატესობას, დეფინიციაც სხვადასხვაგვარი იქნება. მეცნიერები სხვადასხვაგვარად ახდენენ ამ ცნების ინტერპრეტაციას. არსებობს იმდენი განმარტება, რამდენგვარი მიდგომაც აქვს მეცნიერს ამ ცნებისადმი.

ლიტერატურაში ამ ტერმინს ორგვარი გაგება აქვს – ფართო და ვიწრო. ის მეცნიერები, რომლებიც უფრო ფართო, მასშტაბური კუთხით უღებებიან რეფერატს, თვლიან, რომ რეფერატი სამეცნიერო ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი კომპლექსური და შემოქმედებითი სახეობაა, რომელიც თავის თავში მოიცავს არა მარტო სპეციალურ (სამეცნიერო და ტექნიკურ), არამედ ბევრ სხვა პრობლემებსაც, რომლებიც ინფორმაციის თეორიას, მეცნიერებათმცოდნეობას, ფსიქოლოგიასა და ლინგვისტიკას უკავშირდება.³⁰

რეფერირებას კონსპექტირებასა და ექსცერპირებასთან (ამონაწერების გაკეთება) ერთად ტექსტის რეპროდუქციის ერთ-ერთ სახეობადაც მიიჩნევენ. არსებითი განსხვავება ამ საძივე სახეობას შორის იმაში მდგომარეობს, თუ როგორია ორიგინალისა და რეპროდუცირებული ტექსტის ინფორმაციულობის თანხედრის ხარისხი, რომელიც განისაზღვრება აზრობრივი ფრაგმენტების, აზრთა ლოგიკური თანმიმდევრობისა და ენობრივი საშუალებების დამთხვევით.³¹

რეფერატი წარმოადგენს მკითხველისათვის არა მარტო სიგნალს ამა თუ იმ სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის არსებობის შესახებ ამა თუ იმ კონკრეტულ თემაზე მასში განხილული თემების მოკლე ჩამონათვალით, არამედ იგი არის ასევე რეფერენტის მიერ შედგენილი დამოუკიდებელი სამეცნიერო შრომა, რომელიც მკითხველს შეუცვლის ორიგინალს, რომელის წაკითხვაც მას არ ხელეწიფება სხვადასხვა მიზეზთა გამო.

ცნებისადმი „რეფერატი“ ვიწრო მიდგომისას ავტორები ძირითადად მნიშვნელობას ანიჭებენ რეფერატის შინაარსს და ამ კუთხით ახდენენ მის დეფინიციას. სახელმწიფო სტან-

დარტის თანახმად „რეფერატი პირველადი დოკუმენტის შინაარსის მოკლე გადმოცემა ძირითადი ცნობებითა და დასკვნებით.“³²

რეფერატი არის „პირველადი დოკუმენტის ძირითადი შინაარსის შემღებებისდაგვარად სრული, სემანტიკურად ადეკვატური გადმოცემა მოცულობით მცირე ფორმით, რომელიც გამოირჩევა მყარი სტრუქტურით და განკუთვნილია სხვადასხვა საინფორმაციო ფუნქციების შესასრულებლად სხვადასხვა კატეგორიის მკითხველისათვის.“³³

პირველადი დოკუმენტის შინაარსის ადეკვატურობაზე ორიენტირებული შემდეგი დეფინიცია: „რეფერატმა ობიექტურად უნდა ასახოს პირველადი პუბლიკაციის შინაარსი და იგი სრულყოფილად გადმოსცეს. ეს ნიშნავს, რომ რეფერატი უნდა პასუხობდეს არა მარტო კითხვაზე, თუ რაზეა ლაპარაკი პირველად დოკუმენტში, არამედ, თუ რა არის მასში ნათქვამი. ე. ი. რეფერატში აღწერილი უნდა იყოს არა მარტო პირველადი ტექსტის თემა, არამედ მან მკითხველს წარმოადგენა უნდა შეუქმნას აღწერილ ობიექტზე, კვლევის მიზანსა და მეთოდზე, ნაშრომის შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებზე.“³⁴

რ. კოლინსონი რეფერატისათვის ამოსავალ წერტილად თვლის შინაარსს და ამგვარად განმარტავს მას: „რეფერატი – ეს არის შინაარსის ყველა ძირითადი მომენტის შექვეცდომი, ნათესი და დასრულებული გადმოცემა, რომელიც, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ავტორისეული ენით გადმოცემა და ამასთან არ ირღვევა პირველადი დოკუმენტის თანმიმდევრობა.“³⁵

ე. შმიდტი და ე. შტოკი რეფერირებას განმარტავენ როგორც ზეპირი გამონათქვამის ან წერილობით ფიქსირებული ტექსტის შინაარსის გადაცემას მსმენელთა იმ წრისათვის, რომელთაც ორიგინალის შინაარსზე ხელი არ მიუწვდებთ.³⁶ ამ დეფინიციას ჰ. ვინტერი ერთი დეტალით აესებს და მსმენელთა გვერდით მკითხველსაც მოიხსენიებს, რითაც რეფერირების პროცესის ორ ფორმას – წერილობითსა და ზეპირს აღიარებს, თუმცაღა ორივეს საფუძვლად წერილობით ტექსტს მიიჩნევს.³⁷

რეფერატი უნდა აიგოს ინფორმაციის აზრობრივი კომპრესიის საფუძველზე. რეფერენტს მოეთხოვება ინფორმაციის მკაფიოდ გადმოცემა. იგი არ უნდა იყოს „თუთიყუში“, რომელიც ქმნის ორიგინალის ასლს. მან კომპაქტურად უნდა გადმოსცეს ავტორისეული ინფორმაცია, დააფიქსიროს მისი პოზიცია, ოღონდ რამდენადაც მოკლედ. „non multa, sed multum“ – „ცოტა, მაგრამ ბევრი“ – ღრმა შინაარსი მოკლე სიტყვებში. რეფერატი უნდა იყოს ლაკონური და ამავე დროს მაქსიმალურად ინფორმაციული. რეფერატში გახსნილია საკითხთა არსი, ჩამოთვლილია უმნიშვნელოვანესი დასკვნები და მათი დამადასტურებელი არგუმენტები და ფაქტები. რეფერატი არის პირველადი დოკუმენტის შინაარსის მოკლე გადმოცემა ძირითადი ფაქტიური ცნობებითა და დასკვნებით.³⁸

„რეფერატის“ სინონიმად უკანასკნელ ხანს იყენებენ ტერმინს „პრესი“, რომელიც ფრანგული „პრედის“-ის ტრანსლიტერაციას* წარმოადგენს.³⁹ პრესი წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემის ისეთი ფორმაა, რომლის ძირითადი ამოცანაა ამოსავალი ტექსტის შინაარსის თანმიმდევრული გადმოცემა სიტყვათა განსაზღვრული რაოდენობით.⁴⁰

ვანიჭებთ რა პრიორიტეტს იმ ფაქტს, რომ რეფერატი პირველწაროს ანალიზურ-სინთეზური და ლოგიკურ-ლინგვისტური გადაუშავების შედეგია, ამგვარად განმარტავთ მას: რეფერატი – მრავალმხრივი შემოქმედებითი პროცესისა და ორიგინალის შინაარსის ანალიზურ-სინთეზური გადაუშავების შედეგი – კომპრესირებული მეორადი ტექსტია განსაზღვრული მოცულობითა და საინფორმაციო ფუნქციებით. რეფერატს შინაარსით საშეკნიერო

ან პუბლიცისტურა. ხოლო ფორმით საინფორმაციო მოდელია. პირველწყაროს ანალიზურ-სინთეზური და ლინგვისტურა დაბუშაებების შედეგად მაღლებული რეფერატი, პირველადი დოკუმენტის ადკვატურია და მასში ჩანს რეფერენტის შემოქმედებითობა, მისი პროფესიონალიზმა და ტექსტზე მუშაობის კულტურა.

ნებისსაირი პირველწყაროს რეფერატის შედგენისას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება რეფერატებს პროცესის ინტელექტუალურ მექანიზმში შეღწევას. რეფერატის მიზანია ვახანას ორიგინალის შინაარსი იმგვარად, რომ მკითხველის ყურადღება გაამახვილოს ძირითად ინფორმაციაზე და გადმოსცეს ის ძალიან შეკვეცილი ფორმით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რეფერირებისას მთავარი არაა ჩვენი ცოდნა ამა თუ იმ სფეროში, რეფერირება ექვემდებარება აზროვნების კანონზომიერებებს.

აუცილებლად მაიონწვეთ განვმარტოთ და დავაზუსტოთ იმ ტერმინთა მნიშვნელობა, რომლითაც ჩვენ შემდგომში მოგვიხდება ოპერირება.

ანალიზი – საგნის ან მოვლენის თვისებების ცალკეულ ელემენტებად დაყოფა-დანაწილების პროცესია, რომელიც შემეცნების დროს ხორციელდება. საგნის ანალიზი შესაძლებელს ხდის ცალ-ცალკე შევისწავლოთ მისი თვისებები, ნაწილები, მათ შორის დამოკიდებულება-მიმართებები. ინფორმაციის ანალიზი მისივე სინთეზის წინაპირობაა, რასაც მოსდევს ინფორმაციის ლოგიკური დაკომპლექტება, განზოგადება, ინფორმაციის გადმოცემის ტევადი და ზუსტი საშუალებების მოძიება.

სინთეზი რეფერირების პროცესში გულისხმობს ინფორმაციის ლოგიკურ მთლიანობად გაერთიანებას. რეფერირება არ ნიშნავს პირველადი ტექსტის ცალკეული ელემენტების შერთებასა და მათ მექანიკურ გადაადგილებას. სინთეზის პროცესში იქმნება ახალი დოკუმენტი, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია ლოგიკური თანმიმდევრობით განლაგდება. ანალიზი და სინთეზი ინტელექტუალური შრომის ორი ურთიერთდამოკიდებული მხარეა და რეფერატის შედგენისას ორივე მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

განზოგადება რეფერატში შინაარსის კომპაქტური გადმოცემის ერთ-ერთი პირობაა და იგი რეფერატში განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და საქციფიკას იძენს. განზოგადება ერთეულიდან, ცალკეულიდან, ნაკლებ ზოგადიდან ან დაბალი დონის აბსტრაქციიდან უფრო ზოგადზე, მაღალი დონის აბსტრაქციაზე გადასვლა საგანთა საერთო თვისებების, მიმართულებების, განვითარების ტენდენციებისა და ა. შ. გამოვლენის საფუძველზე. განზოგადების საშუალებით ხდება დასკვნების ფორმულირება და იმ ნიშან-თვისებათა აზრობრივი გამოყოფა, რომელიც ეკუთვნის სავანთა რაღაც ერთობლიობას. განზოგადებას მიყვავართ რეალური სამყაროს შეცნობამდე. განზოგადება – შემეცნებითი ზერხია, რომლის რეზულტატიცაა სისტემური ცოდნა. განზოგადების პროცესში ხდება განსახილველი მოვლენის შეცნობის პროცესში კერძო, არაარსებითისაგან განყენება იმ მიზნით, რომ მოხდეს ყურადღების კონცენტრაცია მის ზოგად, ძირითად, არსებით ნიშან-თვისებებზე.

განზოგადება რეფერატში არის ახალი, უფრო ტევადი საშუალებებისა და ფორმების მოძიება კომპარესირებული ინფორმაციის გადმოცემისათვის, რომელსაც შედეგად მოსდევს ტექსტის კეცა. რეფერატზე მუშაობისას ზშირად აუცილებელია განზოგადების გზით დავიყვანოთ მთელი რიგი ცნებები ერთ უფრო მოცულობით ტევად ცნებამდე, რაც ზშირად რამდენიმე ცნების ერთი ცნებით შეცვლას გულისხმობს. განზოგადებული ცნება სემანტიკურად უფრო ტევადი და მოცულობითია და აერთიანებს მრავალ მოსაზღვრე, მომიჯნავე ცნებებს. მაგ.: ცნებები „რეფერატული ჟურნალი“, „ბიბლიოგრაფიული მარევენებელი“, „კარტოთეკა“, „კატალოგი“ – შეიძლება განვაზოგადოთ ცნებით – „ჰეორადი დოკუმენტების ყოინდი.“

აბსტრაქტიზება – შექცევების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის მიზანიცაა საგანთა მთელი რიგი თვისებებისა და მათი შორის მიმართებების აზრობრივი გამოყოფა. ყოველგვარი შექცევება აუცილებლობით არის დაკავშირებული აბსტრაქტიზების პროცესთან. მის გარეშე შეუძლებელია არსებითის გამოვლინება, საგნის სიღრმის წვდომა. საგნის დანაწევრება და მისი არსებითი მხარეების გამოყოფა, „წმინდა“ სახით მათი ყოველმხრივი ანალიზი – ყოველივე ეს აზროვნების მაბსტრაქტიზებელი მოღვაწეობის შედეგია. აბსტრაქტიზება რეფერირებისას – ეს ორიგინალიდან მნიშვნელოვანი ცნობების გამოყოფისა და ამოკრფის, მნიშვნელოვანი, არსებითი ცნობების მეორეხარისხოვანისგან, ნაკლებმნიშვნელოვანი შეტყობინებებისგან გამოიჯენის პროცესია. აბსტრაქტიზება ფართო მასშტაბის მოვლენაა, გულისხმობს და მოიცავს მთელ ტექსტს და მასში ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოიჯენის მიზნებს ემსახურება.

ინფორმაციისა და რეჟერატის ტიპები

ფაქტობრაჟიული ინფორმაცია

ინფორმაციული რეჟერატი

ფაქტობრაჟიული ინფორმაცია ისეთი ინფორმაციაა, რომელიც გვაძლევს ცნობებს რაიმე ფაქტის ან მოვლენის შესახებ და ახასიათებს მას. თუ მეცნიერების სხვადასხვა დარგებს ფაქტობრაჟიული მონაცემების, ფაქტობრაჟიული ინფორმაციის კვანტიტატიურობის* მიხედვით დავალაგებთ, აღმოჩნდება, რომ სამეცნიერო ნაშრომები თუ პუბლიცისტური სტატიები, განსაკუთრებით კი ისტორიისა და რომელიმე სხვა საზოგადოებრივ-კუმანიტარულ დარგებში, უფრო მეტად ფაქტობრაჟიულია, ვიდრე სამეცნიერო-ტექნიკური დარგების შრომები; ასევე უფრო ფაქტობრაჟიულია პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ეკოლოგიური თემატიკის პუბლიკაციები, ვიდრე საბუნებისმეტყველო დარგის შრომები. ასევე უფრო მეტად ფაქტობრაჟიულია ბიოგრაფიული, მემუარული ფანრის შრომები, ვიდრე ტექნიკური დარგის შრომები. ამას საფუძვლად უდევს ის, რომ განასხვავებენ ობიექტური და მეცნიერული ფაქტის ცნებებს. ობიექტური ფაქტი ესმით როგორც რაიმე ხდომილება, მოვლენა, რეალობის ფრაგმენტი, რომლებიც ადამიანური მოღვაწეობის ან შექცევების ობიექტებია. მეცნიერული ფაქტი არის ადამიანის ცნობიერებაში ობიექტური ფაქტის ასახვა, ე. ი. მისი აღწერა. მეცნიერული ფაქტები თეორიული კონსტრუქციების საფუძველია, ისინი მათ გარეშე ვერ აიკებოდა. ფაქტი – ერთეული მოვლენა ან ხდომილებაა, მაგრამ აუცილებლად დაკავშირებულია მრავალგვარი მიმართულებით სხვა ფაქტებთან. ამიტომ, მეცნიერულმა შექცევებამ უნდა მოგვეცეს შემოღებისდაგვარად სრული სურათი ფაქტებისა მთელი მათი მიმართულებითა და კავშირებით. მეცნიერული ფაქტების ერთობლიობა შეადგენს მეცნიერულ აღწერას.

ფაქტობრაჟიული ინფორმაციის ლოგიკურ-ლინგვისტური კომპარეისის საშუალებით იქმნება ინფორმაციული რეფერატი, სადაც მოცემულია რეფერენტის მიერ შერჩეული და ამოკრეფილი ძირითადი ინფორმაცია პირველწყაროს ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ.


თუ პირველწყარო საზოგადოებრივ-კუმანიტარული დარგის ფაქტობრაჟიულ ინფორმაციას შეიცავს, მაშინ ინფორმაციულ რეფერატში ხდება ორიგინალის ფაქტთა თუ მოვლენათა და პროცესების კონსტატაცია, მათი თანმიმდევრული აღწერა და დაფიქსირება.

თუ პირველწყარო საბეჭდო-ტექნიკური დარგის ფაქტოგრაფიულ ინფორმაციას შეიცავს, მაშინ რეფერატში ვადმოცემული უნდა იყოს ნაშრომის თემა (ობიექტი), მისი შედეგების მაზანი, კვლევის შეიოდები, შედეგები და დასკვნები, რაც შეადგენს კიდეც მის ძირითად ინფორმაციას. ამ ტიპის რეფერატისათვის აუცილებელია ორიგინალის ფაქტების მკაფიოდ და ზუსტად, ობიექტურად და ქრონოლოგიურად ასახვა, რისი საშუალებითაც ადრესატი ვერკვეა ნაშრომის ღირებულებასა და მის მნიშვნელობაში. ცხადია, ძირითად მოიხივნად ინფორმაციული რეფერატის შედგენისას ითვლება პირველწყაროს ინფორმაციული ფრაგმენტების კომპრესირებული სახით გადმოცემა.


გერმანულ მეცნიერთა ერთი ჯგუფი¹¹ ინფორმაციულ რეფერატს უწოდებს „was-Referat“-ს, რადგან მათი აზრით, ამ ტიპის რეფერატმა უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე: „რა არის არსებითი, მნიშვნელოვანი (შედეგი, აღმოჩენა, ფაქტი, მოვლენა და ა. შ.) ორიგინალში?“.

გთავაზობთ ინფორმაციული რეფერატის (was-Referat) ორგანარ სქემას. ვთვლით რა, რომ ინფორმაციული რეფერატი შეიძლება შევადგინოთ როგორც საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო-პუბლიცისტურ და ასევე სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებზე დაყრდნობით. და რადგან ისინი ორივე თემატურად ფაქტოგრაფიულ-ინფორმაციული, ხოლო სტრუქტურულად განსხვავებული აგებულებისაა, ამიტომ წარმოვადგენთ ინფორმაციული რეფერატის ორ ვარიანტს – საზოგადოებრივ-ჰუმანიტარულ დარგებში პუბლიკაციებისა და სამეცნიერო-ტექნიკურ დარგებში ნაშრომთა რეფერირებისათვის.

საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული დარგი



სამეცნიერო-ტექნიკური დარგი



კონცეპტუალური ინფორმაცია

ინდიკატური რეჟერატი

კონცეპტუალური ინფორმაცია ისეთი ინფორმაციაა, რომელიც შეიცავს რაიმე საგნის, მოვლენის, პროცესის შესახებ მსჯელობას, მათ ანალიზს, ავტორისეულ მოსაზრებას თუ პოზიციას, მისეულ დეფინიციას აღსაწერი თუ განსახილველი საგნის, მოვლენის თუ პროცესის შესახებ. კონცეპტუალურ ინფორმაციაში მოცემულია ავტორის ძირითადი თვალსაზრისი, მისი დამოკიდებულება აღსაწერ ობიექტთან. საგნის, მოვლენის, პროცესის გაგება და განმარტება, მათი სისტემური ანალიზის მეთოდი, ხერხი, — კონცეპტუალური ინფორმაციის ელემენტებია. კონცეპტუალურ ინფორმაციაში მკითხველმა უნდა ამოკითხოს ავტორის თვალთ დანახული განსჯის ობიექტი, მსჯელობა, თვალსაზრისი, მოსაზრებათა თანმიმდევრობა ამ ობიექტის შესახებ. კონცეპტუალური ინფორმაცია ავტორისეულ მსოფლმხედველობასაც და შემოქმედებითობასაც ითვალისწინებს.

კონცეპტუალური ინფორმაციის კანტატიურობის მიხედვით გამოირჩევა სამეცნიერო შრომები როგორც საზოგადოებრივ-კუმანიტარულ ასევე ტექნიკურ დარგებში, ამავე ტიპის პუბლიკაციები, კრებულები, სადაც გამოქვეყნებულია როგორც სამეცნიერო შრომები, ასევე მონოგრაფიები. კონცეპტუალურ ინფორმაციას შეიცავს აგრეთვე კრიტიკული სტატიები და რეცენზიები.


კონცეპტუალური ინფორმაციის სინთეზურ-ანალიზური და ლოგიკურ-ლინგვისტური კომპრესიის საშუალებით იქმნება ინდიკატური რეფერატი, სადაც მოცემულია მითითება, მინიშნება პირველწყაროდან რეფერენტის მიერ შერჩეულ და ამოკრეფილ ძირითად ინფორმაციაზე, მსჯელობასა და მოსაზრებებზე. ინდიკატური რეფერატი მიუთითებს ორიგინალის შინაარსის მნიშვნელოვან ასპექტებზე. ინფორმაციულ რეფერატთან შედარებით ინდიკატური რეფერატი უფრო მეტად განზოგადებული და აბსტრაქტირებულია და მისი შედგენისას მნიშვნელოვანია არა მასალის გადმოცემისა და აღწერის თანმიმდევრობა, არამედ პირველწყაროს ლოგიკური ანალიზი, რაც იმას ნიშნავს, რომ რეფერატში ზდება მითითება პირველწყაროს ყველაზე აქტუალურ და ძირითად საკითხებზე.

ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ასეთ ინტერპრეტაციას: ინფორმაციული რეფერატი „extrakt-Referat“ - კონსპექტი, ხოლო ინდიკატური რეფერატი „abstrakt-Referat“ - რეფერატი-რეზიუმე, მითითება.⁴²

გერმანელ მეცნიერთა იგივე ჯგუფი⁴¹ ინდიკატურ რეფერატს უწოდებს „wörter-Referat“-ს, რადგან მათი აზრით, ამ ტიპის რეფერატმა უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე: „როგორ, რანაირ, რა სახის ინფორმაციას მოიცავს პირველადი დოკუმენტი და რა სისრულით არის მასში ინფორმაცია გადმოცემული, რაზეა საუბარი ორიგინალში?“.

რადგან კონცეპტუალურ ინფორმაციას სამეცნიერო-ტექნიკური თუ ჰუმანიტარული დარგის შრომები და პუბლიკაციები მოიცავენ, რომლებიც ფაქტობრივად ინფორმაციული და სტრუქტურული თვალსაზრისით ერთმანეთის ადეკვატურები არიან, ამიტომ ინდიკატური რეფერატის შედგენის ერთ, საერთო სქემას გთავაზობთ.

სქემატურად ინდიკატური რეფერატი ამგვარად აიგება:



ფუნდამენტალური მეცნიერებების* დარგში კონცეპტუალური მომსახურება, კერძოდ კი - ინდიკატური რეფერატის შედგენა და მისი მოხმარება მნიშვნელოვანწილად თვით მეცნიერთა პეროვატივია. მას სხვანაირად მეცნიერთა „თვითმომსახურების“ სფეროსაც უწოდებენ. კონცეპტუალური ინფორმაციის მოპოვება და მისი მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის საინფორმაციო მომსახურების ძირითადი მიზანია.⁴⁴

კონცეპტუალური ინფორმაციის მოძიებამ ტექნიკის დარგში დიდი მნიშვნელობა შეიძინა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან, როცა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში სამეცნიერო-ტექნიკური რევილუცია მოხდა. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ მოთხოვნილებამ განაპირობა საინფორმაციო მომსახურების სამსახურის შექმნა.

კონცეპტუალური ინფორმაციული მომსახურების დასაწყისად მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში შეიძლება ჩაითვალოს დასავლეთ ევროპაში პირველი სამეცნიერო ჟურნალების გამოჩენა (Journal des savants - საფრანგეთი 1665 წ.; Philosophical Transactions of the Royal Society - ინგლისი 1665 წ.). მსგავსი ჟურნალები გამოჩნდა რუსეთშიც (Мессинис

ისტორიკესკნე, გენეალოგიკესკნე და გეოგრაფიკესკნე პრემსჩანია ვ ხსდომოსთ იჲ, 1728-1742). ეს და სხვა ჟურნალები იმ ტიპის გამოცემებია, რომლებშიც ქვეყნდებოდა სამეცნიერო წიგნებისა და პოლიტიკურ თემაზე შედგენილი წიგნების რეფერატები. ამასთან ზოგიერთი რეფერატი კრიტიკული ხასიათისა იყო და რეცენზიას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე რეფერატს. სშირად მათ აზღდათ მსჯელობები, რეკომენდაციები, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მეორეხარისხოვან, დამატებით ინფორმაციასაც შეიცავენ. დროთა განმავლობაში ეს პროცესი დაიხვეწა და დღესდღეობით კრიტიკულ-რეკომენდაციული ტიპის რეფერატები სულ უფრო იშვიათად გვხვდება.

კონცეპტუალური ინფორმაცია და მასზე მოთხოვნილება წარმოიშვა ცივილიზაციის განვითარების ყველაზე ადრეულ ეტაპზე, როცა ადამიანები მიხვდნენ გარე სამყაროში ორიენტაციის აუცილებლობას, რომ რალაცნაირად უნდა აეხსნათ, გაეაზრებინათ საგნები და მოვლენები, რომ უნდა მოეწესრიგებინათ საზოგადოებრივი ურთიერთობები. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება ისტორიის ადრეულ ეტაპზე ხდებოდა ხალხური სიბრძნის ახსნით, რელიგიური დოგმების ფორმულირებით და ა.შ. უფრო მოვიანებით, როცა ამ ტიპის არსებულმა ინსტიტუტებმა ვეღარ მოახერხეს საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება მხოლოდ კონცეფციებით*, აღმოცენდა მეცნიერება, რომლის მიზანსაც შეადგენდა სამყაროში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა.

ეს მეცნიერება, რომლის მიზანიც იყო საზოგადოების კონცეპტუალური მომსახურება, მალე თვითონ დადგა ფაქტის წინაშე, რომ თავად სჭირდებოდა კონცეპტუალური მომსახურება, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო მისი არსებობა. „Вовсе недостаточно только наблюдать, экспериментировать, теоретизировать, рассчитывать и обмениваться информацией. Нужно еще доказывать, критиковать, обсуждать, разъяснять, подводить итоги и многими другими способами перерабатывать информацию, которую мы извлекаем порознь, в надзвжные, хорошо обоснованные научные знания.“⁴⁵ ამ ფრაზაში კარგად ჩანს ზღვარი სისტემურ და სიტუაციურ ცოდნას შორის და აქვე ჩამოთვლილია მეცნიერების დარგში კონცეპტუალური მომსახურების ოპერაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი.

მიმოხილვით-ანალიტიკური ინფორმაცია

მიმოხილვითი რეჟიმრატბ

ნაშრომში ცნება „მიმოხილვა“ ორი მიმართულებით – ზოგადით და კონკრეტულით – იქნება ინტერპრეტირებული. ზოგადი გაგებით „მიმოხილვა“ ეს არის სამეცნიერო-ტექნიკური ფანრის ლიტერატურული ნაშრომი, რომელშიც საინფორმაციო დარგის სპეციალისტი ახასიათებს ამა თუ იმ ობიექტს, მოვლენას, პროცესს, მათ მდგომარეობას, ცხადია, კომპრესირებული სახით იმგვარად, როგორც ეს საჭირო და აუცილებელია ინფორმაციის განსაზღვრული კატეგორიის ადრესატების ორიენტაციისათვის დოკუმენტალურ ან ინფორმაციულ ნაკადში. მიმოხილვას აქვს განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულება (სპეციალისტთა ორიენტაცია ინფორმაციულ ნაკადში), აქვს სპეციფიკური კომპოზიციური და სტილისტური თავისებურებები, მასში მოცემულია ობიექტის, მოვლენისა თუ პროცესის შენაჯერი დახასიათება და შესაბამისად, ის არის არა ერთი, არამედ რამდენიმე პირველწყაროს კომპრესიის რეზულტატი. ამჟინად, მიმოხილვითი ტიპის ნაშრომის საგანი უნდა

იყოს ერთი განსაზღვრული ობიექტი, რომელსაც განიხილავენ სხვადასხვა ავტორები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ენებზე. ე. ი. მიმოხილვითი ნაშრომი – ესაა შენაჯერი, წერალობითი ნაშრომი. მასში მიმოხილული ერთი კონკრეტული ობიექტი სხვადასხვა ავტორთა კვლევის საგანია. მიმოხილვისას ანალიზურ-სინთეზური გადამუშავება ხდება არა ერთი, არამედ რამდენიმე პირველწყაროსი ერთდროულად.

ზოგადი ტიპის მიმოხილვას აქვს ორი სახეობა: რეფერატული მიმოხილვა და ანალიტიკური მიმოხილვა. რეფერატული მიმოხილვა – ფაქტთა, კონცეფციათა ერთობლიობაა, რომლებაც სხვადასხვა დოკუმენტებად ანაშრომდები. რეფერატულ მიმოხილვას ყოველთვის თან ახლავს პირველწყაროთა ლიტერატურის ჩამონათვალი. ანალიტიკური მიმოხილვის მიზანია გაანალიზოს პრობლემა, განსაზღვროს მისი აქტუალობა, გამოავლინოს მისი განვითარების ტენდენციები და შეაფასოს იგი. ანალიტიკურ მიმოხილვაში არის ახალი, სიტუაციური ინფორმაცია, რომელიც გვაწვდის ცნობებს ამა თუ იმ საგნის, მოვლენის, მდგომარეობისა და ეტაპების თაობაზე.

პირველი მიმოხილვითი ჟურნალები, რომლებშიც შენაჯერი მიმოხილვითი ნაშრომები ქვეყნდებოდა. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა რუსეთში. დღესდღეობით მიმოხილვით მასალებს აქვეყნებენ პერიოდულ გამოცემები, ინფორმაციის დარგობრივი სამსახურები. არსებობს ისეთი ტიპის მიმოხილვითი ჟურნალებიც, რომლებშიც პირველწყაროთა მხოლოდ ბიბლიოგრაფიული მონაცემებია აღწუსული.

მეცნიერები მაღალ შეფასებას აძლევენ ამ ტიპის მიმოხილვით საქმიანობას და მას ინფორმაციის კრიზისის დაძლევის უმნიშვნელოვანეს საქმიანობად მიიჩნევენ. ამერიკელი მეცნიერები წერენ: „Написание обзоров – это задача, достойная самых глубоких умов, способных придать новую форму, критически проанализировать и интерпретировать большие массивы результатов.“⁴⁵

მიმოხილვითი ნაშრომების ფუნქცია და დანიშნულება, მისი მნიშვნელობა ყოველდღიურად იზრდება და მრავალ ახალ ასპექტს მოიცავს: სამეცნიერო ინფორმაცია, რომელსაც მილიონობით მეცნიერი თუ სპეციალისტი მრავალ ენაზე ქმნის, უსისტემოდაა გაბნეული სხვადასხვა სამეცნიერო დოკუმენტებში. ამ ინფორმაციის გამოყენების ოპტიმიზაციისათვის* საჭიროა მისი კონდენსაცია, კლასიფიკაცია, სისტემატიზაცია, ანალიზი, შეფასება.


ჩვენ მიმოხილვით ინფორმაციას ვუწოდებთ ისეთ ინფორმაციას, რომელიც წარმოადგენს შეტყობინებათა, ცნობათა ერთობლიობას, მათ შენაჯერს საშინაო, საერთაშორისო და კულტურული ცხოვრების აქტუალური ახალი ამბების შესახებ. მიმოხილვითი ინფორმაცია ძირითადად ვრცელდება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით.

ინფორმაციის მიმოხილვა და მისი ანალიზი კონკრეტული მომსახურების ერთ-ერთი სახეობაა და იგი მიმოხილვით რეფერატში განსხეულდება. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინფორმაციის მიმოხილვას, მის ანალიზსა და შეკრებას ექვემდებარება. ჩვენი აზრით, როგორც ის ტექსტები, რომლებიც საზოგადოების პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს აღწერენ, ასევე სამეცნიერო-ლიტერატურული ჟანრის ტექსტებიც – ესაა მიმოხილვითი ინფორმაციის კონკრეტული ვაგება.

პუბლიკაციების საფუძველზე შედგენილი მიმოხილვითი რეფერატის საბაზისო ერთეულს წარმოადგენს ერთი კონკრეტული თემა, რომელიც ერთი კონკრეტული რუბრიკის ქვეშ ერთიანდება, მაგალითად, რუბრიკაში „პოლიტიკა“ შეიძლება გაერთიანებული იყოს რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებშიც განხილულია პოლიტიკური ბატალიები რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ან სხვადასხვა ქვეყნებში. რეფერენტმა უნდა შესძლოს ერთი რუბრიკის ქვეშ გაერთიანებული ყველა პუბლიკაციის ანალიზურ-სინთეზური გადამუშავების საფუძველზე მიმოხილვითი რეფერატის შედგენა ისე, რომ მკითხველს შეექმნას ზოგადი

შთაბეჭდილება მოცემულ თემასთან დაკავშირებით. მიმოხილვითი რეფერატები სპეციალისტმა შეიძლება შეადგინოს არა ერთი რომელიმე გაზეთის ან ჟურნალის ბაზაზე, არამედ ასევე რამდენიმე, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ბაზაზეც. ასეთ შემთხვევაში მიმოხილვითი რეფერატი უფრო ვრცელი და მოცულობითი იქნება და იგი, ვფიქრობთ, უფრო მეტ ძალისხმევასა და შემოქმედებითობას, ანალიტიკურ უნარსა და მაღალ ერუდიციას მოითხოვს რეფერენტისაგან. კომპრესიის ხარისხი მით უფრო იმატებს, რაც უფრო მეტ პუბლიკაციას გადაამუშავებს და გაანალიზებს რეფერენტი. ზშირ შემთხვევაში მიმოხილვით რეფერატებს სპეციალისტის შეფასებითი ნიუანსიც ახლავს, რითაც იგი საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს კონკრეტული საკითხისადმი, რათა უფრო მეტად დაინტერესოს მკითხველი თუ მსმენელი წარმოდგენილი თემატიკით. უმეტეს შემთხვევებში მიმოხილვითი რეფერატი ინდიკატური ხასიათისაა.

მიმოხილვითი რეფერატის წარმოდგენა სქემატურად ამგვარად შეიძლება:



სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტების ძირითადი ინფორმაციის განსაზღვრის ფორმალური და ანკაბტურ-ასაკაბტური მეთოდები კომპრესიის პროცესში

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში სამეცნიერო და პუბლიცისტური ჟანრის ტექსტების შინაარსის განსაზღვრა კომპრესირების პროცესში ორი მიმართულებით მიმდინარეობდა. პირველი მიმართულება გულისხმობს პირველწყაროს შინაარსის ფორმალური (ავტომატური) მეთოდების შედგენასა და დამუშავებას, რასაც საფუძვლად უდევს ორიგი-

ნაღის ლექსიკურ, გრამატიკულ და ლოგიკურ სტრუქტურებში ისეთი ელემენტების გამოყოფა, როგორც დახმარებითაც შეიძლება შევადგინოთ მოცემული ტექსტის შინაარსის გეგმა, რაც ტექსტის რეფერირებისა და ანოტირების საფუძველია. მეორე მიმართულება გულისხმობს ტექსტის შინაარსის განსაზღვრის „ასპექტურ-ანექტურ“ ხერხს, რომლის შედეგადაც ვიღებთ მეორადი დოკუმენტის სახეობებს – რეფერატსა და ანოტიაციას. ანექტური და ასპექტური მეთოდები გულისხმობენ პირველწყაროს დაყოფას განსაზღვრულ შინაარსობრივ ასპექტებად თუ საკითხებად, ისეთებად, როგორცაა: ნაშრომის მიზანი, მეთოდები, რეზულტატები, რეკომენდაციები და ა. შ.

1. ფორმალური (ავტომატური) მეთოდი

კომპრესირების პროცესში ტექსტის შინაარსის განსაზღვრის მეთოდების ქვაკუთხედს წარმოადგენს პირველწყაროს სემანტიკის ანალიზი და ამ ანალიზის ბაზაზე ძირითადი ინფორმაციის ექსტრაჰირება. ერთ-ერთ მათგანს, ფორმალურ (ფორმასთან დაკავშირებულ), ანუ ავტომატურ მეთოდს საფუძვლად უდევს პირველწყაროდან ძირითადი ინფორმაციის გამოყოფის საკითხი, რომლის საფუძველზეც მეორადი დოკუმენტები – რეფერატი და ანოტიაცია შეიძლება აიგოს სარეფერატო ტექსტის ცალკეული ელემენტებისაგან. ამისათვის საჭიროა ფორმალური კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლებიც შინაარსს ფორმის საშუალებით ადგენენ და რომლის შედეგადაც გამოეყოფთ უფრო მეტად ნიშნად, მნიშვნელოვან ელემენტებს. ამ მეთოდისადმი მიძღვნილ შრომებში ავტორებმა შემოგვთავაზეს რამდენიმე კრიტერიუმი, რომლებიც ტექსტის ფორმალური ანალიზის სხვადასხვა მეთოდებს შეესაბამება.

პირველწყაროს შინაარსის ანალიზსა და განსაზღვრას ავტორები განსხვავებული კუთხით უდგებიან და, შესაბამისად, სხვადასხვა მეთოდებს გვთავაზობენ.

ფორმალური მეთოდი – ესაა მცდელობა ტექსტის ლექსიკურ, გრამატიკულ, ლოგიკურ სტრუქტურებში მოიძებნოს ისეთი ელემენტები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება გამოვხატოთ მოცემული ტექსტის შინაარსი, განვსაზღვროთ იგი და შევადგინოთ შინაარსის გეგმა.

1.1. სტატისტიკური მეთოდი

სტატისტიკური მეთოდი დაკავშირებულია ჰ. ჰ. ლუნის სახელთან. 1958 წელს გამოქვეყნდა მისი სტატია „The automatic creation of literature abstracts“, რომელშიც მან პირველმა შესთავაზა სპეციალისტებს სტატისტიკური მეთოდის იდეა და ამავე სტატიაში მოგვცა პირველი მანქანური რეფერატის ნიმუში, რომელიც ეფუძნებოდა მის მიერ დანერგილ სტატისტიკურ მეთოდს. ჰ. ჰ. ლუნი თვლის, რომ პირველწყაროს ძირითადი შინაარსი შეიძლება წარმოვადგინოთ ისეთ წინადადებათა ჩამონათვალის სახით, რომლებიც სტატისტიკურად ყველაზე ნიშნავი, ყველაზე მნიშვნელოვანია მოცემული დოკუმენტისათვის, ანუ ეს წინადადებები შეიცავენ ძირითად, არსებით ინფორმაციას. ნიშნად წინადადებად იგი ასახელებს ისეთ წინადადებებს, რომლებშიც მოცემული დოკუმენტისათვის ნიშნავი სი-

ტყეების სტატისტიკურად დიდი რაოდენობაა მოცემული. სიტყვათა ნიშნალობა თავის მხრივ განისაზღვრება პირველწყაროში მათი გამოყენების სიხშირით: რაც უფრო ხშირად ვხვდებით ამა თუ იმ სიტყვას დოკუმენტში, მით უფრო ნიშნაღია იგი. პირველწყაროს იმ ადგილს მიიჩნევს ავტორი უფრო ინფორმაციულად. იქაა ძირითადი ინფორმაცია, სადაც უფრო ხშირად გვხვდება ნიშნაღი სიტყვები, იმისგან დამოუკიდებლად, ახლოს არიან ეს ნიშნაღი სიტყვები პოზიციურად ტექსტში ერთმანეთთან თუ არა.⁴⁶

სიტყვათა, სიტყვათშეთანხმებათა და წინადადებათა სიხშირის განსაზღვრის მიხედვით მნიშვნელოვანი ინფორმაციის ექსტრაპირების მცდელობას ვხვდებით ასევე ვ. ა. პურტოსთან.⁴⁷ ავტორი გეთვალვარება ტექსტში წინადადების შერჩევისა და შეფასების მეთოდს მასში არსებული ნიშნაღი სიტყვების, სიტყვათშეთანხმებებისა და წინადადების სიხშირის მიხედვით. მანვე მიუთითა პირველწყაროში ტერმინთა ნიშნაღობასა და მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ტერმინი მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო ხშირად გვხვდება იგი ტექსტში. ამიტომ უფრო ინფორმაციულია ის წინადადება, რომელშიც გაერთიანებულია მრავალი ტერმინი. სწორედ ამგვარი წინადადებებისაგან აღგენენ რეფერატს.

1.2. პოზიციური მეთოდი

ამ მეთოდით იდენტიფიცირდება პირველწყაროდან მეორადი დოკუმენტისათვის ნიშნაღი წინადადებები მათი პოზიციის მიხედვით ტექსტში. მეთოდის ავტორები ამტკიცებენ, რომ ნიშნაღი წინადადებებს პირველწყაროში უჭირავთ პირველი ან ბოლო პოზიცია. ლ. მ. ლოსევა⁴⁸ თვლის, რომ რეფერატი მხოლოდ მაშინ იქნება სრულყოფილი, თუკი მას რეფერენტი შეადგენს პირველწყაროს ყველა აბზაცის პირველი წინადადებით. ს. ა. კარასევი⁴⁹ მიიჩნევს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები სტატიის ბოლოს გამოითქმის ავტორის მიერ. პოზიციური მეთოდის მომხრეები ცდილობენ, თეორიულად დაასაბუთონ ტექსტის დასაწყისისა და დასასრულის სემანტიკური და ფსიქოლოგიური ნიშნაღობა.

1.3. ინდიკატორული (მარკერული) მეთოდი

ამ მეთოდს საფუძვლად უდევს ის თვალსაზრისი, რომ წინადადებათა ნიშნაღობა შეიძლება დადგინდეს რამოდენიმე ელემენტ-ინდიკატორთა საფუძველზე. ინდიკატორის ფუნქციით გვხვდება ცალკეული სიტყვები და სიტყვათშეთანხმებანი, ანუ ლექსიკური ინდიკატორები, რომელთა ფუნქციაცაა ტექსტში ნიშნაღი ადგილების მიგნება და მათი ექსტრაპირება. ს. ი. გინდინი თვლის, რომ ზოგიერთი სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება „საკმაოდ ზუსტად ასახავს და ახასიათებს მთლიანად წინადადების აზრს.“⁵⁰ გ. ა. ლავერენტიევამ⁵¹ შემოგვთავაზა ტექსტიდან „ინდიკატურ ფრაზათა“ ამოკრეფის მეთოდი. სწორედ ეს „ინდიკატური ფრაზები“ გამოხატავენ ტექსტის ძირითად შინაარსს. ლექსიკურ ინდიკატორებს ის მიაკუთვნებს ისეთ სიტყვებსა და სიტყვათშეთანხმებებს, როგორიცაა: die vordringliche Aufgabe der Untersuchung (კვლევის უმთავრესი ამოცანა); wird analysiert (ანალიზდება); wird eine Methode entwickelt (ავითარებს ახალ მეთოდს) და ა. შ.

ზოგიერთი ავტორი ინდიკატორის სინონიმებად იყენებს მარკერებს, კლიშეებს*. მარკერს ამგვარად განმარტავენ: ესაა სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება, რომელიც უკავშირდება

პირველწყაროს განსაზღვრულ შინაარსობრივ ასპექტს და რომელიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მასზე. მაგ.: ასპექტში: Ergebnisse der Untersuchung (კვლევის შედეგები) ხშირად ეხდებოდა მარკერებს: wurden Ergebnisse angegeben ..., angeführt (მოცემულია შედეგები); wurden Ergebnisse dargestellt (წარმოდგენილია შედეგები); wurden Ergebnisse vorgelegt (მოცემულია შედეგები).

ლიტერატურაში ინდიკატორს მივანევენ მარკერისაგან და თვლიან, რომ ინდიკატორი ისეთი ლექსიკური ერთეულია. რომელიც ერთმნიშვნელოვნად არ უკავშირდება პირველწყაროს რომელიმე განსაზღვრულ ასპექტს. ინდიკატორები მიუთითებენ იმ წინადადებებზე, რომლებსაც ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს: ist sehr beachtlich (ძალიან მნიშვნელოვანია); muss festgestellt werden (დადგენილ უნდა იქნეს); muss hervorgehoben werden (აღნიშნულ უნდა იქნეს); es sei erwähnt, dass ... (უნდა აღინიშნოს, რომ ...). მივანევენ, რომ ძირეული განსხვავება მარკერსა და ინდიკატორს შორის არ არსებობს, რადგან ტექსტის ის ადგილი, რომელსაც ავტორი მნიშვნელობას ანიჭებს (ინდიკატორის ფუნქცია) ასევე შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე ასპექტად, თუნდაც ასპექტად „ავტორისეული პოზიცია“. ანალოგიური ფუნქციით გამოიყენება ლიტერატურაში ტერმინი „კლიშე“.

ლექსიკურ ინდიკატორებს მიაკუთვნებენ აგრეთვე კონექტორებსაც. კონექტორები* ისეთი ლექსიკური ერთეულებია, რომელთა დახმარებითაც მარკირებული წინადადება უკავშირდება წინა ან მომდევნო წინადადებას. კონექტორები ორი სახეობაა: ანაფორული და კატაფორული. კონექტორები, რომელთა საშუალებითაც მარკირებული წინადადება უკავშირდება წინა წინადადებას, ანაფორული კონექტორებია: schon erwähnte Anlage (უკვე ნახსენები ხელსაწყო); dargestellte Methode (აღწერილი მეთოდი); solche Ergebnisse (ასეთი შედეგები). კონექტორები, რომლებიც მომდევნო წინადადებასთან აკავშირებენ მარკირებულს, კატაფორული კონექტორებია: teilweise (ნაწილობრივ); folgend(e) (შემდეგი); außerdem (ამას გარდა). ანაფორული და კატაფორული კონექტორები ლიტერატურაში შეიძლება შევვხვდეთ ანაფორული და კატაფორული კლიშეების სახითაც.

1.4. გრამატიკული (სინტაქსური) მეთოდი

სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტების შინაარსის განსაზღვრის გრამატიკული (სინტაქსური) მეთოდის ავტორია ი. პ. სეებო,⁵² რომელიც იკვლევს ტექსტის ფრაზების გამარტივების ხერხებს ფორმალური მეთოდის შემუშავებით. ი. პ. სეებოს მიერ შემოთავაზებული მეთოდის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ ტექსტიდან საყრდენი ფრაგმენტები გამოიყოფა სინტაქსური მეთოდით. ამ მეთოდის მიმდევრები თვლიან, რომ „რეფერატი არის ერთმანეთთან დაკავშირებული წინადადებების ნაკრები“, და მაინც, რომ უფრო მეტად დაკავშირებულია ისეთი წინადადებები, რომლებშიც გვაქვს ერთნაირი მნიშვნელობის მქონე სიტყვების დიდი რაოდენობა. მეორადი დოკუმენტი – რეფერატი – შედგება იმ წინადადებათა ჯგუფებისაგან, რომელთაც აქვთ დაკავშირების უფრო მაღალი კოეფიციენტი. ავტორთა ერთი ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს რეფერირებას „მონაკვეთების“ მიხედვით. ამ მიზნით ტექსტი იყოფა აზრობრივად რამდენიმე დამოუკიდებელ ნაწილად, „მონაკვეთად“, რის შემდეგაც უნდა დადგინდეს დაკავშირების კოეფიციენტი ტექსტის იმ ნაწილის მიმართ, რომელშიც ის შედის. ბოლო ეტაპზე კი ხდება ტექსტის ყოველი მონაკვეთიდან სამ-სამი უფრო მნიშვნელოვანი წინადადებების ამოკრეფა.⁵³

1.5. მოსაზრებათა შეჯერების მეთოდი

პირველწყაროს კომპრესირების ფორმალური მეთოდი შემოგვთავაზა აგრეთვე გერმანულ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა.⁵⁴ რომლებიც ტექსტს ყოფენ აზრობრივ ელემენტებად. ასეთებად ისინი მიიჩნევენ ცალკეულ გამონათქვამთა ან მოსაზრებათა ერთიანობას, შენაჯერს (Gedankenkomplex). ავტორები ტექსტის შემადგენელ ნაწილებად მიიჩნევენ კომპოზიციურ ელემენტებს (Teiltext). ტექსტის თითოეულ ერთეულს შეესაბამება აზრთა კომპლექსი, რომელიც ერთობლიობაც, შეჯამებაც ქმნის რეფერატს. ავტორები ერთმანეთისაგან მიჯნავენ მაკროტექსტსა და მიკროტექსტს და ამ უკანასკნელს მაკროტექსტის შემადგენელ ნაწილად თვლიან. თუმცაღა მათი განმარტება ბუნდოვანია: ერთი მხრივ, ისინი მიკროტექსტს უწოდებენ ცალკეულ წინადადებათა განსაზღვრულ რაოდენობას. თუ წინადადებათა ასეთი რაოდენობა ტექსტში სამია, მაშინ სამი მიკროტექსტი ქმნის მაკრო-ტექსტს. მეორე მხრივ, მიკროტექსტებს ერთი და იგივე თემა აქვთ და, შესაბამისად, წინადადებათა გარკვეული რაოდენობა შედის მიკროტექსტში, რომელთა შეჯამებაც გვაძლევს საბოლოოდ მაკროტექსტს. თვით ნაშრომის ავტორებთან ვერ ვხვდებით მეთოდის კონკრეტულ დასახელებას, მაგრამ რადგან იგი მოსაზრებათა ერთიანობასთან, შეჯერებასთანა დაკავშირებული, ამიტომ მივეციტ თავს უფლება ტექსტის შინაარსის განსაზღვრის ამ მეთოდისთვის გვეწოდებინა მოსაზრებათა შეჯერების მეთოდი.

1.6. ფორმალური (ავტომატური) მეთოდის ნაკლი

თუმცაღა ფორმალური მეთოდი ტექსტის შინაარსის განსაზღვრის მეთოდია კომპრესირების პროცესში, პრაქტიკულად იგი მაინც არ იკვლევს ტექსტს სემანტიკური თვალსაზრისით. პირველწყაროს სემანტიკა, რომლის ანალიზი კომპრესირებისას ტექსტის ცალკეული ელემენტების ექსტრაპირებას ეფუძნება, მეორად დოკუმენტში იკარგება. ამ მეთოდით ძნელია ზუსტად განსაზღვრო ორიგინალის „ძირითადი ინფორმაცია“, შესაბამისად, ამ ხერხით მიღებული მეორადი დოკუმენტი – რეფერატი თუ ანოტაცია – არ იქნება მისი პირველწყაროს ადეკვატური სემანტიკის დონეზე, რაც საბოლოოდ არის კიდევ იმის მიზეზი, რომ ამ მეთოდზე დაყრდნობით მიღებული რეფერატი არ ასახავს ადეკვატურად პირველწყაროს ძირითად შინაარსს. ამგვარი რეფერატი ნაკლებ ეფექტური და შინაარსობრივად მწირია.

ფორმალური (ავტომატური) მეთოდების ნაკლად ითვლება ის, რომ მისი შედეგია ტექსტის მხოლოდ გარეგნული ფორმის შეცვლა – მისი მოცულობის შემცირება ისე, რომ ყურადღება არ ექცევა აზრობრივი, ლოგიკური კომპრესიის ფაქტორს, რაც პირველწყაროსა და მეორად დოკუმენტებს შორის სემანტიკური ადეკვატურობის დაღვინის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა.

2. ასპექტური მეთოდი

ამ მეთოდის ავტორია ვ. ი. სოლოვიევი⁵⁵, რომელიც გვთავაზობს შინაარსის განსაზღვრას მისი აზრობრივი ასპექტების მიხედვით და ერთმანეთისგან განასხვავებს ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებებში რეფერატის შედგენის მეთოდებს. იგი გამოყოფს იმ აზრობრივ ასპექტებს, რომლებიც უნდა აისახოს რეფერატში.

ტექნიკური მეცნიერების სფერო

1. კვლევის პრობლემა. მისი საგანი და თემატიკა.
2. ჩატარებული გამოკვლევის სამეცნიერო-ტექნიკური სფერო.
3. კვლევის მიზანი.
4. მასალა, რომელზეც ჩატარდა კვლევა.
5. საკვლევი ობიექტის შესწავლას ავტორისეული შეფასება.
6. საკვლევი ობიექტის დანიშნულება.
7. კვლევის სახეობა.
8. კვლევის მეთოდი.
9. გამოყენებული ხელსაწყოები.
10. პირობები, რომელშიც მიმდინარეობდა კვლევა.
11. კონკრეტული რეზულტატები.
12. ტექნიკური ეფექტი.
13. ეკონომიური ეფექტი.
14. საკვლევი ობიექტის ღირებულება და მნიშვნელობა.

ცხადია, უკლებლივ ყველა პირველწყარო არ შეიცავს ჩამოთვლილ ასპექტებს. ასეთ შემთხვევაში რეფერენტი შემოქმედებითად უდგება დასახელებული საკითხების ინტერპრეტაციას.

ასპექტები ანკეტური ტიპისაა და იგი შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურად, რადგან დასახელებული ასპექტები თითქმის ყველა სამეცნიერო დოკუმენტს აქვს. ამ სქემას შეიძლება ჰქონდეს შემოკლებული ვარიანტიც, რადგან მისი 14 ასპექტი ხშირად უფრო მსხვილ ჯგუფებად ერთიანდება. ასეთი ჯგუფებია: საკვლევი ობიექტი (1, 2, 5, 6 ასპექტები), კვლევის მიზანი და მეთოდები (4, 7, 8, 9, 10 ასპექტები), მიღებული რეზულტატები და ეფექტი (11, 12, 13, 14 ასპექტება). მეთოდის ავტორი თვლის, რომ რაც უფრო დეტალურადაა ანკეტაში ასპექტები ჩამოთვლილი, მით უფრო სრულყოფილადაა აღწერილი რეფერატში პირველადი დოკუმენტის შინაარსი.

თუ სარეფერატო ტექსტში ტექნოლოგიური პროცესები, თეორიული მოდელებია განხილული და აღწერილია ხელსაწყო-დანადგარები ან პროდუქცია, ასეთი შემთხვევისათვის ვ. ი. სოლოვიევი ამგვარ ანკეტურ სქემას გვთავაზობს:

1. აღსაწერი ობიექტი.
2. მისი დანიშნულება.
3. გამოყენების სფერო.
4. სად და ვის მიერაა ხელსაწყო შემუშავებული.
5. ხელსაწყოს კონსტრუქცია.
6. ტექნიკური და ექსპლუატაციური მეთოდები.
7. გამოყენების ეფექტურობა.
8. ეკონომიური მონაცემები.

ამ მეთოდით შედგენილი რეფერატი უნდა შედგეს აზრობრივი ასპექტების თანმიმდევრობით. თუ რეფერატში გამოტოვებულია რომელიმე ასპექტი, უნდა ჩავთვალოთ, რომ ამავე ასპექტის შესახებ არაფერია ნათქვამი ორიგინალში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სფერო

საზოგადოებრივი მეცნიერებების დარგში რეფერატი გაფართოებული სახით იწერება, რადგან:

ა) სარეფერატო პირველწაროდ დიდი მოცულობისა და აქვს შინაარსის გადმოცემის თავისებური, ჰუმანიტარული დარგებისათვის დამახასიათებელი მეთოდი.

ბ) რეფერატში შედის პირველწაროდ ინფორმაცია ავტორის შესახებ.

გ) ამ რეფერატს მკითხველთა ფართო წრე ჰყავს და ამდენად, იგი ბევრი მკითხველისათვის პირველწაროდ სუროგატია.

საზოგადოებრივი მეცნიერებების დარგში რეფერატის შედგენისას რეფერენტმა მუდამ დოკუმენტში უნდა შეიტანოს საკვლევ ობიექტზე ავტორისეული შეხედულებები და განმარტოს ავტორის პოზიცია. რეფერატის ენობრივი სტრუქტურა და მისი სტილი განიცდის ორიგინალის ენისა და სტილის გავლენას, რაც ნაწილობრივ ხელს უწყობს რეფერატის შინაარსის ადეკვატურობას პირველად დოკუმენტთან. რეფერატში ორიგინალიდან შეიძლება გადავიდეს მთელი ფრაგმენტები, წინადადებები, განსაკუთრებით კი ისეთები, რომელთაც დიდი აზრობრივი დატვირთვა აქვთ და სადაც კვლევის შედეგები გადმოცემული⁵⁵.

დღესდღეობით დიდი ყურადღება ეთმობა ტექსტის რეფერირების ამ მეთოდს, ასპექტური მეთოდით დღეს მუშაობენ სპეციალისტთა რაგი ჯგუფები, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდით ტექსტის დამუშავება ხდება წინასწარ მოცემული შეკითხვების მიხედვით, და ამდენად, რეფერირების პროცესი დაიყვანება ინფორმაციის მხოლოდ ექსტრაპირებად, რომელმაც მთლიანად უნდა უპასუხოს მოცემულ შეკითხვებს.

3. ანკეტური მეთოდი

ვ. ი. სოლოვიევისაგან განსხვავებით, რომელიც უპირატესობას ანიჭებს სამეცნიერო-ტექნიკურსა და საზოგადოებრივი მეცნიერებების დარგში ტექსტის რეფერირების ასპექტურ მეთოდს, ავტორთა ერთმა ჯგუფმა⁵⁶ სპეციალისტებს შესთავაზა ანალოგიური სქემატური გეგმა, რომლის მიხედვითაც, მათი აზრით, უნდა შედგეს რეფერატი. ავტორთა ეს ჯგუფი თემატურად უფრო დაწვრილებით განიხილავს სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებს და თითოეულისათვის გეგმის ანკეტური ტიპის შესაბამის გეგმას.

გთავაზობთ ანკეტური ტიპის რამდენიმე გეგმას, რომლის მიხედვითაც შეიძლება შევადგინოთ მეცნიერების სხვადასხვა დარგებში რეფერატი.

1. გეგმა, რომლის მიხედვითაც იწერება რეფერატი მეცნიერების ნებისმიერი დარგში:

ა) მეცნიერებისა და მისი შემსწავლელი ობიექტის განმარტება.

ბ) მეცნიერების სტრუქტურა.

გ) მეცნიერების განვითარების ისტორია.

დ) მისი წარმოშობის წინაპირობები.

ე) იმ მეცნიერთა შრომები, რომლებმაც შეიტანეს წვლილი ამ მეცნიერების განვითარებაში.

ვ) მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპი.

ზ) მეცნიერების კვლევის მეთოდები.

- თ) სხვა მეცნიერებებთან კავშირი.
- ი) მეცნიერების ამ დარგის მნიშვნელობა.

2. გეგმა, რომლის მიხედვითაც იწერება რეფერატი, რომელშიც აღწერილია მოწყობილობა. ხელსაწყო, დანადგარი, მასალა ან ნივთიერება:

ა) ხელსაწვოს, დანადგარის, მასალის ან ნივთიერების აღმოჩენისა და შესწავლის ისტორია.

ბ) მასალა, ნივთიერება ბუნებაში.

გ) მასალის, ნივთიერების მიღების ხერხები.

დ) მასალის, ნივთიერების თვისებებისა და სტრუქტურის განხილვა.

ე) მათი ნაირსახეობებისა და თვისებების კლასიფიკაცია.

ვ) მათი განსხვავება ანალოგიური მასალის ან ნივთიერებისაგან, მათი უპირატესობა სხვებთან შედარებით.

ზ) მათი გამოყენება და როლი თანამედროვე წარმოებაში.

თ) მათი დამუშავებისა და გამოყენების შემდგომი პერსპექტივები.

3. გეგმა, რომლის მიხედვითაც იწერება რეფერატი ნებისმიერი ცნების ლეფინიციაზე:

ა) ტერმინის ლინგვისტური წარმოშობის ისტორია.

ბ) ცნების არსი.

გ) ცნების წარმოშობის მიზეზები.

დ) ამავე ცნების თანამედროვე ინტერპრეტაცია.

ე) როგორ ესმოდათ ეს ცნება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში.

ვ) როგორ გამართავდნენ ამ ცნებას ცალკეული მეცნიერები ან მიმდინარეობის წარმომადგენლები.

ზ) ცნების ვიწრო და ფართო გაგება.

თ) მისი როლი და მნიშვნელობა მეცნიერებაში.

4. გეგმა, რომლის მიხედვითაც იწერება რეფერატი მოვლენის შესახებ:

ა) მოვლენის არსის განმარტება.

ბ) მოვლენის ხასიათი.

გ) მოვლენის მახასიათებლები: ხარისხობრივი, რაოდენობრივი.

დ) მოვლენის კლასიფიკაციური დახასიათება.

ე) მოვლენის აღმოჩენისა და შესწავლის ისტორია.

ვ) მოვლენის ფუნქციები.

ზ) მოვლენის გამოყენება მეცნიერებასა და ტექნიკაში.

თ) მოვლენის გამოყენებისა ანდა მასთან ბრძოლის პერსპექტივები.

5. გეგმა, რომლის მიხედვითაც იწერება რეფერატი პროცესის შესახებ:

ა) პროცესის განვითარების ზოგადი ტენდენცია.

ბ) კანონზომიერებანი, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ პროცესს.

გ) პირობები, რომელშიც მიმდინარეობს ეს პროცესი.

დ) პროცესის განვითარებისა და ცვლილებების ეტაპები.

ე) თითოეული ეტაპისათვის დროითი ჩარჩოების განსაზღვრა.

ვ) თითოეული ეტაპისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

ზ) რეზულტატები, რომლებიც მოსდევს თითოეულ ეტაპს.

6. გეგმა, რომლის მიხედვითაც იწერება რეფერატი პრობლემის შესახებ:

ა) პრობლემის აქტუალობის დასაბუთება.

ბ) პრობლემის არსი.

გ) პრობლემის წინაპირობები, მისი წარმოშობის ფაქტორები და მიზეზები.

დ) პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობები და გზები.

ე) სიძნელებები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის წინაშე დგას.

ვ) პრობლემასთან დაკავშირებული პერსპექტივები.

7. გეგმა, რომლის მიხედვითაც იწერება რეფერატი სამეცნიერო გამოკვლევის შესახებ:

ა) გამოკვლევის მიზნები – ზოგადი და კონკრეტული.

ბ) კვლევის ობიექტის დახასიათება.

გ) კვლევის პროგრამა და მისი რეალიზაცია.

დ) კვლევის მეთოდი.

ე) კვლევის შედეგად მიღებული რეზულტატები.

ვ) დასკვნები, რომლებიც კეთდება მიღებული რეზულტატების საფუძველზე.

ასპექტური და ანკეტური მეთოდები პირველწყაროს შინაარსის განსაზღვრის ანალოგიური მეთოდებია. ორივე მეთოდის ავტორები ადეკვატური ხერხებით ახდენენ ტექსტიდან ძირითადი შინაარსის ექსტრაპირებას.

წარმოდგენილი ასპექტური და ანკეტური მეთოდები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ ნაწილებად: შესავალი ნაწილი, ძირითადი ნაწილი, დასკვნითი ნაწილი.

ტექნიკური და სამეცნიერო-პუბლიცისტური ტექსტების ასპექტურ-ანკეტური მეთოდის მიხედვით შედგენილი გეგმის ნიმუში:

I სპეციალობა – ელექტროტექნიკა

1. შესავალი

ა) საკითხის არსი.

ბ) საკითხის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები.

2. ძირითადი ნაწილი

ა) კონსტრუქცია.

ბ) სქემა.

გ) ტექნოლოგია.

დ) ანგარიშის მეთოდები.

ე) კვლევის მეთოდები.

ვ) ცდის მეთოდები.

ზ) მოქმედების პრინციპი.

თ) მასალათა თვისებები.

- ი) ექსპლუატაციის პირობები.
 - კ) ნაწარმის პარამეტრები.
 - ლ) ქიმიური შეიღვეენლობა.
 - მ) ფიზიკურ სიდიდეთა განსაზღვრის მეთოდები.
 - ნ) პარამეტრთა ურთიეროღამოკიდებულება.
 - ო) ცნებათა განმარტება.
 - პ) ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტი.
3. დასკენითი ნაწილი
- ა) რეკომენდაციები.
 - ბ) რეზულტატები.
 - გ) დასკვნები.

II სპეციალობა – ქირურგია

1. შესავალი

- ა) საკითხის არსი.
- ბ) პრობლემის დაღვენა.

2. ძირითადი ნაწილი

- ა) ეტიოლოგია.
- ბ) პათოლოგიური ანატომია.
- გ) კლინიკური სურათი.
- ღ) დიფერენციალური დიაგნოსტიკა.
- ე) მკურნალობის მინიშნებები.
- ვ) მკურნალობა.
- ზ) მკურნალობის ცალკეული რეზულტატები.
- თ) ოპერაციის შემდგომი გართულებები.
- ი) მკურნალობის პროფილაქტიკა.
- კ) დაავადების ფორმა.
- ლ) დაზიანების ლოკალიზაცია.
- მ) თანმხლები დაავადებები.
- ნ) თანმხლები სინდრომი.
- ო) დაავადების ბიოლოგიური კრიტერიუმები.
- პ) კლინიკურ-ექსპერიმენტალური მონაცემები.
- ჟ) დაავადების ხანგრძლივობა.

3. დასკენითი ნაწილი

- ა) დასკვნები.

3.1. ასპექტური და ანკეტური მეთოდების ნაკლი

ორივე მეთოდის ნაკლად მიიჩნევენ იმას, რომ არც ერთი მათგანი არ გამოღვენა შინაარსობრივი ასპექტების ჩამონათვალად, რადგან პირველწყაროსთან შინაარსის იდენტიფიკაციისას

აღმოჩნდება, რომ იგი ხან ზედმეტ ასპექტებს შეიცავს, ხან კი – ნაკლებს. ყველა ეს ანკეტური მონაცემი გასათვალისწინებელია იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მეორად დოკუმენტში (არა ანოტაციასა და რეფერატში) ზოგადად უნდა გადმოვცეთ პირველწყაროს შინაარსი. მათზე ორიენტირება ანოტაციისა და რეფერატის შედგენის პროცესში არ იქნება მისაღები. კომპრესირების პროცესში ტექსტის შინაარსის განსაზღვრის ამ მეთოდის ნაკლად იმასაც ასახელებენ, რომ იგი პირველწყაროს შინაარსის ასპექტთა დიდი რაოდენობის გამო შეიძლება გახდეს ძალიან დეტალური, რაც ართულებს რეფერირების პროცესს. ამას გარდა, ამ მეთოდით ტექსტიდან ძირითადი ინფორმაციის ამოკრეფა არ ხდება შემოქმედებითად, არამედ ეს პროცედურა „ნაკარნახევი“.

ორივე მეთოდისათვის ისაა საერთო, რომ სარეფერატო ტექსტზე ხდება წინასწარ შედგენილი გეგმის ე. წ. „დადება“ და ამის შემდეგ ტექსტში ასპექტების გამოყოფა. რეფერენტმა ტექსტის კითხვისას უნდა მოძებნოს ის ინფორმაცია, რომელიც პასუხობს და შეესატყვისება თითოეულ საკითხს და რომელსაც „ანკეტა“ გვთავაზობს.

ყველაზე მნიშვნელოვან ნაკლად კი მაინც მიგვაჩნია ის, რომ ანკეტური და ასპექტური მეთოდები არ ითვალისწინებენ რეფერენტის შემოქმედებითი უნარის გამომყვანების ფაქტორს, რაც მნიშვნელოვანწილად ამცირებს რეფერატის ხარისხს. ამ მეთოდით შედგენილი რეფერატი იქნება მშრალი ინფორმაციის ნაკადი, ნაკლებად საინტერესოდ შედგენილი და ძნელად აღსაქმელი.

სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტების ძირითადი ინფორმაციის განსაზღვრის ანალიზური-სინთეზური მეთოდები კომპარატივის პროცესში

სანამ ტექსტში ძირითადი და დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრისა და მათი გამოყენის საკითხებს განვიხილავთ, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, განვიხილოთ ტექსტის სინტაქსური, კომუნიკაციური, სემანტიკური და ინფორმაციული სტრუქტურები, რადგან სწორედ მათ ეფუძნება კომპარატივის პროცესში ტექსტიდან ამ ორივე სახის ინფორმაციის ამოკრეფის მეთოდიკა. ტექსტის განხილვა სინტაქსური, კომუნიკაციური, სემანტიკური და ინფორმაციული კუთხით გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ ტექსტის კონსტიტუენტთა კომპარატივის ფორმა.

1. ტექსტის სინტაქსური სტრუქტურა

მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე ტრადიციული სინტაქსის საკვლევ ობიექტად მიჩნეული იყო წინადადება, რომელიც განიხილებოდა ძირითად და უმაღლეს სინტაქსურ ერთეულად, მაგრამ გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ არსებობს წინადადებაზე უფრო დიდი ერთეული, რომელშიც წინადადება შედის როგორც კომპონენტი. ამიტომ ამავე საუკუნის 50-იანი წლებისათვის მეცნიერთა კვლევის ობიექტად იქცა არა წინადადება, არამედ რთული სინტაქსური მთელი (რსმ). ამ ახალი ობიექტის კვლევის აუცილებლობა დასაბუთებულია შემდეგი არგუმენტებით:

1. კომუნიკაცია ხორციელდება არა ცალკეული წინადადებების, არამედ უფრო დიდი წარმონაქმნის საშუალებით, როგორც წინადადება, როგორც ცალკეული კომპონენტი, მისი შემაღგენელია.

2. წინადადებაზე დიდ ერთეულში, რთულ სინტაქსურ მთელში, სრულად ვლინდება წინადადებათა მნიშვნელობა.

3. წინადადება მინიმალური საკომუნიკაციო ერთეულია, წინადადებაზე დიდი ერთეული, რსმ, უმაღლესი საკომუნიკაციო ერთეულია.

4. ინფორმაციული მოთხოვნების დაკმაყოფილება ცალკეული წინადადებებით ნაკლებად ხდება. ინფორმაციული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭიროა უფრო დიდი ერთეული.⁵⁷

წინადადებაზე უფრო დიდ ერთეულს ლიტერატურაში ვხვდებით სხვადასხვა სახელწოდებებით: რსმ. გამონათქვამი, პროზაული სტროფი, სემანტი, სუბტექსტი და ა. შ.

ჩვენ საშუაო ტერმინად შეგარჩიეთ რსმ. მივიჩნევთ, რომ რსმ არის მეტყველების ერთეული და კომუნიკაციის საშუალება, იგი არის სამეცნიერო სტილისა და პუბლიცისტური ჟანრის ტექსტების ძირითადი სინტაქსური ერთეული.

ზშირად რსმ გაიგივებულია აბზაცთან, თუმცაღა მივიჩნევთ, რომ ეს ერთი და იგივე ერთეულის სხვადასხვა კატეგორიებია: აბზაცი – კომპოზიციურ-არქიტექტონიკური და ფორმალური ერთეულია, ხოლო რსმ – ტექსტის სინტაქსურ-სემანტიკურ ერთეულს წარმოადგენს. რსმ ემთხვევა აბზაცს, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ იგი ერთი წინადადებისგან და, შესაბამისად, ერთი აბზაცისგან შედგებოდეს.

ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი რსმ-ის პარამეტრთა შორის ასახელებს მასში ავტოსემანტიკური (დამოუკიდებელი) და სინსემანტიკური (დამოკიდებული) წინადადებების არსებობას. რსმ-ის პირველი წინადადება ყოველთვის ავტოსემანტიკურია. ავტოსემანტიკურია ის წინადადება, რომელსაც მისი კონტექსტიდან ამოღების შემდეგ არა აქვს იმპლიციტური* კავშირები სხვა წინადადებებთან. სინსემანტიკური წინადადებები ექვემდებარებიან კონტექსტს და მის გარეშე კარგავენ სიტუაციურ მნიშვნელობას. სინსემანტიკურ წინადადებათა კავშირი ავტოსემანტიკურ წინადადებებთან განისაზღვრება სხვადასხვა ენობრივი ერთეულებით, უპირველეს ყოვლისა ე. წ. კონექტორებით.

6. ზ. ზარუბინა ერთმანეთისგან განასხვავებს რსმ-ის წინადადებების „მაგარ“ და „რბილ“ დასაწყისს. იგი მიიჩნევს, რომ რსმ-ის პირველი წინადადება ავტოსემანტიკურია და აქვს „მაგარი“ დასაწყისი. „მაგარ“ საწყისად იგი მიიჩნევს წინადადებების დასაწყისში არსებით სახელს – ქვემდებარეს. რსმ-ის სხვა წინადადებები სინსემანტიკური არიან და „რბილი“ დასაწყისი აქვთ. „რბილ“ დასაწყისად იგი მიიჩნევს წინადადების დასაწყისში მავრთებელ კავშირს. ზმნა-შემასმენელს, წინადადებაში მესამე პირის, ჩვენებითი ანდა კუთვნილებითი ნაცვალსახელების, ასევე ნაცვალსახელური ზმნიშვლების არსებობას.⁵⁸

სამეცნიერო ტექსტში რსმ ძირითადად იწყება ავტოსემანტიკური წინადადებით, რომელსაც მოსდევს რამდენიმე სინსემანტიკური წინადადება. მომდევნო რსმ ისე იწყება ავტოსემანტიკური წინადადებით, რომელსაც ექვემდებარება რამდენიმე სინსემანტიკური წინადადება (ზშირად სამიდან შვიდამდე). ავტოსემანტიკურ და სინსემანტიკურ წინადადებათა ერთობლიობა, ანუ რსმ, შეადგენს მიკროკონტექსტს. მიკროკონტექსტი ავტოსემანტიკურია, ანუ იგი საწყისი წინადადების გაშლის, გაფართოების რეზულტატია.

ანალოგიური სინტაქსური სტრუქტურა აქვს პუბლიცისტურ ტექსტსაც.

რსმ-ის კომპრესიის პროცესისას ირკვევა, რომ ავტოსემანტური წინადადება თითქმის ყოველთვის არის რსმ-ის მეტაინფორმაციული ელემენტი, ხოლო სინსემანტური წინადადებები – მისი ინფორმაციული ელემენტებია.

რამდენადაც რსმ-ს ტექსტის სინტაქსურ ერთეულად მივიჩნევთ, მას უნდა ჰქონდეს ტექსტისათვის დამახასიათებელი ნიშნები – მთლიანობა, თემატურობა და ბმულობა.

მთლიანია ისეთი რსმ-ი, რომელიც აღიქმება გააზრებულ ერთიანობად/მთლიანობად. რსმ არ შეიძლება შედგებოდეს აზრობრივად ერთმანეთთან დაუკავშირებელი წინადადებებისაგან.

ტექსტის თემატურობა მაშინ ხორციელდება, თუ რსმ დასრულებულია და თანმიმდევრული და მასში გამოხატულია ერთი ძირითადი აზრი, ერთი თეზისი, ერთი პოზიცია. ყველა დანარჩენ მიკროთემას მიეყვებათ ძირითადი თემისკენ, ერთი აზრისკენ. ისინი განავეითარებენ ტექსტის ძირითად თემას და ახდენენ მის არგუმენტაციას.

ბმულობა – რსმ-ის აუცილებელი ნიშანია, რომლის გარეშეც რსმ, როგორც სინტაქსური მთელი წარმოუდგენელია. ბმულობა ხორციელდება როგორც ლექსიკურ-გრამატიკული, ასევე ფუნქციონალურ-სინტაქსური საშუალებებით.

რა კავშირი აქვს ყოველივე ზემოთქმულს ტექსტის ძირითადი ინფორმაციის განსაზღვრასთან? რადგან ტექსტის სინტაქსურ ერთეულად რსმ მივიჩნით, ამიტომ ტექსტის სინტაქსური სტრუქტურებიდან გამომდინარე კომპრესია უნდა მოვახდინოთ მისი ერთეულის – რსმ-ის შიგნით და გამოგყოთ მასში ძირითადი ინფორმაცია. ტექსტის სინტაქსური კომპრესიის პროცესი ორი მიმართულებით წარმოებს:

1. რსმ-ში უნდა გამოიყოს პრედიკატული მინიმუმი (პრედიკატული ჯგუფი ანუ პრედიკატული ფრაზა, რომელშიც იგულისხმება რსმ-ის უშუალო კონსტიტუენტი, რომელიც სუბიექტის ჯგუფთან ერთად ქმნის რსმ-ს). მაგ.:

ორიგინალი:

Mit vier Milliarden Euro will die Bundesregierung die Länder unterstützen – zum Beispiel beim flächendeckenden Aufbau von Ganztagschulen, in denen nachweislich besser individuell gefördert und fachliches und soziales Lernen miteinander verknüpft werden kann. Künftig wird ein neuer Sachverständigenrat einen jährlichen nationalen Bildungsbericht erarbeiten. Der Bundeskanzler hat die Gründung der „Stiftung Bildung und Erziehung“ vorgeschlagen, die eine Neuorientierung des Bildungswesens mit allen Beteiligten voranbringen soll. Das Ziel: In zehn Jahren will Deutschland unter der ersten fünf Bildungsnationen sein.

კომპრესირებული ტექსტი:

Mit vier Milliarden Euro will die Bundesregierung die Länder beim Aufbau von Ganztagschulen unterstützen. Künftig wird ein neuer Sachverständigenrat einen jährlichen nationalen Bildungsbericht erarbeiten. Der Bundeskanzler hat die Gründung der „Stiftung Bildung und Erziehung“ vorgeschlagen. Das Ziel: In zehn Jahren will Deutschland unter den ersten fünf Bildungsnationen sein.

2. რსმ-ში ზმნური კონსტრუქციები უნდა შეიცვალოს სახელადი კონსტრუქციებით. კომპრესირების პროცესში ზმნური კონსტრუქციების შეცვლა სახელადი კონსტრუქციებით იმ შემთხვევაშიც ხდება, როცა ამას არ მიყვებათ ტექსტის მოცულობის შემცირებამდე. სახელადი კონსტრუქციები ტიპურია რეფერატისთვის. მაგ.:

ორიგინალი:

- Die Siemens AG führt Maßnahmen durch:
- Initiative und Engagement anzuregen
- eine positive Einstellung zum Unternehmen zu vermitteln
- Verantwortung des Unternehmens zu verdeutlichen
- die Identifikation der Mitarbeiter zu fördern
- Flexibilität zu vermitteln.

კომპრესირებული ტექსტი:

- Die Ziele der von Siemens AG geführten Maßnahmen: Initiative- und Engagementanregung; Vermittlung einer positiven Einstellung zum Unternehmen; Verdeutlichen der Unternehmensverantwortung; Förderung der Mitarbeiteridentifikation; Vermittlung der Flexibilität.

(B & W ' 4/36)

2. ტექსტის კომუნიკაციური სტრუქტურა

ტექსტის კომუნიკაციური სტრუქტურის ამოცანაა დაადგინოს, თუ როგორ ხდება შეტყობინების მიზნების გათვალისწინებით წინადადების ფორმირება. ტექსტის კომუნიკაციური სტრუქტურა განსაზღვრავს იმას, თუ როგორაა ჩაბმული მოცემული წინადადება მეტყველების კონტექსტში. ტექსტის კომუნიკაციური სტრუქტურის დადგენით გამოიყოფა ტექსტში უფრო მეტად ინფორმაციული ნაწილები, რაც საფუძვლად უდევს ტექსტის კომპრესიასა და რეფერატის შედგენას.

ისევე როგორც ტერმინი „სინტაქსური სტრუქტურა“, ტერმინი „კომუნიკაციური სტრუქტურა“ თავდაპირველად წინადადებას ეხებოდა. სინტაქსური სტრუქტურისგან განსხვავებით, რომელიც წინადადების რამდენიმე წევრს მოიცავს, კომუნიკაციური სტრუქტურა ეყრდნობა გამონათქვამის აზრობრივ დანაწევრებას (აქტუალურ დანაწევრებას).

შემდგომში ტერმინოლოგიური გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ტექსტის ინფორმაცია და ტექსტის შინაარსი ეკვივალენტური ტერმინებია. ტერმინები „მნიშვნელობა“ და „აზრი“ – განსხვავებული ტერმინებია: მნიშვნელობა აქვს მორფემას*, სიტყვას, სიტყვათშეთანხმებას, აზრი გააჩნია წინადადებას. რსმ-ში გადმოცემულ შინაარსს მოკლე ინფორმაციასაც უწოდებენ. ტექსტი თავისთავად გულისხმობს ინფორმაციას, ინფორმაცია ტექსტის არსებობის წესია.

ტექსტის საკომუნიკაციო დანიშნულება ემყარება რსმ-ებს შორის თემა-რემობრივ ურთიერთობას, აზრის მოძარობას ერთი მიკროთემიდან მეორე მიკროთემამდე, ვიდრე მილიანი ტექსტის სრულ გახსნამდე. ინფორმაცია იმიტომ არის კომუნიკაციის საშუალება და სავანი, რომ იგი ემორჩილება აქტუალური დანაწევრების ანუ ფუნქციონალური პერსპექტივის თეორიას. რსმ-ის ფუნქციონალური პერსპექტივა, რომელსაც სხვანაირად წინადადე-

ბის აქტუალურ დანაწევრებას უწოდებენ. დამუშავდა ვ. მათეზიუსისა და პრადის სამეცნიერო სკოლის სხვა წარმომადგენლების მიერ.

ვ. მათეზიუსის დებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ წინადადების ფორმალურ-გრამატიკული და სტრუქტურული დანაწევრება უნდა განვასხვავოთ აქტუალური დანაწევრებისაგან, რომელიც მოცემული წინადადების კონკრეტულ შინაარსს გამოხატავს შესაბამის კონტექსტში ან სიტუაციაში. თუ წინადადების ფორმალური დაყოფის ელემენტებს წარმოადგენს ქვემდებარე და შემასმენელი, აქტუალური დანაწევრების დროს უნდა გამოიყოს ერთი მხრივ რსმ-ის „გამოსავალი პუნქტი“, ანუ „ფუძე“, ე. ი. ის, რაც მოცემულ სიტუაციაში ცნობილია და მეორე მხრივ, რსმ-ის ბირთვი, ე. ი. ის, რასაც ადრესანტი გამოთქვამს „ფუძის“ მისამართით. ვ. მათეზიუსმა შემოგვთავაზა მოსაზრება წინადადების ფუძედ და ბირთვად დანაწევრების შესახებ.

წინადადების დაყოფას ორ საკომუნიკაციო ერთეულად (თემად და რემად/ფუძედ და ბირთვად) აქტუალურ დანაწევრებას უწოდებენ, რადგან ამგვარი დანაწევრება აქტუალურია მოცემული კონტექსტისა თუ კონკრეტული სიტუაციისათვის.


აქტუალური დანაწევრების მეთოდი წარმოადგენს წინადადების კომუნიკაციური ორგანიზაციის კვლევის მეთოდს, რომლის მიზანია მასში ინფორმაციულად მნიშვნელოვანი ელემენტების გამოყოფა, ანუ იმ ელემენტებისა, რომლებსაც დიდი კომუნიკაციური დატვირთვა აქვთ (რემატული ელემენტები) და მცირე კომუნიკაციური დატვირთვის მქონე ელემენტების გამოყოფა (თემატური ელემენტები).

ტრადიციული სინტაქსიდან გამომდინარე წინადადების ანალიზის მიზანია დაადგინოს წინადადების წევრებს შორის კავშირი და ასევე განსაზღვროს წინადადების შინაგანი სტრუქტურა. მაგ.: წინადადებაში „Das Kind spielt im Hof“ – ტრადიციული სინტაქსის თვალსაზრისით წინადადების ძირითადი წევრებია – das Kind – ქვემდებარე, spielt – შემასმენელი, im Hof – ადგილის გარემოება. მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ, რომ მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სად თამაშობს ბავშვი, მაშინ აზრობრივად წინადადების მთავარ წევრად ჩაითვლება „im Hof“. ის არის აზრობრივი ბირთვი. ამდენად, წინადადების ანალიზისადმი ფუნქციონალური მიდგომა (აქტუალური დანაწევრება) არ ემთხვევა წინადადების ტრადიციულ ანალიზს.

აქტუალური დანაწევრების დროს თითოეული წინადადება განიხილება როგორც შინაარსის მინიმალური შემადგენელი, რომელიც იყოფა ორ ძირითად ნაწილად, ანუ შეადგენს აქტუალურ წყვილს. თითოეული აქტუალური წყვილი არის აზრობრივი მოძრაობა ცნობილიდან უცნობისაკენ. ცნობილია ის, რაზედაც გვეძლევა შეტყობინება. უცნობია ის, რასაც გვატყობინებენ, ანუ ახალი ინფორმაცია ობიექტის შესახებ. მას სხვაგვარად ლოგიკური პრედიკატი, ანუ რემა ეწოდება. ნაკლები ინფორმაციული დატვირთვა აქვს თემას, მეტი ინფორმაციული დატვირთვა აქვს რემას, რომელიც ფაქტიურად ახალ ინფორმაციას წარმოადგენს. ამასთან რემა არ არის ერთგვაროვანი თავისი შემადგენლობით, მის წიაღში შეიძლება გამოიყოს უფრო ინფორმაციული სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება – რემის ბირთვი.

სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტების კომუნიკაციური სტრუქტურისათვის დამახასიათებელია რსმ-ში თემა-რემის (T - R) ურთიერთობის მოდელის ოთხი ტიპი.


I ტიპი – ლინეალური ვაჭვი. ეს ყველაზე გავრცელებული ტიპია, როცა მომდევნო წინადადება წინამავალისათვის რემაა, ხოლო რემა მომდევნო წინადადებისათვის თემაა და ა. შ. ამ ტიპის თემა-რემატული ურთიერთობა შექმნილია სქემით გამოხატება:



ნიმუში:

Die Herstellung eines Traktors ist ein komplizierter Vorgang. Dieser Vorgang läuft im Werk ab. Das Werk fertigt Traktoren. Die Traktoren werden bei John Deere gebaut. John Deere baut sie in anonymen Serien.


II ტიპი – ესაა თემა-რემის ურთიერთობის მოდელი საერთო, გამჭოლი თემით, როცა რსმ-ის ყველა წინადადებისათვის თემა ერთი და იგივეა, ხოლო რემა – სხვადასხვა.



ნიმუში:

Gold hat eine gelbrote Farbe. Reines Gold schmilzt bei 1063°C. Es siedelt bei 2950°C. Das reine Gold ist weich. Gold ist gegen Angriffe der Atmosphäre beständig.

III ტიპი – თემა-რემის ურთიერთობის მოდელი, როცა რსმ-ის წინადადებები გაერთიანებულია პარალელური კავშირებით. გვაქვს ასეთი სქემა:




ნიმუში:

Es werden die verschiedenen Subsysteme des Studiurns beschrieben. Das Subsystem der Grundstufe beinhaltet die erste Stufe des Studiums;

Das Subsystem der Mittelstufe beinhaltet die zweite, mittlere Stufe des Studiums;

Das Subsystem der Oberstufe beinhaltet die obere, höchste Stufe des Studiums.

IV ტიპი – შერეული ტიპია. მისი სქემები შეიძლება ასე გამოისახოს:



3. ტექსტის სემანტიკური სტრუქტურა

ტექსტის სინტაქსურ და კომუნიკაციურ სტრუქტურებთან ერთად ტექსტის ძირითადი ინფორმაციის განსაზღვრა ხდება აგრეთვე ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურაზე დაყრდნობით.

ტექსტის სემანტიკური სტრუქტურაც ეფუძნება წინადადების სემანტიკას. წინადადების სემანტიკა გულისხმობს წინადადების სიტყვათა ან სიტყვათა ჯგუფების მნიშვნელობათა ანალიზს, მათი მნიშვნელობების აღწერას წინადადების ფარგლებს შიგნით, რაც სიტყვათა ცალკეული მნიშვნელობების საფუძველზე მიმდინარეობს და ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობების ურთიერთობას ემყარება. წინადადების სემანტიკა იკვლევს აგრეთვე სიტყვის მნიშვნელობათა ცვლილებებს და ამ ცვლილებათა მიზეზებს.

ტექსტის სემანტიკა გადის წინადადების ფარგლებს გარეთ და იკვლევს ტექსტთა მნიშვნელობებს. „Aufgabe der Textsemantik ist die Darstellung der Bedeutungsstruktur eines Textes oder Textstücks und insbesondere der semantischen Relationen, die über die Bedeutungsstrukturen der Einzelsätze hinausgehen.“⁵⁹ ტექსტის სემანტიკა ორიენტირებულია ტექსტის თემაზე, ანუ ინფორმაციის ბირთვზე. ტექსტის თემა ცენტრალური შინაარსობრივი ელემენტია, რომელიც ტექსტის ყველა სემანტიკურ ინფორმაციას უყრის თავს და შეიცავს ინფორმაციის ბირთვს. ტექსტის თემა დიდ როლს ასრულებს ტექსტის აღქმაში. თემა აერთიანებს და ერთმანეთთან აკავშირებს რამდენიმე დამოუკიდებელ წინადადებას. ამ წინადადებათა აზრობრივი კავშირი ქმნის ტექსტის შინაარსს, რომელიც არის კიდევ ტექსტის ძირითადი ინფორმაცია. ტექსტის შინაარსი, ძირითადი ინფორმაცია ქმნის ტექსტის სემანტიკას. ტექსტის სემანტიკა ერთიანია, მთლიანია და იგი იქმნება რსმ-ის სემანტიკის, მათი თემატური ჯაჭვის შერთებით.

ო. ი. მოსკალსკაია ტექსტის სემანტიკის ამოცანას ხედავს იმაში, რომ მან უნდა გამოავლინოს ყველაზე ზოგადი აზრობრივი სტრუქტურები, რომლებიც საფუძვლად უდევს ნებისმიერი წინადადების თუ ტექსტის აგებას.⁶⁰

კონკრეტული ტექსტის სემანტიკა – მისივე თემა, ანუ ძირითადი ინფორმაციაა. ვთვლით, რომ ნებისმიერ ტექსტში, ჩვენს კერძო შემთხვევაში კი – სამეცნიერო და პუბლიცისტურ ტექსტებში, მათ რსმ-ში გამოიყოფა აზრობრივი ბაზისური წინადადებები (Basis-Sätze – ბირთვული წინადადებები, „საყრდენი პუნქტები“), რომლებიც მთლიანობაში შეადგენენ კიდევ ტექსტის ე. წ. თემატურ-სემანტიკურ სქემას. ბაზისური წინადადებების გამოყოფით მკითხველი გაიაზრებს ცალკეული რსმ-ის თემას, აღიქვამს მათ ძირითად ინფორმაციას, რაც თავისთავად ხელს უწყობს მთლიანი ტექსტის ძირითადი ინფორმაციის განსაზღვრას და მის ქრონოლოგიურ დაჯგუფებას. ბაზისური წინადადებების გამოყოფის უკულებელოფა ართულებს ტექსტის თემის, მისი ძირითადი ინფორმაციის გაგებას და შეიძლება ითქვას შეუძლებელსაც კი ხდის ტექსტის შინაარსის აღქმას: ტექსტის ანალიზი იწყება მისი ცალკეული რსმ-ების თემის გამოყოფით, რადგან ტექსტისა და რსმ-ის სემანტიკურ ბაზისს სწორედ თემა წარმოადგენს. თემა რიც ქვეითებდა იშლება, რომელთა შეჯამებაც ისევ მთლიანი ტექსტის დადგენამდე მიგვიყვანს.

ჩვენ ვემხრობით ტექსტის ძირითადი ინფორმაციის გადმოცემის იმ მეთოდს, რომლის მიხედვითაც ხდება მთელი ტექსტის ინფორმაციის თემატური რივის ძლიერი განზოგადება. მართკად რომ ვთქვათ, ესაა პასუხი კითხვაზე: რაზეა ტექსტი? მას შემდეგ, რაც მოხდება იმის ფორმულირება, თუ რაზეა ტექსტი, უნდა განზოგადდეს მთელი ინფორმაცია, რომე-

ლიც მოცემულია ტექსტში. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოხატული იყოს ერთი წინადადე-
ბითაც კი. ესაა ახალი, ძირითადი ინფორმაცია, რომელზედაცაა შედგენილი ტექსტი. მას
ასევე მიიხსენებენ ტექსტურ რემად. მას შემდეგ, რაც გაირკვევა ტექსტის რემა, შეიძლება
მოვახდინოთ თემისა და რემის ფორმულირებათა განზოგადება და ამის საფუძველზე ავა-
გოთ ბაზისური წინადადება გამოხატული ნომინალური სიტყვათშეთანხმებით.

ეს პროცედურა შეიძლება ამგვარადაც აღიწეროს: ნებისმიერი ტექსტის ძირითადი
ინფორმაციის გამოყოფისათვის უნდა ვაგვიჯნოთ ერთმანეთისაგან ტექსტის თემა (აღწერი-
სა და განსჯის საგანი) და რემა (ახალი ინფორმაცია ამ საგნის შესახებ). თუ შევაჯამებთ
ასეთ თემას, რომელიც მიღებულია ტექსტის მიელი თემატური ჯაჭვის განზოგადების
გზით რემასთან, რომელიც განზოგადებს ტექსტის მიელ რემატულ ჯაჭვს, მივიღებთ
ბაზისურ წინადადებას, რომელიც შემოკლებული ფორმით გამოხატავს ტექსტის ძირითად
ინფორმაციას.

ტექსტის ძირითადი ინფორმაციის მოკლედ ფორმულირებას ინტერპრეტატორ/რეფე-
რენტები განსხვავებულად ახდენენ. ერთი და იგივე ტექსტის თემა, ძირითადი ინფორმაცია,
სხვადასხვანაირად განისაზღვრება. მათი ვარიანტები, ცხადია, რაღაც დონით გამოხატავენ
ძირითად ინფორმაციას, მაგრამ ისინი განსხვავებულნი იქნებიან ერთმანეთისაგან ფორმითა
და მსჯელობათა თანმიმდევრობით.

ტექსტის თემა არასოდეს დგინდება ზუსტად და ცალსახად, რადგან იგი ინტერპრეტა-
ტორ/რეფერენტის სუბიექტური განსჯის შედეგია, რომელშიც თავმოყრილია ინდივიდის
კერძო „დასკვნები“ გამოტანილი ტექსტის სემანტიკიდან, რაც თავისთავად რეფერენტის
კომპეტენციაზე დამოკიდებულია. ტექსტის თემის დადგენა ყოველთვის მიახლოებითა და
არაზუსტი. ინტერპრეტატორ/რეფერენტი ტექსტის თემას რომ ჩასწვდეს, იგი უნდა მოწყ-
დეს ტექსტს და მიმართოს სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს, რათა მოახდინოს ტექსტის
თემის, მისი ძირითადი ინფორმაციის განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას,
რომ ტექსტის თემის დადგენა ბაზისური წინადადებების დახმარებით სუბიექტურია და იგი
სუბიექტუალური ცოდნასა და მის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. ბაზისურ წი-
ნადადებებზე დაყრდნობით შეიძლება ავაგოთ როგორც მთლიანად ტექსტის, ასევე მისი
ცალკეული თავების, პარაგრაფებისა თუ რსმ-ის შინაარსი.

ტექსტში ბაზისური წინადადებების საფუძველს ქმნიან ე. წ. „კოდი-სიტყვები“*. კოდი-
სიტყვები უმოკლესი ენობრივი გამოთქმებია, რომელსაც სხვაგვარად პაროლს ან საყრდენ
სიტყვას უწოდებენ და რომლის დახმარებითაც ტექსტის შინაარსში გარკვევა ხერხდება.
ზშირად კოდი-სიტყვები სათაურშივეა მოცემული ან ტექსტში მუქი შრიფტითაა მარკირე-
ბული, თუმცაღა არც ის უნდა გამოერიცხოთ, რომ კოდი-სიტყვები ზშირ შემთხვევაში
თვითონ ტექსტის შინაარსიდანაც უნდა ამოეკრიფოთ. მაგ.:

ტექსტის სათაურა: Arbeitsblätter zum Thema „Zahlwort“

კოდი-სიტყვება: Arbeitsblatt; Zahlwort; Lernspiel; Mathematik; Sekundarstufe I.

ტექსტის სათაურა: Der Europarat fördert das Lehren und Lernen von Fremdsprachen.

კოდი-სიტყვება: Eurparat-Projekt; Bildungspolitik; Fremdsprachenunterricht; Interkulturelle
Kommunikation. Sprachpolitik

კოდი-სიტყვებს მთლიანად ტექსტის სემანტიკის გაგებისათვის შნიშვნელოვანი დატვირთვა
აქვთ. „კოდი-სიტყვების“ გამოყოფისა და მათი დაჯგუფება-განაწილების შემდეგ უნდა
აიგოს ბაზისური წინადადებები. ტექსტში ბაზისური წინადადებების განსაზღვრა გვეხმარე-
ბა ტექსტის ძირითადი თემისა და ახალი ინფორმაციის გამოყოფაში როგორც ცალკეულ

რსმ-ში ასევე რსმ-ებს შორისაც. ბაზისური წინადადებების ფორმულირებით დგება ტექსტის გეგმა.

ბაზისური წინადადებების შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი მომენტები:

1. რეფერენტი ეცნობა ტექსტს და მონიშნავს მის რსმ-ებს მათი რიგითობის მიხედვით.
2. რეფერენტი გულდასმით კითხულობს თითოეულ რსმ-ს და საფუძვლიანად ერკვევა მის შინაარსში.
3. რეფერენტი განსაზღვრავს კოდ-სიტყვებს თითოეულ რსმ-ში.
4. რეფერენტი ადგენს ბაზისურ წინადადებებს.
5. ბაზისური წინადადებების შედგენისას რეფერენტმა არ უნდა იხელმძღვანელოს ტექსტის ლექსიკით, არ უნდა ამოვილოს ტექსტიდან მთლიანი ფრაზები და არ გაიპოროს ლექსიკური ერთეულები სიტყვა-სიტყვით.
6. რეფერენტმა უნდა მოახდინოს წაკითხული რსმ-ის შინაარსის განზოგადება.
7. ბაზისური წინადადებები ჩამოყალიბებული უნდა იქნეს სახელადი ფორმით: უპირატესობა ენიჭება ნომინატივისა და გენიტივის, წინდებულთან შესიტყვევებს, გარსებითე-ბულ ინფინიტივებს, ნომინალურ (სახელით) ფრაზებს*.

Das Versprechen

(1) In ihrem Film erzählt [Margarethe von Trotta] eine berührende Liebesgeschichte, die 1961 in Ost-Berlin kurz nach dem Mauerbau beginnt. Sofia und Konrad wollen mit Freunden durch die Kanalisation in den Westen fliehen, doch Konrad stolpert über seine Schürsenkel, wird von einem A:meewagen überrascht und bleibt zurück. In knapp 28 Jahren sehen sich die Liebenden nur viermal. Nachdem der gemeinsame Sohn zur Welt gekommen ist, trennen sich ihre Wege wieder. Jeder findet einen anderen Partner. Bis Konrad zu einem Kongress nach West-Berlin reisen darf, vergehen Jahre. Beide leben ihr Leben, dennoch kann der Verlust an Gemeinsamkeit ihr Verlangen nicht zerstören. Im Freudentaumel von Ost und West auf der Glienecker Brücke sehen sie sich wieder, über die Distanz hinweg kreuzen sich ihre Blicke, in denen sich Trauer, Wehmut, Hoffnung spiegeln.

ამ რსმ-ის ბაზისური წინადადებები ასე შეიძლება გამოიხატოს:

1. ვარიანტი: Die traurige Liebesgeschichte von Sofia und Konrad.
2. ვარიანტი: Flinggrundlage – Versuch der Liebenden zu fliehen.
3. ვარიანტი: Mauerbau im Jahre 1961.

(2) „Das Versprechen“ ist ein Glücksfall für den deutschen Film. Nicht nur wegen exzellenter Schauspielerinnen ..., sondern auch wegen der Emotionalität der Geschichte, des aktuellen Zeitbezugs und der in sich geschlossenen Dramaturgie ... zwar ist die Liebesgeschichte vor dem Hintergrund der deutschen Teilung erfunden, „denn welche Liebe hält so etwas schon aus?“, aber gemeinsam mit Drehbuchautor Peter Schneider recherchierte von Trotta die Details: „Bevor wir geschrieben haben, sprachen wir mit unendlich vielen Menschen über ihre Erfahrungen“, mit „Wissenschaftlern, Schriftstellern, Pastoren, Dissidenten, vom Staat hundertprozentig Überzeugen.“ Auch die Ostdeutschen im gemischten Team bestätigen, dass „das Drehbuch sehr gerecht und sehr gut recherchiert sei.“ Corinna Harfarch: „Für das Buch war ich wirklich dankbar. Es war das Beste, das ich zu diesem Thema las, in dem einigermaßen fair erzählt wurde, warum einer geht, und warum ein anderer bleibt.“

(Leselandschaft. Band 2.)

ეს რსმ შეიცავს სამ თემას, რაც თავად ტექსტშიცაა აშკარად გამოხატული და რაც ასევე გამოიკვეთა ბაზისური წინადადებების შედგენისას. პირველი თემა და, შესაბამისად, მისი ბაზისური წინადადება ეხება ფილმის წარმატების მიზეზებს – ჩინებულ მსახიობებსა და იმ ემოციურ აჰმავს, რომელიც საფუძვლად დაედო ფილმს. მეორე თემა – სცენარზე მუშაობის პერიოდი, მესამე კი – სცენარის შეფასება. ბაზისური წინადადებები თემების მიხედვით ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. Die Gründe des Filmerfolgs.
2. Arbeit an dem Drehbuch.
3. Drehbucheinschätzung.

ზშირად ზღბა ისეც, რომ ტექსტში მოხსენიებული მთელი რიგი ფაქტორების დასახელება ვერ ზერზღბა ბაზისური წინადადებებით, რადგან ისინი ან ძალიან უმნიშვნელოა, ან კერძო ხასიათისაა.

ტექსტში ძირითადი ინფორმაციის განსაზღვრის მიზნით ბაზისური წინადადებების შედგენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არა მარტო ლინგვისტები, არამედ ფსიქოლოგებიც, რომლებიც თვლიან, რომ ბაზისურ წინადადებათა დასახელება ემსახურება ტექსტის შინაარსის აღქმასა და მის დამახსოვრებას. ბაზისური წინადადებები მყარი შესიტყვებებია, რომლებიც კერძო კონტექსტისათვის ერთიან აზრობრივ მთელს წარმოადგენს. მათი შედგენა მიზნად ისახავს ტექსტის ძირითადი ინფორმაციის ადეკვატურ ასახვას და გადმოცემას.

აქვე ნიშუშის სახით გთავაზობთ წარმოდგენილი ტექსტის ინდიკატურ რეფერატს, რომელსაც საფუძვლად უდევს ბაზისური წინადადებები:

Im Zeitungsbericht „Das Versprechen“ von Margaret Köhler ist die Rede von einem deutschen Film, den die Regisseurin Margarethe von Trotta 1994 gedreht hat. Dem Film liegen die berühmte Liebesgeschichte und die Geschichte von Deutschland während des Mauerbaus (1961) zugrunde. Außerdem sind im Artikel auch die Gründe des Filmerfolgs und der Arbeitsprozess an dem Drehbuch dargestellt.

ტექსტის ძირითადი შინაარსის განსაზღვრის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დესკრიპტორი სიტყვები. დესკრიპტორი ისეთი სიტყვა, შესიტყვება ან ძილიანი გამონათქვამია, რომელიც შინაარსს უფრო რელუცირებული, შეკვეცილი ფორმით გადმოსცემს. იგი უფრო ტვეადი, მოცულობითია და მას საინფორმაციო-საძიებო ენის ლექსიკურ ერთეულად მიიჩნევენ, რომლის ფუნქციადაც დოკუმენტის ძირითადი შინაარსის გამოხატვას თვლიან. „Deskriptor (lat. describo - აღწერ) ist ein genommtes Sachwort, das den Begriffsinhalt äquivalenter Sachwörter repräsentiert. Durch Deskriptor bezeichnet man bestimmte Schlüssel- und Schlagwörter, die zum Auffinden und zur Wiedergabe der wesentlichen Information dienen, die in einem Text enthalten ist.“⁶¹

დესკრიპტორი სიტყვა ტექსტის განზოგადების საფუძველია და ზელს უწყობს ტექსტის სემანტიკურ კომპრესიას. დესკრიპციის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ერთი, ასევე რამდენიმე წინადადება ერთდროულად, რომელთა განზოგადების შემთხვევაშიც ვიღებთ კომპაქტურ, კომპრესირებულ ტექსტს. დესკრიპტორი სიტყვა თავის თავში იტევს ყველა ფორმულირებას და ახდენს წინადადებებში გადმოცემული ფორმულირებების ზოგადი არსის სინთეზს. მაგ.:

ორიგინალი:

Die elektronische Datenverarbeitung, Abk: EDV, ist die Bezeichnung für die Anwendung der Datenverarbeitungstechnik, also von Arbeitsmitteln für die Mechanisierung und Automatisierung in der Datenverarbeitung. Meistens meint man mit EDV die Anwendung von elektronischen Datenverarbeitungsanlagen (EDVA). Mit ihnen kann man Produktionsprozesse planen, steuern und abrechnen, immer wiederkehrende Arbeiten der Verwaltung und staatlichen Instanitionen sowie wissenschaftlich-technischen Berechnungen durchführen.

ამ რსმ-ში დესკრიპტორი შესიტყვება „verschiedene Arbeiten“ განაზოგადებს შემდეგ ცნებებს: „planen, steuern, abrechnen“ და წინადადებას „immer wiederkehrende Arbeiten der Verwaltung und staatlichen Instanitionen“. შედეგად ვიღებთ კომპრესირებულ ტექსტს. რაც უფრო განზოგადებულია ტექსტი დესკრიპტორი სიტყვით, მით უფრო მაღალია მასში კომპრესიის ხარისხი.

კომპრესირებული ტექსტი:

Die elcktronische Datenverarbeitung (EDV) ist die Bezeichnung für die Anwendung der Datenverarbeitungstechnik. Mit EDV wird die Anwendung von elektronischen Datenverarbeitungsanlagen gemeint. Mit ihnen kann man verschiedene Arbeiten und Berechnungen durchführen.

4. ტექსტის ინფორმაციული სტრუქტურა

ტექსტი ინფორმაციული სტრუქტურის თვალსაზრისით შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: ძირითადი ინფორმაცია, ნაცნობი ინფორმაცია, დამატებითი ინფორმაცია. დუბლირებული ინფორმაცია, პერიფერიული ინფორმაცია, „გაუგებარი ინფორმაცია“.

ძირითადი (იგივე ახალი ინფორმაცია, ანუ რემა) ინფორმაცია – ეს ის ინფორმაციაა, რომლისთვისაც იწერება საზოგადოდ ნებისმიერი ტექსტი. ძირითადად ინფორმაციამ უნდა შეიტანოს სიახლეები და მოახდინოს ცვლილებები როგორც ცალკეული ინდივიდის, ასევე ზოგადად საზოგადოებრიობის კომპეტენციაში. ძირითადი ინფორმაცია – ეს ტექსტის შინაარსია. ძირითადი ინფორმაცია ეფუძნება უკვე ნაცნობ, იგივე ძველ ინფორმაციას, ანუ თემას და წარმოადგენს მის ზედნაშენს. ნაცნობ ინფორმაციას სასარგებლო ინფორმაციასაც უწოდებენ, რადგან იგია საფუძველი ძირითადი ინფორმაციისა. ძირითადი ინფორმაცია ინდივიდისათვის არის ის, რაც მისთვის, მისი ცოდნისათვის, მისი კომპეტენციისათვის სიახლეს წარმოადგენს.

სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს პირველწყაროდან ძირითადი ინფორმაციის ექსტრაპირების საკითხი. ეს, ერთი შეხედვით მარტივი რამ, მრავალ სირთულეს შეიცავს. ჯერ ერთი, რომ პირველწყაროში ძირითადი, ნაცნობი თუ დამატებითი ინფორმაციები ერთმანეთშია გადაჯაჭვული, რადგან ნაცნობი ბაზისია ახლისა, დამატებითი კი – დამაზუსტებელია ახლისა. სწორედ მათი მონაცვლეობა ქმნის ტექსტის ინფორმაციულობას, მის შინაარსს. გარდა ამისა, თუკი ტექსტში მოცემული იქნება მხოლოდ ახალი ინფორმაცია ნაცნობი და დამატებითი ინფორმაციების გარეშე, ამგვარი ტექსტი, ერთი მხრივ, გაუგებარი იქნება ნებისმიერი რანგის ადრესატისათვის, და მეორე მხრივ, ამ ტიპის ტექსტს მხოლოდ ხელოვნურად თუ შექმნის ადრესანტი.

ხშირ შემთხვევაში (და ეს განსაკუთრებით ეხება სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურას) ავტორი შეაფიქრებდა არ მიეცა, არ გამოყოფს ძირითად ინფორმაციას ნაცნობ ინფორმაციისგან, რადგან მისი თეორიული დებულებები ეყრდნობა უკვე არსებულს, ნაცნობს.

ტექსტიდან ძირითადი ინფორმაციის ექსტრაპირება და მისი გამოყენება სხვა ტიპის ინფორმაციისაგან დამოკიდებულია რეფერენტის კვალიფიკაციაზე.

ავტორთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ სამეცნიერო ტექსტებში ძირითადი ინფორმაციის განსაზღვრისათვის საკმარისია ორიგინალიდან თეზისებისა და დასკვნების ექსტრაპირება. ხოლო თეზისთა არგუმენტაციასა და მსჯელობათა ლოგიკურ თანმიმდევრობას ისინი დამატებით ინფორმაციას მიაკუთვნებენ.⁶²

დამატებითი ინფორმაცია ისეთი ინფორმაციაა, რომელიც აკონკრეტებს და განავითარებს ტექსტის ძირითად ინფორმაციას. დამატებითი ინფორმაცია გამოიხატება იმ სიტყვათა განმარტებით, რომლებიც აზუსტებენ იმ ცნებებს, რომლებიც ტექსტის თემას წარმოადგენს.

სამეცნიერო ტექსტში დამატებითი ინფორმაცია გადმოცემულია:

1. მაგალითებით;
2. ციფრული მონაცემებით;
3. თეზისთა არგუმენტაციითა და მსჯელობათა თანმიმდევრობით;
4. დასაბუთებით;
5. მაკონკრეტებელი, დამაზუსტებელი ენობრივი ელემენტებით.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში მოცემულია მიკროტექსტი, რომლის ფარგლებშიც ვახდენთ ძირითადი ინფორმაციისაგან (იგი პირველივე წინადადებაშია მოცემული) დამატებითი ინფორმაციის (დამატებითი ინფორმაცია გახაზულია) გამოყოფას და განვაზოგადებთ მას დიქსიონარული ფრაზით.

Die Gründe für die Unternehmer, nach Deutschland zu kommen und hier ihre eigene Firma zu gründen, sind so verschieden, wie die Menschen selbst. Beispiel Anne Rangette Thorey: Die Französin aus der Champagne ist seit ihre: Kindheit mit Deutschland vertraut. „Meine Großmutter wollte, dass sich beide Völker besser verstehe, und darum sollte auch ich Deutsch lernen.“ Schon bald folgten erste Deutschland-Aufenthalte als Schülerin: „Ich bin ein Kind des Schüleraustausches.“ Inzwischen lebt Anne Rangette Thorey seit 25 Jahren hier. „Ich fühle mich in beiden Welten zuhause.“ Zunächst hatte sich die 49-jährige Dolmetscherin mit einem Übersetzungsbüro selbstständig gemacht, ehe sie 1998 „Thorey Relocations Services“ gründete. Von Büros in Hannover, Wolfsburg und Burgdorf / Salz-itter aus managt sie zusammen mit fünf Angestellten den Umzug von Mitarbeitern ausländischer Unternehmen nach Deutschland. „Wir kümmern uns um alles, was mit Integration zu tun hat – von der Wohnungssuche bis zur Anmeldung auf dem Einwohnermeldeamt“, sagt die Unternehmerin.

(Deutschland 1 / 2003)

დამატებითი ინფორმაციის განზოგადების შედეგად ვიღებთ შემდეგი სახის კომპრესიულ ტექსტს:

Die Gründe für die Unternnehmer, nach Deutschland zu kommen und hier ihre eigene Firma zu gründen, sind verschieden. Die Gründe sind durch ein Beispiel von Anne Rangette Thorey aus Frankreich veranschaulicht.

დამატებითი ინფორმაცია ტექსტში შედის შემდეგი ენობრივი საშუალებებით: z. B.; wie; wie z. B.; die, welche; solche ... wie; solche ... welche; nämlich; also; und zwar, darunter z. B.; wie beispielsweise. ეს ენობრივი საშუალებები ტექსტში დამატებითი (დამაზუსტებელი) ინფორმაციის სიგნალურია.

პუბლიცისტურ ტექსტებში დამატებითი ინფორმაცია – ეს არის მოვლენათა და ხდომილებათა, ფაქტთა ჩამონათვალი, რომლებიც აკონკრეტებენ ძირითად ინფორმაციაში უკვე დასახელებულ მოვლენებს, ხდომილებებს და ფაქტებს. ქვემოთ მოყვანილ მიკროტექსტში გახაზულია დამატებითი ინფორმაცია:

Der Akt der Solidarität ist eine sehr starke emotionale Komponente in den deutsch-amerikanischen Beziehungen. Unvergessen ist auch, dass Präsident George Bush, der Vater des heutigen Präsidenten der Vereinigten Staaten, nach dem Zusammenbruch des Sowjet-systems, nicht anders als Michail Gorbatschow, die nationale Einheit des vierzig Jahre zerrissenen Deutschlands aktiv und entschlossen gefördert hat.

(Deutschland 1, 2003)

დამატებითი ინფორმაციის ამოკრფვის შემდეგ მივიღებთ შემდეგი სახის კომპრესირებულ ტექსტს:

Der Akt der Solidarität ist eine sehr starke emotionale Komponente in den deutsch-amerikanischen Beziehungen. George Bush hat die nationale Einheit des vierzig Jahre zerrissenen Deutschlands aktiv und entschlossen gefördert.

დუბლირებული, ანუ განმეორებითი ინფორმაციაც დამატებით ინფორმაციას მიეკუთვნება. ინფორმაციის დუბლირება – უკვე გადმოცემული ინფორმაციის გამეორებაა სხვა ენობრივი საშუალებებით. დუბლირებული ინფორმაცია ჭარბია მთლიანად ტექსტისათვის, თუმცა ლოკალურად იგი სასარგებლოა.

სამეცნიერო ტექსტში დუბლირებული ინფორმაციის კერძო შემთხვევაა უკვე დასახელებული მოვლენისა თუ ხდომილების ან ცნების განმარტება, ხშირ შემთხვევაში ეს ეხება ტერმინს. ტექსტის კომპრესიისას შეირჩევა ერთ-ერთი ვარიანტი – ან ცნება ან მისი განმარტება. დუბლირებული ინფორმაცია გამოიხატება ლექსიკური, სინონიმური და ნაცვალ-სახელური გარემოებებით.

დუბლირებული ინფორმაცია ტექსტში შედის შემდეგი საეცილო ენობრივი საშუალებებით, რომლებიც წარმოადგენენ კიდევ დუბლირებული ინფორმაციის სასიგნალო ელემენტებს: d. h.; das bedeutet; anders gesagt; bzw; wie gesagt; schon erwähnt; darunter versteht man; damit meint man; es wird folgendermassen erklärt; unter anderem.

მაგ.:

Sauerstoffreies Kupfer ist unempfindlich gegen die sogenannte Wasserstoffkrankheit. Darunter versteht man, dass Wasserstoff bei höheren Temperaturen, z. B. beim Glühen oder Hartlöten mit wasserstoffhaltigen Gasen (z. B. Erdgas, Flüssiggas, Acetylen) in Kupfer

ზემოთ მოცემულ რსმ-ში გაზახულია დუბლირებული ინფორმაცია, რომლის ამოკრეფის შემდეგ მივიღებთ შემდეგი სახის კომპრესირებულ ტექსტს:

Sauerstoffreies Kupfer ist unempfindlich gegen die sogenannte Wasserstoffkrankheit.

ტექსტის დანარჩენი ნაწილი მილიანად დუბლირებული ინფორმაციისაგან შედგება, რადგან აქ მაგალითების საფუძველზე ხდება ტერმინის „Wasserstoff“ განმარტება.

დუბლირებული ინფორმაციის ენობრივი საშუალებები უზრუნველყოფს ტექსტის ბმულობას, მის აზრობრივ განვითარებას. ის გამოიხატება ლექსიკურ, სინონიმურ და ნაცვალსახელურ გარემოებებში. ამგვარი დუბლირება სასარგებლოა კომპრესირებული ტექსტისთვისაც, რეფერატისთვისაც, თუმცაღა ტექსტის კომპრესიისას უნდა შეირჩეს დუბლირების ყველაზე ეკონომიური საშუალება.

დუბლირებული ინფორმაცია ორიგინალში გადმოიცემა არა ერთი, არამედ რამდენიმე წინადადებით, ანდა წინადადებათა ჯგუფით, რომელიც ვერცაღ და დაწვრილებით, დეტალურად გვაწვდის ცნობებს ძირითადი ინფორმაციის შესახებ. რეფერენტის ამოცანაა ტექსტის კომპრესია მოახდინოს დუბლირებული ინფორმაციის კვეცი კვეცი ხარჯზე.

პერიფერიული ინფორმაცია არაა კავშირში ტექსტის ძირითად შინაარსთან. პერიფერიული ინფორმაციას ტექსტში ქმნის ყოველგვარი შედარება, ისტორიიდან მაგალითების მოყვანა. ანალოგიები, ფრჩხილებში ჩასმული ყველა წინადადება.

გაუგებარ ინფორმაციაში იგულისხმება ილუსტრაციები, სქემები, ცხრილები, საგნობრივი სია და სხვა დამატებითი მასალები.⁶³

რეფერატში, როგორც წესი, უნდა იყოს მხოლოდ ძირითადი (ახალი) ინფორმაცია, შესაბამისად, რეფერირების პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ორიგინალიდან ახალი ინფორმაციის ანუ რემის გამოყოფა და რეფერატში ამ სიახლის გადმოტანა ორიგინალში მოცემული თემის იმპლიკაციით*.⁶⁴ რეფერატში მხოლოდ ძირითადი ინფორმაციის გადმოცემის აუცილებლობას რეფერატის თვისებებითა და მისი ინფორმაციული და კომუნიკაციური ფუნქციებიდან გამომდინარე განმარტავენ.⁶⁵

რეფერატის ინფორმაციული და კომუნიკაციური ფუნქციების განხორციელების მიზნით აუცილებელია რეფერატსა და პირველწყაროს შორის სემანტიკური ადეკვატურობის შენარჩუნება. რეფერატის ადეკვატურობას ორიგინალთან განსაზღვრავს რეფერატში ძირითადი ინფორმაციის გადმოცემა. ორიგინალთან რეფერატის ადეკვატურობა გულისხმობს, რომ მან არსებითი ინფორმაცია კონტაქტულურად უნდა ასახოს, რომ მკითხველს საბოლოო ჯამში შეექმნას იგივე შთაბეჭდილება, როგორც აქვს ორიგინალის მკითხველს; ე. ი. რეფერატის მკითხველის შთაბეჭდილება უნდა იყოს ავტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ეფექტის ადეკვატური.⁶⁶

ზოგიერთ ავტორთან ვხვდებით იმ თვალსაზრისსაც, რომ ძირითადი ინფორმაცია ინტუიციურად გამოიყოფა რეფერენტის მიერ და ამდენად ეს პროცესი სუბიექტურია. ძირითადი ინფორმაციის ინტუიციურად გამოყოფის ეს მეთოდი ტრადიციულია და ემპირიული. პირველწყაროს კომპრესიის მიზანია რეფერენტმა ანალიტიკური კვლევითა და ამ ინფორმაციის

გადამუშავების გზით პირველადი დოკუმენტიდან მოახდინოს ძირითადი ინფორმაციის ექსტრაპირება, არსებითი გამოიყენოს არაარსებითისგან. ცხადია, ორიგინალის ასეთი დაქუშავება პირობითი და სუბიექტურია.⁶⁷

რეფერატზე მუშაობის მეთოდика

რეფერირების მეთოდика წარმოადგენს შეფასებისა და ანალიზის თავისებურ ტექნოლოგიას, მეთოდების, წესებისა და ხერხების სისტემას, რომელიც სამეცნიერო-ინფორმაციული მოღვაწეობის სისტემაში გამოიყენება.

დღემდე არაა შემუშავებული ერთიანი თვალსაზრისი იმ საკითხში, თუ როგორი უნდა იყოს ოპტიმალური რეფერატი. რეფერატის ოპტიმალურობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ადეკვატურობა, ინფორმაციულობა, მისი მცირე მოცულობა.

რეფერატის ადეკვატურობის შესახებ ზემოთაც ვისაუბრეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღენიშნათ, რომ რეფერენტმა კონცეპტუალურად უნდა ასახოს დედანში წარმოდგენილი არსებითი, მნიშვნელოვანი, ძირითადი ინფორმაცია ისე, რომ რეფერატის მკითხველს შეეძლოს იგივე შთაბეჭდილება, რომელიც აქვს ორიგინალის მკითხველს, ანუ, წარმოდგენა, რომელიც რეფერატის მკითხველს შეეძლება, უნდა იყოს იმ წარმოდგენის ადეკვატური, რომელიც უნდა შეეძლოს ორიგინალის მკითხველს და რასაც მიზნად ისახავდა ორიგინალის შექმნისას ავტორი.

იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებს რეფერატი თავის ინფორმაციულ, ინდიკატურ თუ სასიგნალო ფუნქციებს, შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმის შესახებ, არის თუ არა რეფერატი პრაქტიკულად სასარგებლო. რაც უფრო ძნელად მოსაპოვებელია ორიგინალი, მით უფრო სრულყოფილი, ანუ ინფორმაციული უნდა იყოს რეფერატი. რადგან ინფორმაციულობა ყველაზე არსებითი თვისებაა რეფერატისა, ამიტომ ძირითადი ამოცანა რეფერატის შედგენისას იმაში მდგომარეობს, თუ როგორაა მასში გადმოცემული ინფორმაცია.

მეორადი ტექსტის მოცულობა ყოველთვის იყო კამათის საგანი. იგი დღესაც 'საკმაოდ აქტუალურია. როგორც რეფერატის, ასევე ანოტაციის მოცულობის განსაზღვრისათვის გამოიყენებენ კომპარისიის კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერაა მეორადი ტექსტის მოცულობა შემცირებული ორიგინალის მოცულობასთან შედარებით. რაც უფრო მეტია შეკუმშვის კოეფიციენტი, მით უფრო მცირეა მეორადი დოკუმენტის მოცულობა.⁶⁸

რეფერირების მეთოდისადმი მიძღვნილ თეორიულ შრომებში არაა მოცემული პირველწყაროსა და მისი რეფერატის მოცულობის განსაზღვრული პარამეტრები. არსებობს ზოგადი მითითება, რომ რეფერატი უნდა შეადგენდეს პირველადი ტექსტის მოცულობის დაახლოებით 5%-ს და არ უნდა აღემატებოდეს 100 სიტყვას.⁶⁹ ლ. ჩუპენი გვთავაზობს კომპარისიის პარამეტრს ერთი ათთან.⁷⁰ ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ რეფერატის მოცულობა უნდა შეადგენდეს ნახევარ გვერდს.⁷¹

განსხვავებები რეფერატის მოცულობაში აიხსნება ორიგინალის თავისებურებებით, მათი თვისებებით, რომელიც ერთი მხრივ, იმითაა განპირობებული, თუ მეცნიერების რომელ სფეროს ეკუთვნის იგი, მეორე მხრივ, — კი რეფერირების სამსახურის გამოცემლობის შესაძლებლობით⁷².

ლოკუმენტი. რომელიც გვაძლავს რეკომენდაციას რეფერატის მოცულობასთან დაკავშირებით	სარეფერატო ლოკუმენტი	რეფერატის მოცულობა ნიშნებში
სახელმწიფო სტანდარტი 7.9-7.4	ჩანაწერი, ცნობა, მოკლე შეტყობინება	500
	სტატიები, გამოგონებათა აღწერები	1000
	დიდი მოცულობის ლოკუმენტები	2500
	გამოცემები საზოგადოებრივ მეცნიერებებში	არაა ლიმიტირებული
მეცნიერებისა და ტექნიკის ინფორმაციის საერთაშორისო ინსტიტუტის ინსტრუქცია	სტატიები, წიგნები, გამოგონების აღწერა დეპონირებული ხელნაწერი	არაა ლიმიტირებული
რეფერატის შედგენის მეთოდიკა კულტურისა და ხელოვნების დარგში	სტატიები მონოგრაფია და კრებულები	არა უმეტეს 9000 ² არა უმეტეს 27000 ²
აშშ-ს სახელმწიფო სტანდარტი	მოკლე ცნობები სტატიები სამეცნიერო დისერტაციები	500-600 ³ 1250-1500 2500-3000

თუ მოცულობის მიხედვით მოვახდენთ რეფერატისა და ანოტაციის ზომების კლასიფიკაციას, მაშინ მივიღებთ შემდეგ სურათს: პირველ ადგილს მოცულობის მიხედვით იკავებს ინფორმაციული რეფერატი, მეორე ადგილზეა ინდიკატური რეფერატი, რომელიც გაცილებით მცირე ზომისაა. რაც შეეხება ანოტაციას, აქაც საქმე გვაქვს ორი სახის ანოტაციასთან – ინფორმაციულსა და ინდიკატურთან. ინფორმაციული ანოტაცია მოცულობით შეიძლება უფრო დიდი იყოს (სამი-ოთხი წინადადება), ხოლო ინდიკატური ანოტაცია – შედარებით მცირე ზომის (ერთი ან ორი წინადადება). ინდიკატური ანოტაციის შემთხვევაში ეს არის ორიგინალის ბირთვული წინადადება, ხოლო ინფორმაციულ ანოტაციაში შედის პირველწყაროს შინაარსის ძირითადი მომენტები.

სანამ უშუალოდ რეფერატზე მუშაობის მეთოდიკის ცალკეულ პუნქტებზე გადავიდოდეთ. კიდევ ერთხელ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ არსებობს ორი ძირითადი ხერხი, რომელთა დახმარებითაც ტექსტის დაშუშავებისა და ჩისგან ძირითადი ინფორმაციის ამოკრეფის

შედგებად ვიღებთ ორგვარ რეფერატს — ინდიკატურსა და ინფორმაციულს. შესაბამისად, ორივე რეფერატი განსხვავდება ერთმანეთისგან იმით, თუ რამდენად ახლოს არიან ისინი დედანთან. სხვაგვარად ინდიკატურ რეფერატს შეიძლება ეწოდოს — ინტერპრეტაცია-
abstrakt-Referat, ხოლო ინფორმაციულს — ამონაკრეფი — extract-Referat, რომელთაგან პირველი (abstrakt) ეფუძნება ინფორმაციის განზოგადებულ წარმოდგენას, ხოლო მეორე (extract) — შედგება ორიგინალიდან ამონაკრეფი წინადადებებისგან. დასაშვებია თუ არა abstrakt და extract რეფერატების, ანუ ინდიკატური და ინფორმაციული რეფერატების ელემენტების ერთმანეთში ჩანაცვლება? მივაჩნია, რომ ეს პროცედურა მოახდენს ტერმინთა და ცნებათა აღრევას, რაც წაშლის სხვაობას ორიგინალისადაც ორგვარ მიდგომას შორის.

თუ კიდევ უფრო გავშლით მსჯელობას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტების რეფერირების ორი ხერხი არსებობს, — ესენია: 1. განზოგადებული, ანუ რეფერენტის მიერ ტექსტის ინტერპრეტაცია, რომლის დროსაც ღირებულებასა და ფუნქციას კარგავს ორიგინალიდან წინადადებებისა თუ ფრაზების პირდაპირი, სიტყვა-სიტყვითი გამოყენება და 2. ამოკრეფა, როცა ორიგინალიდან სრულად ან ნაწილობრივ, უცვლელად ან პერიფრაზირებული* სახით სდება დღეიდან ცალკეული ფრაგმენტების სესხება.

ინდიკატური რეფერატი ასახავს ორიგინალის შინაარსს განზოგადების გზით, ხოლო ინფორმაციული რეფერატი ასახავს ორიგინალის შინაარსს ცალკეული წინადადებების ამოკრეფის გზით. ინფორმაციულ რეფერატში შეტანილი წინადადება შეიძლება თანაფარდობაში იყოს ორიგინალის წინადადების ცალკეულ ნაწილებთან ან მთელ წინადადებასთან, დასაშვებია მისი თანაფარდობა რამდენიმე წინადადებასთანაც. (როგორც კონტაქტურ, ისე დისტანციურ წინადადებებთან). ორიგინალიდან ამოკრეფილი წინადადებები ხშირად შეცვლილი სახითაც გადადის რეფერატში, მაგრამ ცალსახად გვინდა აღვნიშნოთ, რომ ცვლილებები ორიგინალში ხდება მხოლოდ ლექსიკურ, ანუ სემანტიკურ და სინტაქსურ დონეებზე.

რეფერატზე მუშაობა საკმაოდ რთული პროცესია და იგი ეტაპობრივად ზორციელდება. მკვლევართა უმრავლესობა პირველწყაროს რეფერირების პროცესში აღიარებს ამავე პროცესის რამდენიმე ეტაპად დაყოფის აუცილებლობას. ესენია:

1. ორიგინალის ზოგადი შესწავლა, მისი მიმოხილვა, გაცნობა. ტექსტის თემატიკის განსაზღვრა, რისი შედეგიცაა ზოგადი შთაბეჭდილების შექმნა სარეფერატო ტექსტზე.
2. ორიგინალის სრულყოფილი შესწავლა, მისი გაგება-გააზრება და აღქმა.
3. ორიგინალის წაკითხვა, რომელიც თავს იჩენს რეფერატის ინდივიდუალური თვისებები, მისი კვალიფიციურობა და მზადყოფნა — სწორედ აღიქვას პირველწყარო.
 - ა) კურსორული კითხვა, რომლის მიზანია რეფერენტი ზოგადად გაეცნოს ტექსტის შინაარსს.
 - ბ) ტოტალური კითხვა, რომელიც გულისხმობს ორიგინალის ინტენსიურ კითხვას, ტოტალური კითხვისას რეფერენტს მეხსიერებაში რჩება ტექსტის შინაარსი და ის ენობრივი ერთეულები, რომლითაც იგი გამოხატულია.
 - გ) რეფერატული კითხვა, რომლის მიზანია რეფერენტმა განაზოგადოს წაკითხული და ტექსტიდან გამოიტანოს ძირითადი ინფორმაცია.
4. ორიგინალის დამუშავება — ძირითადი ინფორმაციის მარკირება*, ამონაწერების გაკეთება.
5. ძირითადი ინფორმაციის გამოჯენა დამატებითი ინფორმაციისაგან.
6. კოდი-სიტყვების განსაზღვრა.

7. ბაზისური წინადადებების შედგენა.

8. რეფერატის გვერდის შედგენა, რომლის მიხედვითაც ხდება ინფორმაციის რანჟირება და მისი ლოგიკური დაკომპლექტება.

9. რეფერატის შედგენა და მისი გაფორმება.

ა. ა. ვიეზე რეფერატის შედგენის პირველ ეტაპზე გეთვალვადობს ტექსტის საფუძველზე ბაზისური წინადადებების ამოწმება იმ თანმიმდევრობით, როგორცაც ისინი ორიგინალში შეგვხვდნენ. შემდეგ ეს ბაზისური წინადადებები უნდა დაჯგუფდეს თემატური პრინციპის მიხედვით. რეფერატის ცალკეულ ნაწილებში აზრობრივი მსჯელობა და ამ მსჯელობის გეზი, მიმართულება შეიძლება დაემთხვეს ორიგინალს. მაგრამ კომპრესიამ შეიძლება გამოიწვიოს აზრობრივი გადახვევათა.⁷³

რეფერირების შემდგომ ეტაპზე, ანუ ბმული ტექსტის შედგენისას თავს იჩენს რეფერატის სტრუქტურის საკითხი, რომელსაც სამ ძირითად ნაწილად ყოფენ:

1. ბიბლიოგრაფიული მონაცემები (ინდექსი, რეფერატის შიფრი, სათაურის დასახელება, ავტორი, წყარო, წელი, გვერდების რაოდენობა).

2. კოდი-სიტყვები.

3. საკუთრივ რეფერატული ნაწილი, ანუ რეფერატის ტექსტი.

4. რეფერენტის მონაცემები – გვარი ან ორგანიზაციის დასახელება, რომელმაც შეადგინა რეფერატი.⁷⁴

ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს სასიგნალო და ინფორმაციული ფუნქცია აქვთ.

საკუთრივ რეფერატი შეიცავს ორიგინალის ანალიზურ-სინთეზურ დაბუყვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. რეფერატის ეს ნაწილი სტრუქტურულად შეიძლება ორგვარი აგებულებისა იყოს: აბზაცების მიხედვით აგებული რეფერატი და უაბზაო რეფერატი.

რეფერატის აბზაცებად დაყოფა მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი სტრუქტურისათვის. აბზაცში პირველ რიგში უნდა გამოიყოს ფრაგმენტები, რომლებიც ასახავენ ორიგინალის თემატურად დამოუკიდებელ ნაწილებს, რაც აიოლებს რეფერატში ინფორმაციის მოძიებას და მისი როგორც მთლიანის აღქმას. მიზანშეწონილია აბზაცის პირველივე ფრაზაში ფორპულირებული იყოს უფრო მეტად მნიშვნელოვანი ინდიკატური ინფორმაცია. პირველი ფრაზა აბზაცში, როგორც წესი, ავტოსემანტურია და იგი განაგრძობს მთელი აბზაცის შინაარსს, დანარჩენი წინადადებები ამ ინფორმაციის კონკრეტიზაციას წარმოადგენენ.

რეფერატი შედგება აბზაცებისგან, თუ:

1. იგი დიდი მოცულობისაა.

2. მასში საუბარია არა ერთი, არამედ რამდენიმე საკვლევი ობიექტის შესახებ.

3. ინფორმაცია რეფერატში დაწერილებითაა გადმოცემული.

რეფერატი არ შედგება აბზაცებისგან, თუ:

1. იგი მოკლე სახითაა წარმოდგენილი.

2. იგი რელევირებულად გადმოსცემს ორიგინალის შინაარსს.

3. იგი ლოგიკურად კომპაქტური ერთეულია.

რეფერატში ორიგინალის შინაარსის გადმოსცემის თანმიმდევრობის დაცვის საკითხი ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. არსებობს მოსაზრება, რომ უმჯობესია მივიყვით არა ორიგინალის ავტორს, არამედ ინფორმაცია დაეაწყოთ იმ რიგით, რომელიც უფრო უპრიანი და მოსახერხებელია მკითხველისათვის.

რეფერატში სწორია ორიგინალის თანმიმდევრობის რღვევა, რაც იმითაა განპირობებული, რომ რეფერენტი ცდილობს ერთ ფრაგმენტში ასახოს ორიგინალის თემატურად ერთმანეთთან დაკავშირებული ფრაგმენტები – შიჯეროს ერთ აბზაცში თემატურად მსგავსი

ბლოკები და განალავოს გამონათქვამი ისე, რომ განზოგადებული ინფორმაცია პირველ რიგში იყოს წარმოდგენილი.

რეფერატის დასაწყისში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობები. კარგად შედგენილ რეფერატში დასაწყისი არის სათაურის „დამატება“, „შეკვება“ და ამასთან იგი გამოხატავს ორიგინალის ძირითად თემას. საგულისხმოა ისიც, რომ რეფერატის დასაწყისს, მის პირველ წინადადებას ერთი წინადადებისაგან შედგენილ რეფერატსაც უწოდებენ.

რეფერირების მეთოდიკაში გეთავაზობენ გამოიყენოთ შედარებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის გრაფიკული გამოყოფის საშუალებები: დახრილი შრიფტი, ზახვასმა და სხვა.⁷⁵ მკითხველისათვის ადვილად აღსაქმელია რეფერატი, როცა მის დასაწყისში მკაფიოდ არის ფორმულირებული ორიგინალის თემა, პრობლემა, ამოცანა და თუ ტექსტის განზოგადების ხარისხი მაღალია.

სამეცნიერო ჟანრის ტექსტის რეფერატი უნდა დაეიწყოთ ახალი ინფორმაციით, ხოლო პუბლიცისტური ჟანრის ტექსტის რეფერატი – პრობლემის სახელის დასახელებით.

თუ პირველწყაროში მოცემულია პროდუქციის, ტექნიკური პროცესების, კვლევის მეთოდების და ა. შ. აღწერა, მაშინ რეფერატის დასაწყისში გადმოცემული უნდა იყოს აღსაწერი საგნის დანიშნულება და ფუნქციები.

რეფერატისთვის ტიპურია ისეთი დასაწყისი, სადაც ორიგინალის შინაარსი განზოგადებულადაა დასახელებული ან მინიშნებულია ორიგინალის ძირითად ინფორმაციაზე.

რეფერატის ლინგვისტური სტრუქტურა ლექსიკურ-სინტაქსური თავისებურებებით გამოირჩევა. ძირითადი კრიტერიუმებია: რეფერატის გაუღებთვა ტერმინოლოგიით, მარტივი წინადადებების სიჭარბე (ინფორმაციული რეფერატისას), დამოკიდებულ წინადადებათა ობლივიატორულობა* (ინდიკატური რეფერატისას), ვრცელი ჩამონათვალები, ენის ლაკონურობის ხერხების გამოყენება: აბრევიატურა, არასრული წინადადებები. რეფერატის ლინგვისტური სტრუქტურისათვის ნიშანდობლივია ლაკონურობა, მკაფიოობა და შინაარსის გამოხატვის ცხადყოფა. ლაპარაკობენ ე. წ. „რეფერატული ენის“ შესახებ. რეფერატის სემანტიკურ ადეკვატურობას, ლაკონურობას და მკაფიოობას განაპირობებს სწორი და შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკულ-სტილისტური საშუალებების შერჩევა. სემანტიკური ადეკვატურობა ტერმინთა სწორი გამოყენებისა და ტერმინოლოგიური ლექსიკის გამოყენების შედეგად განხორციელდება, ხოლო ლაკონურობა – წინადადებათა ეკონომიური სტრუქტურით.⁷⁶

ტერმინოლოგიური ლექსიკის საფუძველია ცნებები, რომლებიც ორიგინალიდან რეფერატში გადაიტანება. რამდენადაც ცალკეული სახეობითი ცნებები რეფერირების პროცესში შეიძლება შეიცვალოს ერთი ზოგადი ცნებით, რეფერატში შეიძლება შეგვხვდეს ტერმინები, რომლებიც არ არის ორიგინალის ტექსტში.

ტერმინოლოგიური ლექსიკა მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცემს პირველადი დოკუმენტის შინაარსს. ტერმინთა გამოყენების სიზშირე რეფერატში მართებულად ითვლება, რადგან იგი ტყეაღია და მკაფიოდ გადმოსცემს ცნების არსს.

ტერმინოლოგიური ლექსიკის შეცვლა სხვა მისი სინონიმური ტერმინებით დაუშვებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ ორიგინალის შინაარსის სერიოზულ აზრობრივ უზუსტობებს.

აბრევიატურა რეფერატში სშირად გამოიყენება, თუმცაღა უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინის პირველადი დასახელებისას იგი სახელდება სრულად და მას გვერდით მიეწერება მისი აბრევიატურა, შემდეგ კი ტექსტში მუდმივად აბრევიატურას იყენებენ, რაც ქვემოთ მოყვანილ ინდიკატურ რეფერატში თვალნათლივ ჩანს:

In den 70er und 80er Jahren hat die Kinder- und Jugendliteratur (KJL) eine Entwicklung durchgemacht, die mit Ewers geprägten Terminus „Literarisierung“ begrifflich gefasst sei. Sie geht Hand in Hand mit einem Paradigmenwechsel in der KJL-Kritik. Als Ursache für die sog. „Literarisierung“ der KJL kann ein Wandel des Bildes und des Status von Kindheit und Jugend angenommen werden. Als Bezugspunkt für die Beschäftigung mit Forschungsbeiträgen sei hier die These vertreten, zwischen dem Wandel der KJL-Kritik, dem der KJL, und dem des Bildes von Kindheit und Jugend bestehe ein Kausalnexus. Die Skizzierung dieses Kausalzusammenhangs in der Form der Aufarbeitung des gegenwärtigen Diskussionsstandes in der KJL-Forschung ist die Aufgabe dieses Beitrags.

ციტატა ინფორმაციულ რეფერატში შედის ირიბი მეტყველებით, თუმცაღა შესაძლებელია ციტატების გაფორმება პირდაპირი მეტყველების სახითაც. არსებობს ტენდენცია ციტატად გაფორმდეს ორიგინალის უფრო მეტად მნიშვნელოვანი ფრაგმენტები (ტერმინთა ახსნა, დასკვნები და ა. შ.). ციტირება საზოგადოებრივ-პუბლიცისტური ჟანრის ტექსტებისათვისაა დამახასიათებელი. ორიგინალიდან ციტირებისათვის საჭირო წინადადებები და ფრაგმენტები სუბიექტურად უნდა შეირჩეს რეფერენტის მიერ. გთავაზობთ ინდიკატურ რეფერატში ციტატის გამოყენების ნიმუშებს:

1. Die Autorin zeichnet kritisch einige neuere Entwicklungen der Erforschung des Sprachenunterrichts nach und stellt diesen Entwicklungen den Diskurs gegenüber, den das Geld in Kulturen bewirkt: „Das Ureigenste des Menschen, seine Sprache, wurde diesem Diskurs eingeordnet und entpersonalisiert. Nicht nur die Sprache, sondern, so bizarr es ist, der Mensch wurde entsprechend diesem Diskurs umgeformt.“

2. „Auch bewährte didaktische Prinzipien und Elemente des Fremdsprachenunterrichts an Grundschulen sind regelmäßig auf Angemessenheit und Effektivität hin zu überprüfen.“ Zu dieser Forderung der Wiesbadener Ministerialrätin Wiltrud Lortz versammelt der Beitrag Stellungnahmen aus einer Fragebogenaktion.

რეფერატის სინტაქსიც იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა ტიპის რეფერატთან გუქვს საქმე. ინდიკატურ რეფერატში დამოკიდებული წინადადებების გამოყენების სიხშირე საკმაოდ მაღალია. მაქსიმალურად ღივია კლიშეების გამოყენების სიხშირეც, რითაც რეფერენტი რეფერატის წინადადებებს აკავშირებს ერთმანეთთან.

ზოგადად სამეცნიერო სტილისათვის და ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში სამეცნიერო ტექსტის ინდიკატური რეფერატისათვის დამახასიათებელია რთული სინტაქსი, რომლის დახმარებითაც გადმოსცემს რეფერენტი განზოგადებულ რთულ ლოგიკურ მსჯელობებს, არგუმენტებსა და მათ მოტივაციებს. სამეცნიერო ტექსტის რეფერატის რთული სინტაქსი გულისხმობს მთელი რიგი დამოკიდებული წინადადებებისა და ასევე, ჩართული წინადადებების, ჩართული სიტყვების, მიმღობებისა და გერუნდების გამოყენებას. ხშირად ვხვდებით რეფერატში უზარმაზარ სინტაქსურ კონსტრუქციებს, რომლებიც ერთმანეთთან შიდა კავშირებითაა დაკავშირებული, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებსა და გერუნდობილ განსაზღვრებას. დამოკიდებული წინადადება კომუნიკაციური თვალსაზრისით ყველაზე ფასეულია, რადგან მასშია გადმოცემული რეაქცია, ახალი ინფორმაცია, ხოლო მთავარი წინადადება წარმოადგენს თემას, ანუ ცნობილს და ამდენად, იგი არაა ღირებულ. ინდიკატურ რეფერატში მოქმედების სუბიექტს ხშირად არ ასახელებენ, რადგან ზმნა აქ პრეზენსს პასივს ან პასივის რომელიმე სხვა დროში დგას. ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გთავაზობთ ინდიკატური რეფერატის რამდენიმე ნიმუშს:

1. Neben dem Erwerb kommunikativer Kompetenz in einer Sprache wird seit vielen Jahren der Erwerb einer offenen und toleranten Haltung den Ländern und Völkern gegenüber, deren Sprache

man lernt, als ein natürliches und integriertes Lernziel des Fremdsprachenunterrichts (FSU) betrachtet. In diesem Beitrag werden zunächst die wichtigsten Schlüsselbegriffe, die mit der interkulturellen Ausrichtung jeglichen Fremdsprachenunterrichts zusammenhängen, angesprochen, und wird das Lernziel 'interkulturelle kommunikative Kompetenz' analysiert. Danach wird der Frage nachgegangen, welche Kriterien für die Auswahl von kulturellen Inhalten und Lernaufgaben zur Verfügung stehen und wie der interkulturelle kommunikative Lernprozess sich stufen lässt. Der Beitrag distanziert sich vom traditionellen Kulturkundeunterricht und erklärt, warum die bisherige lehrergesteuerte Sprach- und Kulturpädagogik durch eine lerner(mit)gesteuerte, auf den Erwerb interkultureller kommunikativer Kompetenz abzielende Vorgehensweise zu ersetzen sei. (Verlag)

2. Die Integration von Erfordernissen und Fertigkeiten, die sich aus der realen Praxis der Wirtschaftswelt ergeben, ist auch für das Sprachenlernen, besonders an wirtschaftsorientierten Hochschulen, von immer größerer Bedeutung und erfordert eine Neuorientierung auch in der täglichen Unterrichtspraxis der Fachs Deutsch als Fremdsprache. Sprachliche Anforderungen und reale Handlungskompetenz, die heute in der Berufswelt gestellt bzw. verlangt werden, sind kaum mehr mit Lehrbüchern abzudecken. Im Beitrag geht es um ein erprobtes Konzept projektorientierten Unterrichts in Form einer praxisorientierten Simulation. In einer Art Erfahrungsbericht werden die einzelnen Schritte des Projektes aufgezeigt, sowie Problemstellungen und Hürden kommentiert, die sich aus der Unterrichtspraxis heraus ergaben. Hierbei wurde der Versuch gemacht Medienkompetenz zu schulen, autonomes Lernen zu fördern und jene sprachliche Handlungskompetenz zu vermitteln, die für einen angehenden Betriebswirt im internationalen Wirkungsfeld mit deutschsprachigen Ländern von Bedeutung sind. (Verlag, adapt).

*(Bibliographie moderner Fremdsprachenunterricht
34 (2003) №2)*

ინფორმაციული რეფერატის სინტაქსისათვის დამახასიათებელია მარტივი გავრცობილი წინადადებები, ნომინატური, ატრიბუტული სიტყვათშეთანხმებანი, ჩართული კონსტრუქციები, ზმნის აქტიური ფორმით გამოყენება იმავე გვარში, რაც ორიგინალშია, ზშირად წარსულსა და აწმყო დროში. ზმნური კონსტრუქციები იცვლება სახელადი კონსტრუქციებით. მაგ.:

In einem 27-t-Elektroofen wurde, basierend auf den Erfahrungen mit dem OBM- und KMS-Verfahren, in großem Umfang Primärenergie in Form von Kohle als Ersatzenergie eingesetzt. Durch die gleichzeitige Nachverbrennung der Ofenabgase und Intensivierung der Badbewegung mit Hilfe von Unterbaddüsen konnte eine sehr effektive Ausnutzung der Kohle erreicht werden. Der Stromverbrauch erniedrigte sich um etwa 30% auf ungefähr 280 kwh/t guter Knüppel. Bei gleichbleibender Stromdichte wurde die Produktivität um denselben Betrag erhöht. Der Verbrauch an Elektroden lag bei 3 kg/t guter Knüppel, der Legierungsmittelverbrauch wurde verringert. Es bestehen Möglichkeiten zur Staubzirkulation und zum Einsatz anderer feinkörniger Stoffe.

(BHM. Berg- und Hüttenmännische Monatshefte, 5/88 OFU – Wien, S. 218)

სამეცნიერო ტიპისტი

1. ყურადღებით წაიკითხე, ტექსტი. ჩამოაყალიბეთ მისი თემა.
2. დანომრეთ ტექსტის აბზაცები (რსმ-ები).
3. ყურადღება მიაქციეთ აბზაცის დასაწყისს, აბზაცის პირველ წინადადებას, რადგან იგი ყველაზე მეტად ინფორმაციულია.
4. განსაზღვრეთ კოლი-სიტყვები.
5. გამოყავით ცალკეულ აბზაცთა ბაზისური წინადადებები და შეადგინეთ გეგმა.
6. გააერთიანეთ ერთი და იგივე ბაზისური წინადადებები.
7. ნათლად ჩამოაყალიბეთ კვლევის ობიექტი, მიზანი და რეზულტატები.
8. ყურადღება მიაქციეთ თეზისებსა და დასკვნებს.
9. მოახდინეთ ტექსტის სინტაქსური და სემანტიკური კომპრესია.
10. ტექსტიდან ამოიღეთ დამატებითი, განმეორებითი (დუბლირებული), პერიფერული და გაუგებარი ინფორმაციები.
11. განსაზღვრეთ რეფერატისათვის კლიშეები.
12. ამოიწერეთ ბიბლიოგრაფიული მონაცემები.
13. შეადგინეთ რეფერატის ტექსტი.
14. დაასახელეთ რეფერენტი და ის ორგანიზაცია, რომელმაც შეადგინა რეფერატი.

კუბლიცისტური ტიპისტი

1. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. ჩამოაყალიბეთ მისი თემა.
2. დაკვირვებით გაიზარეთ და ჩაუფიქრდით ტექსტის სათაურს.
3. დანომრეთ ტექსტის აბზაცები.
4. ყურადღება მიაქციეთ აბზაცის დასაწყისს, აბზაცის პირველ წინადადებას, რადგან იგი ყველაზე მეტად ინფორმაციულია.
5. განსაზღვრეთ კოლი-სიტყვები.
6. გამოყავით ცალკეულ აბზაცთა ბაზისური წინადადებები და შეადგინეთ გეგმა.
7. შედგენილი გეგმა შეიძლება არ დაემთხვეს ტექსტის აბზაცებში თემათა თანმიმდევრობას. ზოგიერთი აბზაცი შეიძლება მონოთემატური იყოს, ზოგიერთი კი – პოლითემატური.
8. განსაზღვრეთ რსმ-ში ძირითადი ინფორმაცია.
9. მოახდინეთ ტექსტის სინტაქსური, სემანტიკური, ინფორმაციული, კომუნიკაციური კომპრესია.
10. განსაზღვრეთ წინადადებები დესკრიპტორი სიტყვებით.
11. შეარჩიეთ რეფერატისათვის კლიშეები.
12. შეადგინეთ რეფერატის ტექსტი – რეფერატი დაიწყეთ პრობლემის დასახელებით.
13. დაასახელეთ რეფერენტის გვარი.

ინფორმაციულ რეჟერატზე მუშაობის მეთოდობა

სამეცნიერო ტექსტი, აუბლიცისტური ტექსტი

1. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. ჩამოაყალიბეთ მისი თემა.
2. დანომრეთ ტექსტის აბზაცები.
3. მოახდინეთ თითოეულ აბზაცში სინტაქსური, სემანტიკური, ინფორმაციული, კომუნიკაციური კომპრესია.
4. განაზოგადეთ ცალკეული წინადადებები დესკრიპტორი სიტყვებით.
5. შეარჩიეთ წინადადებათა გადაბმის საშუალებები – ლექსიკური ერთეულები.
6. ციტირებისას გამოიყენეთ ირიბი მეტყველება.
7. შეადგინეთ რეფერატის ტექსტი.
8. დაასახელეთ რეფერენტის გვარი.

მიმოხილვით რეჟერატზე მუშაობის მეთოდობა

აუბლიცისტური ტექსტი

1. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტები, რომლებიც გაერთიანებულია ერთი რუბრიკის ქვეშ.
2. ჩამოაყალიბეთ ყველა ტექსტისათვის საერთო, მათი გამაერთიანებელი თემა.
3. თითოეულ ტექსტში გამოაყიეთ საერთო ბაზისური წინადადებები.
4. განსაზღვრეთ, რომელი მათგანი შეეა საერთო გეგმის ჩამონათვალში.
5. განსაზღვრეთ, ამ ტექსტებიდან რომელი იქნება საბაზისო, რომელს შეიძლება დაეყრდნოთ, რომელი უფრო ინფორმაციულია.
6. დაადგინეთ, რომელი ტექსტის ძირითადი ინფორმაციით შეიძლება საბაზისო ტექსტის შევსება (ეს პროცედურა შეავსეთ მესამე, მეოთხე, მეხუთე და ა. შ. ტექსტებით).
7. დაადგინეთ, რომელი ძირითადი ინფორმაცია მუორდება ყველა ტექსტში.
8. მოახდინეთ ტექსტთა სინტაქსურ-სემანტიკური და ინფორმაციულ-კომუნიკაციური კომპრესია.
9. განაზოგადეთ ტექსტები დესკრიპტორი სიტყვებით.
10. განსაზღვრეთ კოპეზიის* საშუალებები – კლიშეები.
11. შეადგინეთ რეფერატის ტექსტი, რეფერატი დაიწყეთ პრობლემის დასახელებით.
12. შეგიძლიათ საკუთარი აზრის გამოთქმაც, შეფასებაც.
13. დაასახელეთ რეფერენტის გვარი.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ანოტაცია ეს არის ინფორმაცია ინფორმაციაზე, ანუ მეტაინფორმაცია. მას „წმინდა ინფორმაცია“ შევკვიძლია ვუწოდოთ. ანოტაცია ორიგინალის ძირითადი შინაარსის უმოკლესი ხერხით გადმოცემა და იგი მკითხველს ზოგად წარმოდგენას უქმნის პირველად დოკუმენტზე. ანოტაციის მიზანია ადრესატს მიაწოდოს დედნიდან აღქმული ძირითადი ინფორმაციის დანიშნულება და ასევე ასახოს მისი ნე-ტგაიური მხარეც.⁷⁷

ანოტაციაზე მუშაობისას უნდა დაეყრდნოთ შემდეგ პრინციპებს:

1. ანოტაციამ უნდა შეაჯამოს ტექსტის იდეა, ძირითადი ინფორმაცია, მიზანი და დანიშნულება.

2. ანოტაციამ უნდა განაზოგადოს მაქსიმალური კომპრესიის გზით მთელი ტექსტის შინაარსი.

განახსევებენ ინფორმაციულსა და ინდიკატურ ანოტაციებს. ინდიკატური ანოტაციისათვის ნიშანდობლივია ძირითადი ინფორმაციის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით, კომპრესიის მაღალი ხარისხის გამო ანოტაციაში ხდება ორიგინალის შინაარსის მაქსიმალური აბსტრაქტირება და განზოგადება. ამ ტიპის ანოტაციაში უნდა იყოს გადმოცემული ორიგინალის ბირთვული წინადადება. რეფერენტს ინდიკატური ანოტაციის შედგენისის დახმარებას უწევს მთელი რიგი კლიშეები, რომლებიც შესავალი ნაწილისთვისაა განკუთვნილი. ესენია:

- im Artikel wurde hervorgehoben ...
- in der Publikation wird das Problem ... behandelt
- es wird vom Verfasser die große Aufmerksamkeit geschenkt ...
- ist ein aktuelles Problem ...
- ist eine bedeutende Frage ...
- der Artikel rührt an eine Frage ...
- im Artikel wird zur Behandlung vorgelegt ...
- der Artikel wird gewidmet ...

